ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი, 15 ივნისი, 2009 №27 (3520) ფასი 1 ლარი


საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



# გოცირიძე სიკვდილს გადაურჩა

## ბექა, შენ ისევ ითამაშებ ფეხბურთს!

გუშინ დილას შემაშფოთებელი ამბავი შევიტყვეთ: საქართველოს ნაკრების ფორვარდი ბექა გოცირიძე ავტოკატასტროფაში მოჰყვა და მძიმედაა...

საბედნიეროდ, ბექას სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ შეძლებს თუ არა თამაშს, ახლა ვერავინ იტყვის...

სეზონის დასრულების მერე დნეპროპეტროვსკიდან ჩამოსული ბექა თავის აგარაკზე, ცხვარიჭამიაში ისვენებდა. შაბათ საღამოს მანქანით თბილისისკენ წამოვიდა და უბედური შემთხვევა იმ დროს მოხდა, როცა ხიდზე გადადიოდა...

მანქანა ხიდიდან გადავარდა... ბექა მარტო იყო... მძიმე მოტეხილობებს კი გადაურჩა, მაგრამ სხვა რამ დაემართა — ელენთა გაუსკდა და იმავე ღამეს, დაახლოებით პირველ საათზე, გადაუდებელი ოპერაციაც გაუკეთეს — ელენთა ამოკვეთეს...

გუშინ დილით, ლუდუშაურის სახელობის საავადმყოფოში უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი, თუმცა ბექას მონახულება ვერ მოხერხდა. ოპერაციის მერე მთელი დღე ნარკოზის ქვეშ იყო და ეძინა.

და როდესაც შევიტყვეთ, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებოდა, მთავარ კითხვად ეს იქცა: შეძლებს თუ არა ბექა ფეხბურთის თამაშს? ამ წუთას ამ კითხვაზე პასუხი არ გვაქვს. რაც ზუსტად ვიცით, ის არის, რომ, სულ მცირე, ხუთი თვე მისთვის იოტისოდენა დატვირთვაც აკრძალულია.

და თუ ასე მოხდა, შეგვეძლება ვთქვათ, რომ ყველაზე ოპტიმისტური პროგნოზი გამართლდა...

ბექა გოცირიძემ პროფესიული კარიერა თბილისის „ამერში“ დაიწყო. ის გუნდის ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე იყო.

ერთი წლის მერე „ზესტაფონში“ გადავიდა და ამ გუნდიდან მიიწვიეს პირველად საქართველოს ეროვნულ ნაკრებში.

„დნიპროში“ მისი ტრანსფერი კი გვარიანად ხმაურიანი გამოდგა — უკრაინელებმა მასში მილიონი ევრო გადაიხადეს.

ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, რომ ის ოპტიმისტური პროგნოზი გამართლდება...

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სიომინმა ასათიანი არც დინამოს მისცა და ვერც თავად იყენებს



**რუსეთის** ჩემპიონატის მე-12 ტურში ოდენ ორმა ქართველმა ფეხბურთელმა ითამაშა.

ნალჩიკის „სპარტაკმა" შინ 2:2 გაახერხა სანკტ-პეტერბურგის „ზენიტთან".

ალექსანდრე ამისულაშვილმა სრულად ითამაშა, გოგიტა გოგუა კი 61-ე წუთზე შეცვალეს. მანამდე გოგუამ გაფრთხილების მილებაც მოასწრო.

რამენსკოეს „სატურნთან" სტუმრად 0:2 წააგო მოსკოვის „ლოკომოტივმა".

ამ შეხვედრაში დავით მუჯირი სათადარიგო იყო, მალხაზ ასათიანი კი ჯერჯერობით საჩემპიონატო განაცხადში არ არის.

გეცოდინებათ, მალხაზი ახლახან დაბრუნდა კიევის „დინამოდან" და სანამ რუსულ პრემიერლიგაში შესვენება არ გამოცხადდება, „ლოკომოტივს" მისი დამატება არ შეუძლია.

ასათიანიც ჯერჯერობით მხოლოდ ვარჯიშით თუ შემოიფარგლება და აგვისტოს დასაწყისიდან შეძლებს მოედანზე გასვლას.

ასეთი გადაწყვეტილება მიიღო იური სიომინმა, რომელმაც ქართველი მცველის ისევ „დინამოში" გაშვება აღარ ისურვა, არადა, კიეველები დღემდე ითხოვენ იჯარის გაგრძელებას.

**ბაჩა შალამბერიძე**

# ფოფხაძემ ფრემს გადაურბინა

**დანიურმა** „ვიბორგმა" ჩემპიონატის მორიგ მატჩში სტუმრად 6:0 გადაურბინა „ფრემს".

საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველი გიორგი ფოფხაძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 61-ე წუთზე შეცვალეს, როცა უკვე ყველაფერი გადაწყვეტილი იყო.

## ქართული სიტყვა უცხო პრესაში

# მზად ვარ, აზერბაიჯანის ნაკრებს დავეხმარო!

## გიორგი ადამია ევროპას უყურებს და მიწვევას ელის

**აზერბაიჯანში უკვე მომწიფდა გიორგი ადამიასთვის მოქალაქეობის მიცემის და ნაკრებში გამოძახების საკითხი და, ფაქტობრივად, დღე არ გავა, ამ თემაზე რამე არ დაიწეროს. „აზერისპორტი" ადამიას ესაუბრა და, ცხადია, აზერბაიჯანის ნაკრებში თამაშის შესაძლებლობაზეც ჰკითხა...**



— ახალი სეზონისთვის მზადება უკვე დაიწყეთ?

— კი და ყველაფერი კარგად მიდის. 23 ივნისამდე ორჯერადი ვარჯიშები გვექნება, მერე კი სლოვენიაში მივდივართ შეკრებაზე.

— ანუ უკვე გადაწყვიტეთ „ბაკიში" დარჩენა?

— ჯერ არა. ზოგადად ვთქვი, რომ სლოვენიაში მივდივართ, რადგან ჯერჯერობით „ბაკიში" ვვარჯიშობ.

— და როდის იტყვით პასუხს?

— რაღაც ვარიანტები მაქვს ევროპიდან და ვაანალიზებ. ვფიქრობ, 22 ივნისამდე ყველაფერი გაირკვევა.

— ასე ძალიან გინდათ ევროპაში წასვლა?

— ამის უდიდესი სურვილი მაქვს.

— გასულ სეზონში „ბაკის" ლიდერი იყავით. ნუთუ შეგიძლიათ, ყველაფერი ასე იოლად მიატოვოთ და წახვიდეთ?

— ჯერ ვერაფერს ვიტყვი. თუ ევროპაში გადასვლა არ გამომივა, „ბაკიში" დავრჩები. ჩვენი კლუბის ხელმძღვანელობას ამ თემაზე ველაპარაკე და ისინიც ჩემს პასუხს ელიან.

— იმ ქვეყნებზე მაინც გვითხარით, სადაც აპირებთ გამგზავრებას...

— ჯერ ადრეა. მალე ყველაფერს გაიგებთ. ერთი, ის შემიძლია გითხრათ, რომ ეს ქვეყნები არცთუ სუსტები არიან საფეხბურთო თვალსაზრისით.

— იმ დროს, როცა აზერბაიჯანის ნაკრები მიყოლებით აგებს დიდი ანგარიშებით, დადგა საკითხი, რომ თქვენი დებიუტი შედგეს...

— მიწვევას ველოდები და ერთი სული მაქვს, ვითამაშო იმ ქვეყნის ნაკრებში, რომელიც ჩემთვის ასე ახლობელი გახდა.

— ესპანეთთან სამარცხვინო წაგების მერეც კი გაქვთ ამის სურვილი?

— ერთი წაგებით დასკვნებს არ ვაკეთებ. მეორე მხრივ კი, მით უმეტეს, მზად ვარ, გუნდს დავეხმარო.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და მსაჯთა განყოფილება მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სფფ-ის მსაჯთა დამკვირვებელი, ვეტერანი მსაჯი
**მიხეილ მალლაფერიძე**
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს

იმერეთის ფეხბურთის რეგიონული ფედერაცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი მსაჯი
**მიხეილ მალლაფერიძე**
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს



LG CUP-ის პირველი გამარჯვებული „აფხაზეთი"

# გამარჯვება, აფხაზეთო, შენი

**I ტური**

პირველი არხი 2:1 ინტერპლასტი

აფხაზეთი 2:6 ალგორითმი

ნატახტარი 2:4 ვეტერანები

მაგთი 1:4 დეპარტამენტი

**II ტური**

აფხაზეთი 3:2 პირველი არხი

1:0 ჯიშკარიანი (13), 2:0, 3:0 გადელია (17, 22), 3:1 დვალიშვილი (32), 3:2 უთრუგაშვილი (36)

ალგორითმი 3:0 ინტერპლასტი

1:0, 2:0 კვიტაიშვილი (4, 24), ლუკავა (35)

ნატახტარი 5:0 მაგთი

1:0 რევაზიშვილი (4), 2:0 ვაჩეიშვილი (19), 3:0 შერმადინი (29), 4:0, 5:0 ვაჩეიშვილი (35, 39)

დეპარტამენტი 1:3 ვეტერანები

0:1 ჯამარაული (16), 0:2 გვასალია (23), 1:2 მაზიაშვილი (34), 1:3 მიქაძე (37)

**III ტური**

ინტერპლასტი 2:4 აფხაზეთი

1:0 გაფრინდაშვილი (6), 1:1 გადელია (9), 1:2, 1:3 ჟელაძე (14, 15), 1:4 გადელია (17), 2:4 ხვისტანი (19)

ნატახტარი 2:5 დეპარტამენტი

0:1 კორღალიძე (6), 1:1 ვაჩეიშვილი (12), 1:2, 1:3 ამბიძე (19, 26), 2:3 რევაზიშვილი (35), 2:4, 2:5 კორღალიძე (38, 40)

ვეტერანები 5:0 მაგთი

1:0 გვასალია (9), 2:0, 3:0 ხომერიკი (12, 24), 4:0 მიქაძე (35), 5:0 გოგშელიძე (37)

პირველი არხი 7:7 ალგორითმი

0:1 ჩანთლაძე (4), 0:2 მაყაშვილი (11), 1:2 უთრუგაშვილი (12), 2:2 კოჩაძე (13), 2:3, 2:4 კვიტაიშვილი (18, 22), 2:5 მაყაშვილი (23), 3:5 უთრუგაშვილი (24), 4:5 კოჩაძე (25), 5:5 უთრუგაშვილი (26), 5:6 კვიტაიშვილი (27), 5:7 მაყაშვილი (28), 6:7 კოჩაძე (28), 7:7 უთრუგუნაშვილი (29)

**ნახევარფინალი**

ალგორითმი 0:1 დეპარტამენტი

0:1 მაზიაშვილი (36)

ვეტერანები 1:4 აფხაზეთი

0:1 ინალიშვილი (4), 1:1 ხომერიკი (13), 1:2 ინალიშვილი (21), 1:3 ჯიშკარიანი (32), 1:4 ინალიშვილი (38)

**ფინალი**

აფხაზეთი 3:0 დეპარტამენტი

1:0 გადელია (7), 2:0 ცაავა (10), 3:0 მალანია (19)

**კომპანია** „ალგორითმისა" და SBM Georgia-ს მიერ ორგანიზებული LG Cup-ის პირველი გათამაშება გუშინ დასრულდა.

„ავაზას" ხელოვნურსაფარიან მოედანზე მიმდინარე გათამაშებამ იმდენ ცნობილ ვეტერან ფეხბურთელს მოუყარა თავი, რომ აქამდე არც ერთ ტურნირზე გვენახა.

მოკლედ, ბიზნესის ჩემპიონთა ლიგის წარმატებული პროექტის შემდეგ SBM Georgia-მ მეორე გათამაშებაც მაღალ დონეზე ჩაატარა და ვინც ამ ერთი კვირის განმავლობაში „ავაზას" მოედანზე თამაშების სანახავად დადიოდა, ამაში აუცილებლად დაგვეთანხმება.

ჯგუფური ეტაპის შემდეგ ნახევარფინალში საკმაოდ საინტერესო წყვილები შეიქმნა და მართლაც ძნელი გამოსაცნობი იყო, რომელ ორ გუნდს მოუწევდა თასისთვის გადამწყვეტ ბრძოლაში შეხვედრა.

საბოლოოდ, ტურნირის მასპინძელი „ალგორითმი" ალბათ მაინც მოულოდნელად დამარცხდა „სპორტის დეპარტამენტთან", „ვეტერანებმა" კი ვერაფერი მოუხერხეს „აფხაზეთს", რომლის შემადგენლობაშიც ბრწყინავდნენ გელა ინალიშვილი და მიხეილ ჯიშკარიანი.

ფინალმა ქომაგებს შორის დიდი ინტერესი გამოიწვია და უნდა გენახათ, რა სასიამოვნო სანახავი იყო „აფხაზეთ" — დეპარტამენტის" მატჩისწინა აჟიოტაჟი, მაგრამ... ძლიერმა წვიმამ და ჭექა-ქუხილმა სერიოზული პრობლემები შეუქმნა ტურნირის ორგანიზატორებს.

თუმცა წვიმამ ვერანაირად ვერ შეუშალა ხელი გრიგოლ ცაავას ულამაზესი გოლის გატანაში, რითაც ანგარიში 2:0 გახდა „აფხაზეთის" სასარგებლოდ. ამას სოსო მალანიამ ერთიც მიუმატა და ჩვენი უმშვენიერესი მხარის წარმომადგენლებმა 3:0 იმარჯვეს.

დაჯილდოების ცერემონიალი დღეს გაიმართება, იქამდე კი ტურნირის ორგანიზატორებმა ექსკლუზიურად მოგვაწოდეს ლაურეატების ვინაობა, რასაც აქვე გთავაზობთ...

მეკარე — **ზაზა ლილუაშვილი** (ვეტერანები)
მცველი — **თენგიზ სიჭინავა** (აფხაზეთი)
თავდამსხმელი — **ლევან ხომერიკი** (ვეტერანები)
კორექტული მოთამაშე — **გია ფირცხალავა** (დეპარტამენტი)
მაყურებელთა სიმპათია — **გრიგოლ ცაავა** (აფხაზეთი)
საუკეთესო გოლი — **გელა ინალიშვილი** (აფხაზეთი)
საუკეთესო ფეხბურთელი — **მიხეილ ჯიშკარიანი** (აფხაზეთი)
„ვისოლის" პრიზი ქართულ ფეხბურთში შეტანილი წვლილისთვის — **გოჩა ჯამარაული** (ვეტერანები)



„დინამო“ საკუთარ ბაზაზე შეიკრიბა



www.fcdinamo.ge

გიორგი სომხიშვილი

# დინამომ სიახლეებით დაიწყო

**საქართველოს** თასის მფლობელმა თბილისის „დინამომ“ საახალსეზონო მზადება 8 ივნისს დაიწყო.

კახა კაჭარავამ გუნდი დიღმის საწვრთნელ ბაზაზე შეკრიბა და 27 ივნისამდე სწორედ იქ ავარჯიშებს, მერე კი „დინამო“ გერმანიაში გაემგზავრება შეკრების გასავლელად.

თბილისში ყოფნისას დინამოელები ორი ამხანაგური მატჩის ჩატარებას გეგმავენ, გერმანიაში კი, სავარაუდოდ, ხუთ ტესტ-მატჩს გამართავენ.

აქვე გავიხსენოთ, რომ „დინამო“ უკვე დატოვეს გაბონელმა დიდიე ოვონომ და ჩერნოგორიელმა დანილო ტომიჩმა. ოვონო ფრანგულ „ლე მანში“ გადავიდა, ტომიჩს კი კონტრაქტი აღარ გაუგრძელეს.

რაც შეეხება ნამატს: ზუგდიდის „მგლებიდან“ მეკარე გიორგი სომხიშვილი გადმოიყვანეს, ნახევარმცველმა შოთა კაშიამ კი „დინამოსთან“ კონტრაქტი ერთი წლით გაახანგრძლივა.

„თითოეული ქართველი ფეხბურთელის ოცნებაა „დინამოში“ თამაში. ჩემთვისაც დიდი პატივია „დინამოს“ ღირსების დაცვა და ვეცდები, იმედი არავის გავუცრუო“ — განუცხადა სომხიშვილმა კლუბის ოფიციალურ ვებგვერდს.

**ბახა ზალამბერიძე**

# სამტრედიას კალაძე ჩააცმევსო

**საქართველოს** ჩემპიონატის პირველი ლიგის გამარჯვებული „სამტრედია“ დღეს იკრიბება და საახალსეზონო მზადებასაც დაიწყებენ.

სამტრედიელები ახლოს არიან უმაღლეს ლიგაში დაბრუნებასთან და ახლა ყველანაირად ცდილობენ, ფინანსურ-ფორმალური დოკუმენტაცია მოაწესრიგონ.

როგორც შევიტყვეთ, „სამტრედია“ რამდენიმე ბიზნეს-ჯგუფთან აწარმოებს მოლაპარაკებას და ვნახოთ, რა გამოუვა აქედან.

იქამდე კი გადაწყდა, რომ იტალიური „მილანის“ ქართველი მცველი კახა კალაძე, ვინც წარმოშობით სწორედ სამტრედიიდანაა, მშობლიურ კლუბს ეკიპირებას უსახსოვრებს.

ამასობაში გასარკვევია წამსვლელ-მომსვლელის ვინაობაც...

გუნდი დატოვა თავდამსხმელმა ზაურ ხაჭიპერაძემ, ვინც აზერბაიჯანში ცდილობს გადასვლას. სხვა სიახლე ამ მხრივ ჯერ არაფერია.

სამაგიეროდ, ვალერიან ჩხარტიშვილის გუნდში მისვლის სურვილს ბევრი ცნობილი ფეხბურთელი არ მალავს, მათ შორის, ბოლნისის „სიონის“ მეკარე გრიგოლ ჭანტურია. სამტრედიაელთა თქმით, ჭანტურიას გარდა უმაღლეს ლიგაში მოთამაშე კიდევ რვა-ცხრა ფეხბურთელზეა ლაპარაკი.

თითქმის გადაწყვეტილია „ზესტაფონიდან“ მიხეილ კაკალაძის და გიორგი კვესიეშვილის შემატებაც.

მოკლედ, საინტერესო ამბები გველის და დაველოდოთ...

**ბახა ზალამბერიძე**

# სიმურგმა უგუნდოებს მოუგო

**საქართველოში** შეკრებაზე მყოფმა ზაქათალის „სიმურგმა“ ამხანაგური მატჩი გამართა რევაზ ძოძუაშვილის მიერ გაწვრთნილ უგუნდოდ მყოფ ფეხბურთელთა კრებულთან.

აზერბაიჯანელებმა 1:0 მოიგეს.

სტუმართა გუნდში ხუთმა ჩვენიანმა ითამაშა — დავით ბოლქვაძემ, კახა ჩხეტიანმა, მიხეილ მახვილაძემ, გრიგოლ დოლიძემ, რომან ახალკაცმა და რევაზ გეწაძემ.



რომან პოკორა ქართველებს კიდევ აკვირდება

**ოთარ მხეიძე**

# რევაზ ძოძუაშვილს ხაზარი ეპატიჟება



**რევაზ ძოძუაშვილი,** სავარაუდოდ, აზერბაიჯანულ „ხაზარ-ლენქორანს“ ჩაუდგება სათავეში.

აზერბაიჯანული პრესის ცნობით, ძოძუაშვილის გარდა ამ პოსტზე ვიქტორ პასულკოს კანდიდატურაც განიხილება.

რევაზ ძოძუაშვილი უკვე იყო ჩასული ბაქოში მოლაპარაკებების გასამართად და, როგორც შევიტყვეთ, უახლოეს დღეებში საბოლოო პასუხსაც იტყვის.

**ოთარ მხეიძე**

# დიაკვნიშვილი და მახარაძე ბაქოში ისინჯებიან

**აზერბაიჯანულ** „ბაკუში“ ორი ახალი ფეხბურთელი ისინჯება — თბილისის „ლოკომოტივის“ ნახევარმცველები, კახა მახარაძე და გიორგი დიაკვნიშვილი რამდენიმე დღის წინ ჩავიდნენ ბაქოში და გუნდშიც ვარჯიშობენ.

ამგვარად, ახლა „ბაკუში“ უკვე ოთხი ქართველია — აქამდე ხომ იქ ამირან მუჯირი და გიორგი ადამია ირიცხებიან. ბაქოელთა კიდევ ერთი ქართველი გიორგი დემეტრაძე კი ახალ გუნდს ეძებს.

ადამიასთან დაკავშირებით ერთ სიახლესაც გეტყვით: გიორგიმ კლუბის ხელმძღვანელობას 20 ივნისამდე უნდა უთხრას საბოლოო პასუხი, დარჩება თუ არა გუნდში...

**ოთარ მხეიძე**

# ოლიმპი ბრაზილიელების მოლოდინში დაიცალა

**რუსთავის** „ოლიმპში“ ჯერაც გაურკვევლობაა — კლუბი იმ 20 ბრაზილიელს ელის, რომლებიც ბრაზილიაში მყოფი ქართველი სპეციალისტის, გოჩა ალადაშვილის ინიციატივით ჩამოდიან.



გოჩა ალადაშვილი

„ოლიმპსა“ და „ატლეტიკო პარანაენსეს“ შორის ხელშეკრულება ჯერ არ გაფორმებულა — ამას სწორედ ალადაშვილის და ბრაზილიური კლუბის პრეზიდენტის ჩამოსვლისას გეგმავენ და ვნახოთ, რა გამოვა ამ საქმიდან.

წინასწარი შეთანხმებით კი, „ატლეტიკო პარანაენსე“ მზადაა, ეს ფეხბურთელები „ოლიმპს“ ათხოვოს და ხელფასიც თავად გადაუხადოს.

ჯერჯერობით უცნობია, ამ ოცეულიდან რამდენს დაიტოვებს რუსთაველი კლუბი და რამდენი ბრაზილიელი მიაკითხავს სხვა ქართულ კლუბებს.

სანამ ეს ამბები გაირკვეოდეს, ვარლამ კილასონიას გუნდში დიდი მიდი-მოდია ატეხილი. გიორგი მეგრელაძე აზერბაიჯანულ „სიმურგშია“, იქვე ისინჯება რევაზ გეწაძეც; კვიპროსში აპირებს გადაბარგებას გიორგი ჭელიძე... გარდა ამისა, გუნდი დატოვეს ზვიად სტურუამ, გიორგი ონიანმა, ერნესტ აკუასაგამ, გიორგი დეკანოსიძემ, ლადო ახალაიამ და გიორგი ქუცურუამ.

„სიმურგში“ გადასვლა უნდოდა თემურ ღონღაძესაც, მაგრამ „ოლიმპმა“ არ გაუშვა.

ნამატი კი ჯერჯერობით არცთუ შთამბეჭდავია — კოკა მიქუჩაძე და ზაზა ჭელიძე (ორივე ბოლნისის „სიონიდან“).

დანარჩენს ალბათ დღეს შევიტყობთ — „ოლიმპი“ ამხანაგურ მატჩს გამართავს „სიმურგთან“ და ძველ-ახალიც იქ გამოჩნდება.

**ბახა ზალამბერიძე**

# დია 2009

**საქართველოს** პროფესიული ფეხბურთის ლიგამ ამჯერად შამპანურის ქარხანა „ბაგრატიონი 1882“-ის საბანკეტო დარბაზში ჩაატარა „დია 2009“-ის საზეიმო დაჯილდოვება...

**საუკეთესო მეკარე** — გიორგი ლომაია (ლოკომოტივი)

*ნომინანტები: დიდიე ოვონო (დინამო), გრიგოლ ბედიაშვილი (ვიტ ჯორჯია)*

**საუკეთესო მცველი** — ალექსანდრე კვახაძე (ვიტ ჯორჯია)

*ნომინანტები: გიორგი ონიანი (ოლიმპი), გურამ კაშია (დინამო)*

**საუკეთესო ნახევარმცველი** — ლუკა რაზმაძე (ვიტ ჯორჯია)

*ნომინანტები: ლევან ხმალაძე (დინამო), ირაკლი კლიმიაშვილი (ვიტ ჯორჯია)*

**საუკეთესო თავდამსხმელი** — ნიკოლოზ გელაშვილი (ზესტაფონი)

*ნომინანტები: გიორგი მეგრელაძე (ოლიმპი), ჯაბა ლიპარტია (ვიტ ჯორჯია)*

**საუკეთესო მწვრთნელი** — ნესტორ მუმლაძე (ვიტ ჯორჯია)

*ნომინანტები: ვარლამ კილასონია (ოლიმპი), ბესიკ შეროზია (მგლები)*

**სეზონის აღმოჩენა** — ვაჟა ნემსაძე (დინამო)

*ნომინანტები: გიორგი გაბედავა (ვაგრა), ვახტანგ კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია)*

**საუკეთესო მსაჯი** — ლაშა სილაგავა

*ნომინანტები: გიორგი ვადაჭკორია, ლევან კვარაცხელია*

**ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი** — გიორგი მერებაშვილი (დინამო)

**საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი** — ლევან კობიაშვილი (შალკე, გერმანია)

*ნომინანტები: ლევან მჭედლიძე (პალერმო, იტალია), ალექსანდრე იაშვილი (კარლსრუე, გერმანია)*

**საუკეთესო პროექტი** — „ავაზას“ სპორტული კომპლექსი

*ნომინანტები: ზუგდიდის „ბაიას“ საფეხბურთო სკოლა, 35-ე სკოლის „მომავლის გუნდი“.*




www.witgeorgia.ge

ვიტ-ლაურეატები: ალექსანდრე კვახაძე, ნესტორ მუმლაძე, ლუკა რაზმაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ამხანაგური მატჩი

# აგოლის ეჰ-გოლი

## კუპერს სერია დაუმარგვალდა

10 ივნისი. 21 საათი
ალბანეთი
საქართველო 1:1
ტირანა. ქემალ სტაფა. 2 000 მაყურებელი

0:1 დვალიშვილი (2), 1:1 აგოლი (59)

ალბანეთი: უიკანი, ვანგიელი (ლილა 55), ბექირი, დალკუ (ბილიკბაში 46), ცური, მუზაკა (ბერიშა 46), ვილა (ტელი 80), აგოლი, ბულკუ, სალიპი (გ. ლიკა 70), კაპლანი (პიკა 55)

მწვრთნელი: იოსიპ კუცე

საქართველო: ბედიაშვილი, ლობჟანიძე, ხიზანიშვილი, გ. კაშია, გ. ფოფხაძე, რაზმაძე, კობიაშვილი (კლიმიაშვილი 83), სეთურიძე, გ. მერებაშვილი (მარცვალაძე 62), ა. იაშვილი (დაუშვილი 78), დვალიშვილი (ალექსიძე 65)

მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი

მსაჯები: ა. სტავრევი, მ. კიროვსკი, ლ. კერსტევსკი (სამივე მაკედონია)

**მოლდოვასთან** წაგების მერე საქართველოს ნაკრებისგან ალბათ არავინ ელოდა ასეთ თამაშს და კარგია, რომ ექტორ რაულ კუპერმა მაინც შეძლო გუნდის მოქოქვა.

არა, ცხადია, იმას არ ვამბობთ, რომ ჩვენებმა ტირანაში იგრიჭნეს, თუმცა წინა მატჩთან შედარებით განსხვავება აშკარად იყო.

6 ივნისს მოლდოვასთან 1:2 წაგებამ ისე გაადიზიანა გულშემატკივრები, რომ ნამატჩევს ობსტრუქცია მოუწყვეს ნაკრებს.

ჰოდა, მით უფრო სასიამოვნოა, რომ კუპერის კრებულმა ლაფიდან თავის წამოწევა მოახერხა და ალბანეთთან ნაჩვენებმა პირველმა ტაიმმა, ვინ იცის, მერამდენედ ჩაუსახა იმედი გაწამებულ ქართველობას.

პირველი ტაიმი იმად გამოვარჩიეთ, რომ სწორედ შესვენებამდელა შეეხედებოდა ჩვენების თამაშს — ვლადიმერ დვალიშვილის, გიორგი მერებაშვილის, გიორგი სეთურიძის და ლევან კობიაშვილის აქტიურობას სხვებმაც აუბეს მხარი და კერკეტ ალბანეთსაც ალარაფერი გამოუვიდა.

ექტორ რაულ კუპერის შეგირდებს საქმე სწრაფმა გოლმაც გაუიოლა. უკვე მეორე წუთზე შეძლეს ქართველებმა დაწინაურება, როცა მარცხენა ფლანგიდან მერებაშვილის ჩაწოდებულს დვალიშვილმა თავით მოუძებნა სწორი გაგრძელება და პირველი სანაკრებო გოლიც მიითვალა.

დვალიშვილმა პირველ ტაიმში კიდევ ერთი ბურთის გატანა მოახერხა, თუმცა მსაჯმა თამაშგარე დააფიქსირა და გოლიც, ცხადია, გაუქმდა.

ერთი სიტყვით, დასაწყისს ურიგო არ ეთქმოდა — ჩვენები ბურთსაც კარგად აკონტროლებდნენ, თამაშის გამწვავებასაც ახერხებდნენ და არც მეტოქეს აძლევდნენ რაიმე ლირებულის გაკეთების საშუალებას.

ეგ იყო, შესვენების შემდეგ მოედანზე სულ სხვა გუნდი გამოვიდა. არ გეგონოთ, თითქოს მასპინძლებმა ისე მოუმატეს თამაშს, რომ ჩვენებს ხელ-ფეხი შეეკრათ. სულაც არა. და ამის გათვალისწინებით მით უფრო ძნელი ასახსნელია, რატომ მიატოვეს ქართველებმა დაწყებული საქმე და, ასე ვთქვათ, ძალით აათამაშეს ალბანელები.

მეორე ნახევარში ერთი-ორჯერ თუ გაიბრძოლეს სტუმრებმა, მეტოქის საჯარიმოშიც შეიჭრნენ, თუმცა აქედან არაფერი გამოუვიდათ და არც სხვა საინტერესო გვინახავს მათგან რამე.

ჩვენების პასიურობის მიუხედავად, იოსიპ კუცეს გუნდს დასამახსოვრებელი მომენტი მაინც არ ჰქონია, გოლიც ისეთი გაიტანა, რომ სასაცილოდ არ ეყოფოდა კაცს, მაგრამ... რა არის სასაცილო, როცა ეს გოლი შენს კარში გადის...

დებიუტანტმა გრიგოლ ბედიაშვილმა უმარტივესი ბურთი ვერ აიღო — შორიდან არცთუ ძლიერად დარტყმული საქართველოს ნაკრების კარში შეგორდა და ამ ყველაფერს ჰეტჯორჯიელმა კარის დარაჯმა, საწუხაროდ, თვალიდა გააყოლა...

ზუსტად ვერ გეტყვით, ალბათ რიკოშეტიც იყო, მაგრამ ისე შორიდან და ისე ნელა იყო დარტყმა შესრულებული, რომ...

რაც არის, ეგ არის — 1:1.

დრო გავა და ალბათ საქართველოს ნაკრების კარში გასულ ბურთებზე ვინმე კომედიური ჟანრის ფილმს გადაიღებს — უკვე მერამდენედ ხდება, რომ არგასაშვებს ვუშვებთ და იქამდე გაწეულ შრომას წყალში ვყრით, მაგრამ რა გინდა, რომ ქნა...

არადა, ბედიაშვილის მიმართ საყვედური იმ დღეს არავის ექნებოდა...

ალბანელმა აგოლიმ 59-ე წუთზე გაათანაბრა ანგარიში და თქვენ გგონიათ, ამის შემდეგ მასპინძლებმა შტურმზე დაიწყეს ფიქრი? არამც და არამც — უვარგისი თამაში გაგრძელდა ბოლომდე და ალბათ ეს ფრე მაინც უფრო სამართლიანი შედეგი გამოდგა...

კუპერის ქართული ანტირეკორდი კი გრძელდება — ზედიზედ მეათე თამაშია, არგენტინელი მწვრთნელი გამარჯვების მოპოვებას ვერ ახერხებს...

**ოთარ მხეიძე**



ლევან კობიაშვილი, როგორც ყოველთვის, აქტიური იყო



# მოლდოვის მერე ხმაური კი არა, სრული სიჩუმე იყო!

ვლადიმერ დვალიშვილს ბევრი დრო არ დასჭირვებია, რათა საქართველოს ეროვნულ ნაკრებში თავი გამოეჩინა. რიგის „სკონტოს“ თავდამსხმელმა უკვე მეორე მატჩში შეძლო გოლის გატანა და ამან ნაკრებს ფრე მოუტანა. დვალიშვილმა ალბანელებთან შეხვედრაში მეორე გოლიც შეაგდო, თუმცა მსაჯმა არ ჩაუთვალა და საერთოდაც, ტირანულ შეხვედრაში ჩვენებიდან თუ ვინმე იყო გამორჩეული, ეს პირველ რიგში სწორედ ვლადიმერ დვალიშვილი გახლდათ...

**— მოლდოვასთან მატჩით დავიწყოთ. როგორ შეაფასებ იმ თამაშს?**

— ძალიან ცუდად გასახსენებელი თამაშია... სხვას ვერაფერს ვიტყვი...

**— ასეთ თამაშში დებიუტს ალბათ არავინ ისურვებდა...**

— ალბათ, არა...

**— რა გითხრა ექტორ რაულ კუპერმა თამაშის შემდეგ?**

— ბევრი არაფერი, დებიუტს გილოცავო...

**— და მთლიანად გუნდს? ამბობენ, მატჩის მერე გასახდელიდან ხმაური გამოდიოდაო...**

— არა, ტყუილია. თამაშის მერე ხმაური კი არა, პირიქით, სიჩუმე იყო...

**— კეთილი. ახლა ალბანეთზეც ვთქვათ — უკვე მე-2 წუთზე შეძელი გოლის გატანა...**

— კარგად დაიწყო ყველაფერი და ამ გოლმაც ძალიან გამახარა...

**— ალბათ ამან უფრო გაგიშალა ფრთები...**

— კი, შეიძლება ასეც ითქვას. თუმცა, სიმართლე გითხრათ, ბურთს თავიდანვე რომ შევეხე, ფსიქოლოგიური წნეხი მაშინვე მომეხსნა და მთლიანად თამაშში ჩავერთე... დაძაბული არ ვყოფილვარ...

**— მერე მეორე გოლიც გაიტანე, მაგრამ მსაჯმა არ ჩაგითვალა...**

— ზუსტად ვერ დავინახე... ალბათ ცოტათი წინ ვიყავი და ამიტომაც დააფიქსირეს მსაჯებმა თამაშგარე...

**— პირველ ტაიმში გაცილებით უკეთ ითამაშა ჩვენმა ნაკრებმა, ვიდრე მეორეში. რატომ დათმეთ პოზიციები?**

— გეთანხმებით, პირველ ტაიმში მართლა უკეთესად ვითამაშეთ. ზუსტად არ ვიცი, ეს რისი ბრალი იყო, მაგრამ ტირანაში ისე ცხელოდა, რომ მასპინძლებსაც მაგრად უჭირდათ სირბილი. ალბათ ამანაც დაამძიმა გარკვეული დალი ჩვენს თამაშს.

**— რამდენად კმაყოფილი დარჩი ამ ორ თამაშში საკუთარი თავით და თვლი თუ არა, რომ ნაკრებში ადგილის დამკვიდრებას შეძლებ?**

— რა ვიცი, მგონი, ყველაფერმა ნორმალურად ჩაიარა. რაც შეეხება ნაკრებში დამკვიდრებას — ვეცდები, ყველაფერი გავაკეთო, რათა საქართველოს ნაკრების ღირსება მომავალშიც დავიცვა. ამისთვის მზად ვარ და ვნახოთ...

**კახა ზალამბერიძე**

# ფედერაციამ ცხადაძე არ გაატოპმიოლერა

## აზერბაიჯანის გზას ჩიხრაძეც დაადგა

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაცია არჩევანის წინაშე დადგა — ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი კახა ცხადაძე ბაქოს „ინტერის“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა და ეს მოხდა ალბანელ 21-წლამდელებთან მატჩის წინ.

თუ რატომ მიიღო ცხადაძემ ასეთი გადაწყვეტილება, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცისგან შევიტყვეთ — აზერბაიჯანელებმა ცხადაძეს უკეთესი ფინანსური პირობები შესთავაზეს, ვიდრე საქართველოს ნაკრებში ჰქონდა.

აი, რატომ გავიგეთ ეს ამბავი „ინტერის“ პრეზიდენტისგან და არა ქართული მხარისგან, ძნელი სათქმელია, თუმცა ფაქტია — ახლა გადაწყვეტილებაა მისაღები.

თუმცა, სანამ ახალი მწვრთნელის საკითხს გადაწყვეტს, ფედერაციამ ერთი გადაწყვეტილება უკვე მიიღო — კახა ცხადაძეს პარალელურად ნაკრებში მუშაობაზე უარი უთხრა. ამგვარი ინიციატივა თავად ცხადაძისგან წამოვიდა, რომელმაც ფედერაციას უთხრა, თუ თქვენი სურვილიც იქნა, სანაკრებო მატჩების წინ ჩამოვალ და გუნდს სათამაშოდ მოვამზადებო.

ასეთი წინადადების მიღებისას ვინძლო ფედერაციაში კლაუს ტოპმოლერი გაახსენდათ, რომელიც საქართველოში მხოლოდ მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე ჩამოდიოდა. ალბათ, ისიც გაახსენდათ, როგორი რეაქცია ჰქონდა მედიისგან და გულშემატკივრებისგან ტოპმიოლერის ასეთ სამუშაო გრაფიკს და ამადაც უთხრეს უარი ცხადაძეს შეთავსებით მუშაობაზე.

ცხადაძესთან და აზერბაიჯანულ მხარესთან კი ფედერაციამ ასეთი შეთანხმება დადო: ნაკრებთან კონტრაქტის გაწყვეტის სანაცვლოდ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ სრულად უნდა მიიღოს კომპენსაცია. დაითვლება, თუ რამდენი დახარჯა ქართულმა მხარემ ცხადაძეზე (ხელფასის ჩათვლით) ამ ოთხ თვეში და ამ თანხას აზერბაიჯანელები აანაზღაურებენ.

ინფორმაციისთვის: კახა ცხადაძე ხელფასს სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებდა.

ნოდარ ახალკაცის თქმით, ახალგაზრდულ ნაკრებში ცხადაძის თანაშემწეები, ზაურ სვანაძე და დავით გვარამაძე ჩვეულებრივ აგრძელებენ მუშაობას, ხოლო მთავარი მწვრთნელის საკითხი უახლოეს მომავალში გაირკვევა. მით უმეტეს, დრო არ ითმენს — სექტემბერში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი იწყება და გუნდის ასე ანაბარა მიტოვება ვერ იქნება კარგი შედეგის მომტანი.

ფედერაციის მესვეურთა თქმით, ისინი ორ-სამ კანდიდატურას განიხილავენ, თუმცა გვარების დასახელებისგან ჯერჯერობით თავს იკავებენ.

სავარაუდოდ, ერთ-ერთი კანდიდატი — და, ალბათ, ყველაზე რეალურიც — „ამერის“ თავკაცი გიორგი ჩიხრაძე უნდა ყოფილიყო, მაგრამ...

სანამ ამ სამ წერტილს მიღმა ამბავს მოგახსენებთ, ეს ვთქვათ: თუ ჩიხრაძის სამწვრთნელო კარიერას და მიღწევებს გავიხსენებთ, მისი კანდიდატურის განხილვა სავსებით ბუნებრივი და ლოგიკური იქნებოდა.

გიორგი ჩიხრაძემ მწვრთნელობა 2004 წელს დაიწყო და ამ ხუთ წელიწადში „ამერს“ ორჯერ მოაგებინა საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგა; ასევე ორ-ორჯერ მოიგო საქართველოს თასი და სუპერთასი. ერთხელაც გუნდი თასის ფინალში გაიყვანა. ორი წლის წინ ის ქვეყნის საუკეთესო მწვრთნელადაც, აღიარეს...

მაგრამ გიორგი ჩიხრაძე გუშინ აზერბაიჯანში გაემგზავრა, სადაც... კახა ცხადაძის თანაშემწე იქნება „ინტერში“...

ფინანსური პრობლემების გამო „ამერი“ ახალ სეზონში კვლავ ვერ ითამაშებს უმაღლეს ლიგაში (ამის თაობაზე დღევანდელი „სარბიელის“ ცალკე წერილში შეგიძლიათ წაიკითხოთ) და, რა გასაკვირია, ერთ-ერთმა ყველაზე პერსპექტიულმა ქართველმა მწვრთნელმაც ახალი სამსახური რომ მოძებნა.

ცხადაძე ორიოდ დღის წინ ჩავიდა თურქეთში, სადაც „ინტერი“ შეკრებას გაივლის და თურქეთშივე გაემგზავრა გუშინ ჩიხრაძეც.

ჩვენი აზერბაიჯანელი კოლეგები წერენ, რომ ქართველ მწვრთნელს ორი აზერბაიჯანელი თანაშემწეც ეყოლება. ფიქრობდნენ იმასაც, რომ ბაქოს გზას ზაურ სვანაძეც დაადგებოდა, ვინც ცხადაძეს საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ეხმარებოდა, მაგრამ...

საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში კი ახალი მწვრთნელის საკითხი დროულადაა მისახედი. იქამდე კი შეგახსენებთ, რომ სანამ ცხადაძე ახალგაზრდულ ნაკრებს ჩაიბარებდა, ბაქოს „სტანდარდს“ წვრთნიდა...

**ოთარ მხეიძე**



გიორგი ჩიხრაძე



კახა ცხადაძე

ქართული სიტყვა უცხო პრესაში

# კახა ცხადაძე: ინტერი ჩემს ხელში ძალიან შეიცვლება

ბაქოს „ინტერის“ ახალ მწვრთნელ კახა ცხადაძეს ინტერვიუ „აზერისპორტმა“ ჩამოართვა. ჩვენი კოლეგები ცხადაძეს თურქეთში გამგზავრებამდე შეეხმიანნენ და აი, რა უთხრა მათ ქართველმა მწვრთნელმა...

— როგორ დაინიშნეთ „ინტერის“ მწვრთნელად?

— კლუბის ხელმძღვანელობა დამიკავშირდა და მეც დავთანხმდი ამ წინადადებას.

— დიდხანს იფიქრეთ, სანამ გადაწყვეტილებას მიიღებდით?

— არა, თუმცა იყო გარკვეული საკითხები, რომლებიც უფრო დეტალურ განხილვას ითხოვდა.

— გუნდის საახალსეზონო მიზნებზე ხელმძღვანელობასთან უკვე ისაუბრეთ?

— ჯერ არა, მაგრამ „ინტერი“ ის გუნდია, რომელსაც ორი მიზანი შეიძლება ჰქონდეს: აზერბაიჯანის ჩემპიონობა და ევროთასებზე კარგად გამოსვლა.

— აზერბაიჯანი ნახევარი წლის წინ დატოვეთ. ამ ხნის განმავლობაში „ინტერის“ თამაშებს თვალს ადევნებდით?

— ინფორმაცია მაქვს... ონლაინ-რეპორტაჟებს ვკითხულობდი, ახალ ამბებს ვეცნობოდი... მართალია, თამაშები არ მინახავს, თუმცა ამას კიდევ მოვასწრებ.

— დიდად შეიცვლება „ინტერი“ თქვენს ხელში?

— სათამაშო თვალსაზრისით ძალიან შეიცვლება.

— და ფეხბურთელების მხრივ?

— ჯერ მათ შეკრებაზე უნდა დავაკვირდე, ვნახო სუსტი მხარეები... აი, ამის შემდეგ მეცოდინება, რომელ პოზიციებზე დაგვჭირდება გაძლიერება. ახალწვეულები კი, რა თქმა უნდა, იქნებიან...

— მათ შორის, თქვენი ყოფილი გუნდიდანაც?

— შესაძლოა...

— „ინტერში“ თქვენი პირველი ოფიციალური მატჩი საევროთასო იქნება...

— დრო ცოტა გვაქვს და ეს მშვენივრად მესმის. კარგად უნდა მოვემზადოთ, რათა ღირსეული შედეგი ვაჩვენოთ. თუმცა ჩემი მთავარი ამოცანა მაინც აზერბაიჯანის ჩემპიონატისთვის სრულყოფილად მომზადებაა.

— და რას იტყვით თქვენს ყოფილ გუნდზე?

— „სტანდარდი“ ძალიან ახალგაზრდული გუნდია. პროგრესიც სახეზეა — გასულ სეზონში კარგად წარმოაჩინა თავი. ვფიქრობ, ამ გუნდის მიზანი ყოველ წელს თითო ნაბიჯით წინსვლა უნდა იყოს...



# ლომაია ბაქოურ კარში

**ბაქოს** „ინტერს“ კახა ცხადაძისა და გიორგი ჩიხრაძის გარდა, ალბათ, მესამე ქართველიც ეყოლება — საქართველოს ნაკრებისა და თბილისის „ლოკომოტივის“ მეკარე გიორგი ლომაია.

ცხადაძე უკვე დაუკავშირდა ლომაიას და ამ ტრანსფერის ბედიც, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია.

სავარაუდოდ, ლომაია ერთწლიან კონტრაქტს გააფორმებს ბაქოურ კლუბთან.

**კახა შალამბერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა






# ვაშა, უეფამ სახელმწიფო გაგვიუქმა!

## საქართველომ ჩაკეტილი ჩემპიონატი მიიღო

**ღმერთმა დალოცოს უეფა და მეტადრე ის კაცი, ვინაც პირველმა თქვა, რომ ამ პატივცემულ ორგანიზაციას თავისი წესები აქვს და ვერც ერთი სახელმწიფო მის საქმეებში ვერ ჩაერევა. ხოლო ჩარევის მცირედი მცდელობაც კი უეფადან გარიცხვით ისჯება...**

ამ წელიწადნახევრის წინ, როცა ზარზეიმით გამოცხადდა ახალი სახელმწიფო პროგრამის ამოქმედება, რომელიც ახალი სტადიონების მშენებლობას ითვალისწინებდა, ისიც ითქვა, რომ სახელმწიფოს გამგებლობაში მყოფი კლუბები უსწრაფესად უნდა გადასულიყვნენ კერძო მეპატრონეთა ხელში და საამისოდ, სახელმწიფო საფეხბურთო ინვესტორებს მთელ რიგ შეღავათებს ჰპირდებოდა.

ზარზეიმით გამოცხადებული პროექტები, როგორც წესი, უხმურად შემოლაგდება-ხოლმე სულ ბოლო თაროზე და ასე დაემართა ამ კარგ ინიციატივასაც.

მაგრამ არსებობს დალოცვილი უეფა, რომლის დირექტივაც სავალდებულოა ორგანიზაციის წევრი 53-ვე ქვეყნისთვის და რომლის სიტყვასაც ნატოსა თუ ევროკავშირისაზე მეტი ფასი აქვს.

უეფამ კი ბრძანა, რომ სახელმწიფოს მფლობელობაში კლუბები არ უნდა არსებობდნენ და დაუყოვნებლივ მოითხოვა ამ ვალდებულების აღსრულება.

წინა კვირაში ამ საკითხზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმაც იმსჯელა და მისი შედეგები ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა და ვიცე-პრეზიდენტმა გოგი ქავთარაძემ პრესკონფერენციაზე გამოაცხადეს.

გადაწყვეტილება ისტორიულია: 2009-2010 წლების სეზონიდან საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში სახელმწიფოს კმაყოფაზე მყოფი გუნდები აღარ იქნებიან!

გამოცხადდა ისიც, რომ უმაღლეს ლიგაში ვერც ერთი ულიცენზიო კლუბი ვეღარ ითამაშებს!

ახალ სეზონში უმაღლეს ლიგაში ამ გუნდებს უნდა ეთამაშათ:

„ვიტ ჯორჯია“ თბილისი
„დინამო“ თბილისი
სკ „ზესტაფონი“
„ოლიმპი“ რუსთავი
„სიონი“ ბოლნისი
„ლოკომოტივი“ თბილისი
„მგლები“ ზუგდიდი
„მესხეთი“ ახალციხე
„ამერი“ თბილისი
სკ „სამტრედია“

ამათგან უეფას მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებენ:

„მესხეთი“ ახალციხე
„ამერი“ თბილისი
სკ „სამტრედია“
„მგლები“ ზუგდიდი
„სიონი“ ბოლნისი

ანუ, ამ წუთისთვის საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მხოლოდ ხუთ გუნდს აქვს:

„ვიტ ჯორჯია“ თბილისი
„დინამო“ თბილისი
სკ „ზესტაფონი“
„ოლიმპი“ რუსთავი
„ლოკომოტივი“ თბილისი

5-გუნდა ჩემპიონატი კი, დაგვეთანხმებით, ვერაფერი ბედენა გამოვა.

როგორც პრესკონფერენციაზე ნოდარ ახალკაცმა გვითხრა, უკვე გამორიცხულია უმაღლეს ლიგაში „ამერის“ და „მესხეთის“ თამაში. ორივე შემთხვევაში მიზეზი უსახსრობაა.

„მგლები“, „სიონი“ და „სამტრედია“ კი მუნიციპალურ (სახელმწიფო) საკუთრებაში მყოფი გუნდებია და ამასთანავე უმაღლესში ახლადაღზევებულ სამტრედიელებს სალიცენზიო პროცესიც არ აქვთ დასრულებული.

ახალკაცის თქმით, ამ გუნდებს კიდევ აქვთ მცირე დრო, რათა კერძო მეპატრონე მოძებნონ და თუ მოახერხეს, უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მიეცემათ.

მოძებნიან? ან კი, ან არა და ორივე ვარიანტს თავისი არგუმენტები გააჩნია...

არა: ქვეყანაში, სადაც არ არსებობს ზოგადად, სპორტის და კერძოდ, ფეხბურთის განვითარების ხელშემწყობი საკანონმდებლო ბაზა; სადაც ფეხბურთი წამგებიანი ბიზნესია; სადაც ჩემპიონატის თამაშებზე 300 კაცის მისვლა დამაკმაყოფილებელ დასწრებად ითვლება, სადაც ეკონომიკური კრიზისი მძვინვარებს — ყოვლად წარმოუდგენელია, ადამიანს ფეხბურთის კლუბის დაპატრონების და ყოველწლიურად ასი ათასობით ლარის თუ დოლარის დახარჯვის სურვილი გაუჩნდეს...

კი: ბოროტი ენები ამბობენ, ამ ქვეყანაში მდიდარ კაცს თუ კომპანიას „ზემოდან“ თუ დაავალებენ, ფეხბურთის გუნდსაც შეანახვინებენ და ჰოკეის გუნდსაცო...

ამ ვარიანტთაგან რომელი გამართლდება, სულ მალე შევიტყობთ, ფეხბურთის ფედერაციას კი სათადარიგო ვარიანტიც აქვს. ეს ვარიანტი უმაღლეს ლიგაში იმ პირველლიგელი კლუბების დაშვებას გულისხმობს, რომლებიც კერძო მფლობელობაშიც არიან და ლიცენზიაც მოპოვებული აქვთ.

ესენია:

სკ „გაგრა“
„მერანი“ მარტვილი
„ბაია“ ზუგდიდი

და თუ საბოლოოდ ეს ვარიანტი გამოვიდა, ჩაკეტილ, ნბა-სა და ნჰლის ტიპის ჩემპიონატს მივიღებთ, საიდანაც არავინ ვარდება, რაკი შემომსვლელი გუნდები (ჯერჯერობით მაინც) ფიზიკურად არ იარსებებენ.

მკითხველს, შესაძლოა, ასეთი კითხვა გაუჩნდეს: რატომ არის ასეთი კატეგორიული უეფა და რატომ კრძალავს სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი გუნდების არსებობას? მით უმეტეს, რომ ეს მოთხოვნა სერიოზულ პრობლემებს უქმნის, მაგალითად, საქართველოს ჩემპიონატის ჩატარებას?

შევეცდებით, ამ კითხვაზე ჩვენეული პასუხი გავცეთ და ავხსნათ, თუ რატომ არ უნდა იყვნენ საქართველოს ჩემპიონატში სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი გუნდები:

1. სასტარტო პირობები ყველა გუნდს თანაბარი უნდა ჰქონდეს. როცა კერძო საკუთრებაში მყოფი გუნდის მეპატრონეები უზარმაზარ თანხებს ხარჯავენ, სახელმწიფოსგან კი ოტისოდენა ხელშეწყობაც არ აქვთ, ხოლო ამავე დროს, კლუბების ნაწილი პირდაპირ ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, ეს სამართლიანობის პრინციპის უხეში დარღვევაა.

2. სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი კლუბების კეთილდღეობა პირდაპირ არის დამოკიდებული იმაზე, უყვარს თუ არა კონკრეტული რაიონის გამგებელს ან მხარის გუბერნატორს ფეხბურთი. ამ ადამიანებს სულაც ვერ მოვთხოვთ, რომ ფეხბურთის თავგადაკლული გულშემატკივრები იყვნენ და თანამდებობებზე მათი დანიშვნაც ფეხბურთისადმი ტრფიალის მიხედვით, ცხადია, ვერ მოხდება. ამიტომ, როცა საფეხბურთო კლუბის თავკაცი შემთხვევითი კაცია, ასეთი კლუბის სტაბილურობა და განვითარება ფრიად საეჭვოა. ჩვენ ამის უამრავი მაგალითი გვაქვს.

3. უეფას ერთ-ერთი კატეგორიული მოთხოვნა ისიც არის, რომ ერთ ლიგაში არ შეიძლება თამაშობდეს ორი ან მეტი ისეთი გუნდი, რომლებსაც ერთი მეპატრონე ჰყავთ. მიზეზი ცხადია: ერთი მეპატრონის ორი გუნდის ურთიერთშეხვედრებს, ძალიან დიდი შანსია, საეჭვო სუნი აუვიდეს. და ეს რომ ნამდვილად ასეა, ამაში დასარწმუნებლად შორს წასვლა საჭირო არ არის — თანამედროვე ქართულ სინამდვილეს შეხედეთ.

4. სახელმწიფოს ბიუჯეტით დაფინანსებულ კლუბებში ფულს მაინცდამაინც ყაირათიანად არ ხარჯავენ.

მაგალითისთვის ერთი ასეთი შემთხვევა გვახსენდება. რამდენიმე წლის წინ ევროთასებზე გასულმა ერთმა ქართულმა კლუბმა შვეიცარიაში წილისყრის 10-წუთიან პროცედურაზე დასასწრებად, თუ მახსოვრობა არ გვღალატობს, 4-კაციანი დელეგაცია და თან რამდენიმე დღით მიავლინა. საბიუჯეტო ფულს კი (ისევე როგორც, ნებისმიერ ფულს) უფრო გონივრულად გამოყენება სჭირდება.

მეტი კი რა ვთქვათ...

ძალიან გულდასაწყვეტია, თუ უმაღლეს ლიგაში ვერ ითამაშებს სამტრედიელთა სიმპათიური გუნდი, საქართველოს შარშანწინდელი ჩემპიონი „სიონი“...

და საქართველოს თასის ორგზის მომგები „ამერი“?

ამ კლუბის პრეზიდენტს, ამავე დროს აღმასკომის წევრ ზურაბ ფუცხვერიას პრესკონფერენციის დასრულებისთანავე რომ დავურეკეთ, საიმედო ვერაფერი გვითხრა...




**გიორგი დარჯანია**

ეროვნული ბიბლიოთეკა




რევაზ არველაძე, გოგი ქავთარაძე, ნოდარ ახალკაცი, გურამ რუხაძე და გრიგოლ ცაავა



ვიტელთა პრეზიდენტმა ხელოვნური საფარი პრეზენტაციაზევე შეამოწმა

# არმაზი დაიგება, აშენდება და გადაიხურება

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაცია ფიფას პროგრამა „ჰეთ თრიქით“ გათვალისწინებული პროექტის განხორციელებას იწყებს და სწორედ ამას მიეძღვნა „ვიტ ჯორჯიას“ ოფისში გამართული პრეზენტაცია.

ფედერაციის დახმარებით, მცხეთის „არმაზზე“ ბოლო თაობის ხელოვნურსაფარიანი მოედანი დაიგება, რასაც კლუბი ინფრასტრუქტურის მოწესრიგებით შეეშველება და წლის ბოლოს საქართველოს ჩემპიონს თავისუფლად შეეძლება, ამ სტადიონზე გამართოს საშინაო მატჩები.

პროექტის განხორციელებაში მონაწილე კომპანია ჯერ არ გარკვეულა, ტენდერში გამარჯვებაზე სამი კომპანია აცხადებს პრეტენზიას — „ეი-სი-თი გლობალი“, „პოლიტანი“ და „ტარკეტი“.

***გურამ რუხაძე, „ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტი:*** „სამუშაოები სამ ეტაპად შესრულდება. პირველ ეტაპზე ფედერაცია საფარს დააგებს და ჩვენ ორიათასკაციან გადახურულ ტრიბუნას ავაშენებთ. ეს სამუშაოები, სავარაუდოდ, ნოემბრის ბოლოს დასრულდება. მეორე ეტაპზე საპირისპირო მხარესაც ორიათასიან ტრიბუნას ავაშენებთ, მესამე ეტაპზე კი განათებისა და ბაზის მოწყობაზე ვიმუშავებთ. აქვე ვგეგმავთ 50-კაციანი სასტუმროს აშენებას“.

***ნოდარ ახალკაცი, სფფ-ის პრეზიდენტი:*** „უახლოეს მომავალში ასეთი პრეზენტაცია რუსთავშიც შედგება და „ოლიმპთან“ გავაფორმებთ ხელშეკრულებას. მესამე საფარს კი ტექნიკურ ცენტრ „ბასაში“ დავაგებთ. აქვე გეტყვით, რომ „ბასაზე“ ბალახისსაფარიან მოედანსაც მოვაწესრიგებთ“.

***რევაზ არველაძე, სფფ-ის გენერალური მდივანი:*** „ბევრი არ გვიფიქრია და გადავწყვიტეთ, პირველ რიგში, წამყვან ქართულ კლუბებს დავეხმაროთ. ეს პროექტი მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ მცხეთის სტადიონი, შესაძლოა, ნაკრებმა გუნდებმაც გამოიყენონ“.

**ოთარ მხეიძე**



გიორგი ონიანი



ჯაბა დვალი

# მიხედეთ საქმეს!

## ზესტაფონი სლოვენიაში მელქაძის გარეშე წავიდა

**„ზესტაფონი“** აგრძელებს სატრანსფერო მუშაობას და კიდევ ორი ახალი ფეხბურთელი შეიმატა — მოლდოვური „დაჩიას“ თავდამსხმელი ჯაბა დვალი და რუსთავის „ოლიმპის“ მცველი გიორგი ონიანი.

დვალმაც და ონიანმაც იმერლებთან ორწლიანი კონტრაქტები გააფორმეს.

შეგახსენებთ, რომ იქამდე „ზესტაფონმა“ თორნიკე აფციაური, ზაალ ელიავა და კახა მეშველიანი შეიმატა.

როგორც შევიტყვეთ, გია გეგუჩაძის გუნდი სელექციას კიდევ აგრძელებს და უახლოეს მომავალში სიახლეები ალბათ კიდევ იქნება.

12 კი ივნისს გუნდი სლოვენიაში გაემგზავრა შეკრებაზე და ქალაქ პტუიში დაბინავდა. ზესტაფონელთა სპარინგპარტნიორთა შორის არიან პოლონური „პოლონია“, სლოვენიური „ნაფტა“, „მარიბორი“ და „გორიცა“.

გია გეგუჩაძემ სლოვენიურ შეკრებაზე ეს 22 ფეხბურთელი წაიყვანა:

***მეკარეები:*** *როინ კვასხვაძე, ზურაბ მამალაძე, კახა მეშველიანი;*

***მცველები:*** *სევასტი თოდუა, უჩა ლობჯანიძე, გიორგი ხიდეშელი, კარენ მაკარიანი, გიორგი ონიანი, ზაალ ელიავა, გიორგი გურამანიძე;*

***ნახევარმცველები:*** *ნიკა კვასხვაძე, მურთაზ დაუშვილი, ალექსი ბენაშვილი, თორნიკე გორგიაშვილი, ირაკლი ძარია, შოთა გრიგალაშვილი, თორნიკე აფციაური, გიორგი ჭანკოტაძე;*

***თავდამსხმელები:*** *ზურაბ იონანიძე, ნიკა გელაშვილი, ჯაბა დვალი, ნიკა ჩიხლაძე.*

ალბათ შეამჩნევდით, რომ გუნდში აღარ არის ლევან მელქაძე. იქამდე კი იმერლებმა მიხეილ კაკალაძე და გიორგი კვესიეშვილიც გაუშვეს.

ამასობაში კი, ცნობილი გახდა, რომ შესაძლოა, ფეროელებმა უეფას ევროპის ლიგის საშინაო მატჩი ზესტაფონში ვერ ჩაატარონ. ამის მიზეზი კოპიტნარის აეროპორტის მოუწესრიგებლობაა. არადა, უეფას დებულებით, აეროპორტი მატჩის გასამართი ადგილიდან მაქსიმუმ 60 კილომეტრით უნდა იყოს დაშორებული და თუ კოპიტნარის აეროპორტმა თვითმფრინავის მიღება ვერ შეძლო, იმერლებს თბილისში მოუწევთ მატჩის გამართვა.

სამწუხარო ისაა, რომ „ზესტაფონს“ ვითარების შეცვლა არანაირად არ შეუძლია. აბა, სად გაგიგონიათ, კლუბი აეროპორტის აღჭურვა-მომარაგებაზე ზრუნავდეს?!

იმედია, ის, ვისაც ამ საკითხის მოგვარება ეხება, საქმეს ხელს მოჰკიდებს და ამ უაზრო მიზეზის გამო ზესტაფონელებს თბილისში გადმოსახლება არ მოუწევთ...

**ბახა ზალამბერიძე**




ასე დახვდნენ სლოვენიელები შეკრებაზე ჩასულ ზესტაფონელებს



# განცხადება

**ფეხბურთის** აღორძინება და ტრადიციების აღდგენა ხელისუფლების დახმარების გარეშე შეუძლებელია. საქართველოში ფეხბურთი ვითარდებოდა სახელმწიფოს მხარდაჭერით და დახმარებით, რისი შედეგიც იყო თბილისის „დინამოს“ საერთაშორისო არენაზე გასვლა. იქ თავს იყრიდნენ საქართველოს რეგიონებში აღზრდილი ფეხბურთელები, რომელიც ასევე ფინანსდებოდა სახელმწიფოს მიერ. არსებობდა პირველი ჯგუფი, მეორე ჯგუფი, მესამე ჯგუფი — თითოეულ ჯგუფში 16-20 გუნდი მონაწილეობდა. გუნდების რაოდენობა არ იზღუდებოდა. რეგიონებში აღზრდილი ფეხბურთელებით ამაყობდა ჩვენი ქვეყანა. დღეს კი ფეხბურთის განვითარება ხელოვნურად შეზღუდულია. უმაღლესი ლიგა 10 გუნდით — ეს არის ტრაგედია ქართული ფეხბურთისთვის. ასეთმა შეზღუდვამ შექმნა პრეცედენტი ჩვენი ფეხბურთელების მამლუქებად ქცევისა. ფეხბურთელები უკვე ბავშვობის ასაკიდან გარბიან სხვადასხვა ქვეყნებში იმიტომ, რომ მათ აქ მომავალი და ადგილი არა აქვთ. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია რა მოტივით აკეთებს ამას, გაუგებარია. ყველა ფეხბურთელს უნდა მივცეთ საშუალება მწვერვალისკენ ლტოლვისა, რაც ფეხბურთის ფედერაციამ ასეთი შეზღუდვებით არ უნდა მოშალოს იმ მოტივით, რომ ჩვენთან არ იზრდებიან უმაღლესი კლასის ფეხბურთელები. პირიქით, ასეთი ქმედებით და შეზღუდვებით ხელი ეშლება მათ აღზრდას. იქმნება პირობები პერსპექტიული ფეხბურთელების საქართველოდან გაქცევისა. პერსპექტიულმა ფეხბურთელებმა უნდა გამოსცადონ თავიანთი შესაძლებლობები უმაღლეს ლიგაში, რასაც ვერ აკმაყოფილებს უმაღლესი ლიგის 10 გუნდით განსაზღვრა.

მაგალითი ის არის, რომ წმინდა ტრადიციული ქალაქები და რაიონები გამოეთიშვიდობნენ უმაღლეს ლიგას, რამაც შექმნა უმაღლესი ლიგის გადაბერების პრეცედენტი. არ ჩნდება ახალი პერსპექტიული სახეები, ტრიალებს გადაბერებული ფეხბურთელების კარუსელი გუნდებიდან გუნდებში... ვერ იქმნება პერსპექტიული ნაკრები, ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია, რომ უმაღლესი ლიგა საქართველოში განისაზღვროს მინიმუმ 16 გუნდით. ეს შექმნის ჩვენი პერსპექტიული ფეხბურთელების თავის ქვეყნისკენ შემობრუნების პირობებს. რაზედაც უნდა იზრუნოს პირველ რიგში სახელმწიფომ და განახორციელოს ფეხბურთის ფედერაციამ. ეჭვი არ მეპარება, რომ ასეთი პროგრამის განხორციელება საქართველოში შექმნის ფეხბურთის აღორძინების ტრადიციების აღდგენის პირობებს, რაც ყველაზე მეტად საჭიროება ფასდაუდებელ პატრიოტიზმს ძლიერი ნაკრების შექმნით.

მარტვილის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი,
სამეგრელო-ზემო სვანეთის ფეხბურთის ფედერაციის
ვიცე-პრეზიდენტი **ემილ გალდავა**

# ჩემი დრო მოვა!

## ტატანაშვილი შანსს ახალ სეზონშიც შეუტევს

რთული გამოდგა დიმიტრი ტატანაშვილისთვის გასული სეზონი — თბილისის „ამერიდან" ჩეხურ „პლზენში" გადასულ თავდამსხმელს სათამაშო პრაქტიკა სასურველზე ნაკლები ჰქონდა და, ცხადია, ამან მის შედეგიანობაზე იმოქმედა. ახლა ტატანაშვილი თბილისშია, აქ ატარებს შვებულებას და ჩვენც ამით ვისარგებლეთ, როცა რედაქციაში ვისტუმრეთ...



— გასული სეზონით ალბათ უკმაყოფილო იქნები...

— რა თქმა უნდა, ძალიან უკმაყოფილო ვარ. არც გუნდის შედეგი იყო მისაღები, რადგან ევროთასზე გასვლა გვინდოდა და ვერ მოვახერხეთ; არც ჩემი თავი არ მომეწონა — მეტი უნდა მეთამაშა, მაგრამ სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

— მიზეზი?

— ადაპტაციის სწრაფად გავლა გამიჭირდა. თავიდანვე იოლად ვერ შევეწყვე უცხო გარემოს და ეტყობა, ამან ძალიან შემიშალა ხელი.

— თუმცა სანამ „პლზენს" მწვრთნელი შეეცვლებოდა, თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა...

— ეს იმიტომ, რომ იმ ძველმა მწვრთნელმა გადამიყვანა „პლზენში" და, ცხადია, შანსსაც მაძლევდა. პირველ წრეშიც 6-7 თამაში სულ ძირითადში ვიყავი და თანდათან ვეგუებოდი იქაურობას, მაგრამ მერე ის მოხსნეს და მეც სათადარიგო გავხდი... მხოლოდ შეცვლაზე ვითამაშე ერთი-ორჯერ და სულ ეს იყო...

— ზამთრის შესვენებაზე კი მაგრად ათამაშდი, გოლებიც ბლომად გაიტანე...

— ამ დროს უკვე მართლა კარგად ვგრძნობდი თავს, თამაშიც წამივიდა და გოლებიც გავიტანე. ვერც წარმოვიდგენდი, ამის მერეც თუ არ მომიწევდა ჩემპიონატში თამაში... ვიცი, რომ იქაურ ფეხბურთელზე ერთი თავით მაღლა თუ არ დგახარ, სკამიდან ვერ ადგები, მაგრამ ასე უშანსობასაც არ ვიმსახურებდი. მით უმეტეს, ზამთრის შეკრებაზე ყველამ დაინახა, რომ ფორმაში ვიყავი.

— და რას გეუბნება მწვრთნელი?

— პირადად ჩემთან არასოდესულაპარაკია. თუმცა ყურების ჩამოყრას არ ვაპირებ — ვივარჯიშებ და ჩემს შანსს მაინც დაველოდები.

— როგორ ფიქრობ, ახლანდელი გადასახედიდან სწორად მოიქეცი, „პლზენში" რომ გადახვედი? თუ შეცვლიდი რამეს?

— ძნელი სათქმელია... ვერ ვიტყვი, რომ შეცდომა დავუშვი, მაინც ევროპაში მინდოდა თამაში და ამით კმაყოფილი ვარ — ქვეყანაც კარგია, კლუბსაც არაფერი აქვს დასაწუნი. ახლა ისლა მჭირდება, რომ ვითამაშო და გოლები გავიტანო. ჩემი თავის მჯერა და ვნახოთ... ცდას არ დავაკლებ. თან უკვე შევეჩვიე იქაურობას, ენასაც ნელ-ნელა ვსწავლობ. ახლა შეკრებაზეც კარგად მოვემზადები და იმედი მაქვს, ახალ სეზონში ყველაფერი უკეთ იქნება.

— ანუ საქართველოდან წასულისთვის ჩეხეთში ფეხის მოკიდება შეუძლებელი არ არის?

— შეუძლებელი არა, მაგრამ ძალიან რთულია. დიდი განსხვავებაა და ალბათ მეც ამიტომ გამიჭირდა. თან „პლზენი" დაცვიდან თამაშს ანიჭებს უპირატესობას და ამ დროს თავდამსხმელისთვის თავის გამოჩენა ორმაგად ძნელია. ამას დრო სჭირდება, თუმცა ამ დროს მხოლოდ შენთვის არავინ დახარჯავს — ვერ გამოიყენებ? შენს ნაცვლად სხვას ათამაშებენ.

— მართალია, თითქოს ჩეხეთში ყველა გუნდი ნაკრების ტაქტიკით თამაშობსო?

— თითქმის ასეა. ყველა გუნდი დაცვიდან თამაშობს და მოკლე პასებით ცდილობენ ფონს გასვლას. ოღონდ სისწრაფეებია მაღალი და თუ მომზადებული არ ხარ, ჩათვალე, რომ არაფერი გამოგივა.

— მოკლედ, როგორც მივხვდი, „პლზენში" რჩები. ამას იმიტომ გეკითხები, რომ ცოტა ხნის წინ შენს შესაძლო განათხოვრებაზე ითქვა...

— ჯერჯერობით ვრჩები. ახლა სადმე წასვლაში აზრს ვერ ვხედავ. ჯობია, მოვიცადო, მოვემზადო და შანსს დაველოდო. ამ ერთ სეზონსაც შევხედავ და თუ ისევ არ მათამაშეს, მერე შევხვდები ხელმძღვანელობას და გაშვებას მოვითხოვ.

— ამ უთამაშებლობით კი ნაკრების მწვრთნელებსაც გადაავიწყე თავი...

— ასეთ დროს, ცხადია, არავინ გამომიძახებდა... მართალია, მთლად უპრაქტიკოდ არ ვარ, რადგან მეორე გუნდში ვთამაშობ ხოლმე, თუმცა ნაკრების მწვრთნელების მესმის...

**ქახა ზალამბერიძე**

# იაშვილი 2013




**საქართველოს** ეროვნული ნაკრების თავდამსხმელმა ალექსანდრე იაშვილმა „აუგსბურგს" და „მიუნხენ 1860"-ს უარი უთხრა და „კარლსრუეში" დარჩა.

გერმანული სააგენტოების ცნობით, იაშვილმა 2013 წლის 30 ივნისამდე გააგრძელა კონტრაქტი და გუნდს ბუნდესლიგის საგზურის მოპოვებაში დაეხმარება.

31 წლის ქართველი ფეხბურთელი „კარსლრუეში" 2007 წელს „ფრაიბურგიდან" გადავიდა — გასული სეზონი არცთუ წარმატებული ჰქონდა, გუნდიც ბუნდესლიგიდან გავარდა, თუმცა ბოლოსკენ რამდენიმე მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა და...

„მჯერა, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე" — ასე მოკლედ განუმარტა იაშვილმა გერმანელ ჟურნალისტებს.

„კარლსრუეს" მენეჯერმა როლფ დომენმა კი კმაყოფილება ვერ დამალა ჩვენიანის შენარჩუნების გამო: „იაშვილი დიდ როლს თამაშობს ჩვენს სამომავლო გეგმებში და ძალიან გვიხარია, რომ ის გუნდში რჩება".

**ქახა ზალამბერიძე**

# გრიგალავას უხეირო დებიუტი

**საქართველოში** დაბადებული გია გრიგალავას დებიუტი ოფიციალურადაც შედგა რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებში, თუმცა მეტად წარუმატებელი გამოდგა.

ევრო 2011-ის შესარჩევ მატჩში რუსებმა სტუმრად 0:1 წააგეს ფარერებთან და ასე უხეიროდ დაიწყეს ციკლი.

გრიგალავამ სრულად ითამაშა და ის ერთადერთი ბურთი შენნიკოვის და მისი შეცდომის შემდეგ გაიტანეს კუნძულელებმა.

შეგახსენებთ, რომ გრიგალავა რუსეთის მოქალაქეა, „მოსკვაში" ირიცხება და ახლახან მიიღო ამ ქვეყნის ნაკრებში თამაშის გადაწყვეტილება, რამაც საქართველოში, ცხადია, მკვეთრად უარყოფითი რეაქცია გამოიწვია.

**ოთარ მხეიძე**

# იტალიამ ტურინი შეარჩია

**2010 წლის** მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ჩვენი ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერი იტალია 5 სექტემბერს თბილისში გვესტუმრება, ოთხი დღის შემდეგ კი შინ დაუხვდება ბულგარეთს.

სლავებთან სამასპინძლოდ იტალიელებმა ტურინი შეარჩიეს და „ოლიმპიკო დი ტორინოზე" გაეჯიბრებიან სტანიმირ სტოილოვის შეგირდებს.

სხვათა შორის, იტალიელებმა ამ სტადიონზე ბოლოს 2000 წელს ითამაშეს და ინგლისის ნაკრები 1:0 დაამარცხეს.



# შოთა არველაძემ ახალი ალკმაარი გადაწყვიტა

**საბოლოოდ** გადაწყდა, რომ შოთა არველაძე „ალკმაარში" დარჩება და ამჯერად რონალდ კუმანის ასისტენტი იქნება.

ქართველი მწვრთნელი ლუის ვან გაალის მიუნხენის „ბაიერნში" გადასვლის მერე „ალკმაარის" დატოვებას ფიქრობდა და საკმაოდ მიმზიდველი ვარიანტიც ჰქონდა — ამსტერდამის „აიაქსი" იწვევდა, თუმცა...

შოთა და ალკმაარული კლუბის ხელმძღვანელობა რამდენიმე დღის წინ ერთხელაც შეხვდნენ ერთმანეთს და ახალ კონტრაქტზეც შეთანხმდნენ — არველაძე 2011 წლამდე დარჩება გუნდში.

**ქახა ზალამბერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა





ტრასივულოსის „ფილისისთვის“ გასული სეზონი ნარუმატებელი გამოდგა — საბერძნეთის სუპერლიგიდან გავარდა... თუმცა, სამაგიეროდ, სეზონი წარმატებული გამოდგა ამ გუნდის ქართველი ნახევარმცველისთვის, 21 წლის ლუკა ხომასურიძისთვის. დიახ, საბერძნეთში თურმე კიდევ ერთი ქართველი ფეხბურთელი გვყოლია — ხომასურიძე აქამდე „ფილისის“ სარეზერვო გუნდში თამაშობდა, ახლახან კი მთავარ გუნდში გადაიყვანეს და სამწლიანი კონტრაქტიც გაუფორმეს. ვფიქრობთ, საინტერესო ახალგაზრდა უნდა იყოს და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელებსაც ვურჩევთ მის გამოცდას...

# ახალი ქართველი საბერძნეთში!

## ლუკა ხომასურიძე: საქართველო ჩემი ოცნებაა

— ლუკა, ბევრისთვის უცნობი ფეხბურთელი ხარ. მოდი, გავაცნოთ შენი თავი ქართველ გულშემატკივარს...

— 35-ე სკოლაში ვვარჯიშობდი ტარიელ კანდელაკთან და გოჩა ავსაჯანიშვილთან. 17 წლის ვიყავი „ვიტ ჯორჯიაში“ რომ გადავედი და დუბლებში ჩავირიცხე. ამის შემდეგ კი ჩემმა მენეჯერმა საბერძნეთში წამომიყვანა და ტრასივულოსის „ფილისის“ მეორე გუნდში დამაწყებინა ვარჯიში.

— ვინ არის შენი მენეჯერი?

— კოსტას სარაფანდონისი.

— ცოტა არ იყოს, უცნაურია: საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაშიც კი არ გაქვს ნათამაშები და...

— ჰო, ასე გამოვიდა. სხვათა შორის, ამას მაინც არ შეუშლია ჩემთვის ხელი. აქაურობას იოლად შევეგუე. ოთხი თვის შემდეგ უკვე მთავარ გუნდში გადავყავდი მწვრთნელს, მაგრამ ლეგიონერებზე ლიმიტის გამო ეს სეზონის ბოლომდე ადაიდო და ოფიციალურად მეც ახლახან გავხდი პროფესიონალი.

— გამოდის, ადაპტაციას საერთოდ არ წაურთმევია დრო...

— სიმართლე გითხრათ, მართლა იოლად დავიწყე თამაში. ექვსი ტურის შემდეგ უკვე კაპიტნად დამნიშნეს, რაც ძალიან იშვიათობაა — მე ხომ უცხოელი ვიყავი და თანაც ახალი ჩამოსული. ამანაც შემმატა ძალა. დავრწმუნდი, რომ ჩემი სჯეროდათ.

— რა პოზიციაზე თამაშობ?

— ცენტრალური ნახევარმცველი ვარ. ჩაშლაც მევალება და გამთამაშებლობაც. ორივე ფუნქციას თანაბრად ვასრულებ.

— ასეთ დროს ალბათ განსაკუთრებით გწყდება გული, რომ „ფილისი“ სუპერლიგიდან გავარდა...

— რა თქმა უნდა, უკეთესი იქნებოდა, სუპერლიგაში მეთამაშა, მაგრამ გუნდმა უკვე რამდენიმე კარგი ტრანსფერი განახორციელა და მომავალი სეზონიდანვე გადმოსასვლელად ვიბრძოლებთ.

— სარეზერვო გუნდი მაინც სარეზერვო გუნდია და როგორ ფიქრობ, ძირითადში თამაში არ გაგიჭირდება?

— არა, დარწმუნებული ვარ, რომ თავს გავართმევ. მით უმეტეს, სამი ამხანაგური მატჩი უკვე ჩავატარე მთავარ გუნდში და მწვრთნელები კმაყოფილნი დარჩნენ. ასე რომ, ამის არ მეშინია.

— ასაკიც ისეთი გაქვს, რომ ჯერაც შეგიძლია საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში თამაში...

— ეს ჩემი ოცნებაა და იმედი მაქვს, ამიხდება. საქართველოს ნაკრებში თამაშზე დიდი ბედნიერება ქართველი ფეხბურთელისთვის რა უნდა იყოს. შრომა არ მეზარება, ყოველთვის ბოლომდე ვიხარჯები და მჯერა, ეს დამიფასდება კიდეც.

— პრეზენტაცია უკვე გქონდა?

— კი, 20-ნომრიანი მაისურა გადმომცეს. მეორე გუნდშიც ამ ნომრით ვთამაშობდი და ახლაც ეს ავირჩიე.

— მოკლედ, ახლა ალბათ შეკრებაზე წასასვლელად ემზადები...

— ცოტა ხნით ალბათ თბილისშიც ჩამოვალ. 15 ივლისს ვიწყებთ მზადებას, 27-ში კი შეკრებაზეც წავალთ.

ბაჩა შალამბერიძე

# საუკეთესო მსაჯები

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა და მსაჯთა დამკვირვებელთა განყოფილებამ მე-20 ეროვნული ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ხუთი საუკეთესო არბიტრი და ხუთი საუკეთესო ასისტენტი დაასახელა.

მე-20 ეროვნული ჩემპიონატის 5 საუკეთესო არბიტრი (ანბანის მიხედვით): მ. ბეუქლიშვილი, გ. ვადაჭკორია, ლ. კვარაცხელია, ლ. სილაგავა, დ. ხარიტონაშვილი.

მე-20 ეროვნული ჩემპიონატის 5 საუკეთესო ასისტენტი (ანბანის მიხედვით): მ. ელიკაშვილი, ლ. თოდრია, ზ. მენთეშაშვილი, გ. ჩიგოგიძე, ზ. ჯვარიძე.

*სფფ-ის პრესსამსახური*

# ორი გუნდი ტოპ-350-ში

მსოფლიო ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ ახალი, მაისის თვის რეიტინგი გამოაქვეყნა — ტოპ-350 კლუბს შორის საქართველოდან ორი გუნდი, თბილისის „ვიტ ჯორჯია“ და თბილისის „დინამო“ მოხვდნენ.

საქართველოს ჩემპიონები 77 ქულით 232-ე ადგილზე არიან, ქვეყნის თასის მფლობელები 75 ქულით 244-ე საფეხურზე იმყოფებიან.

მსოფლიოს კლუბთა საუკეთესო ათეული კი ასე გამოიყურება:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | (2) | „ბარსელონა“ ესპანეთი | 315,0 |
| | (1) | „მანჩესტერი“ ინგლისი | 315,0 |
| 3. | (3) | „ჩელსი“ ინგლისი | 276,0 |
| 4. | (6) | „ლივერპული“ ინგლისი | 248,0 |
| 5. | (5) | „არსენალი“ ინგლისი | 247,0 |
| 6. | (10) | „შახტარი“ უკრაინა | 245,5 |
| 7. | (7) | „დინამო“ უკრაინა | 234,5 |
| 8. | (11) | „ესტუდიანტესი“ არგენტინა | 232,0 |
| 9. | (8) | „ჰამბურგი“ გერმანია | 228,0 |
| 10. | (16) | „გრემიო“ ბრაზილია | 222,0 |



# ბერლუსკონიმ ჩელსის კალაძე გადაუმალა

იტალიური „მილანიდან“ ინგლისურ „ჩელსიში“ გადასულ მწვრთნელ კარლო ანჩელოტის თან ორი ფეხბურთელის წაყვანაც სდომებია და ამათ შორის ერთი კახა კალაძეა.

დიახ, ბრიტანული სააგენტოების ცნობით, ანჩელოტიმ კლუბის ხელმძღვანელობას ანდრეა პირლო და კახა კალაძე მოსთხოვა.

ჩვენი ლონდონელი კოლეგები აქედანვე ეჭვის თვალით უყურებენ კალაძის „ჩელსიში“ შესაძლო გადასვლას, რადგან თუ გახსოვთ, საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანს ასეთი შანსი ორიოდ წლის წინაც ჰქონდა და ეს ტრანსფერი ბოლო მომენტში ჩაიშალა.

როგორც მაშინ ითქვა, კალაძე უკმაყოფილო დარჩა ლონდონელების უპასუხისმგებლო ქცევით და ძნელი დასაჯერებელია, ახლა დათანხმდეს იქ გადაბარგებას.

ამ ყველაფერს კი წერტილი „მილანის“ მფლობელმა სილვიო ბერლუსკონიმ დაუსვა: „დაცვაში არავის დამატებას არ ვაპირებთ, რადგან მალე კახა კალაძე და ალესანდრო ნესტა ბოლომდე გამოჯანმრთელდებიან და მათი დიდი იმედი მაქვს“.

ბაჩა შალამბერიძე

# დავით სირაძე ისევ გერმანიას უმიზნებს



საქართველოს ეროვნული ნაკრების თავდამსხმელი დავით სირაძე, სავარაუდოდ, ისევ გერმანიაში გააგრძელებს კარიერას.

როგორც შევიტყვეთ, მოლაპარაკებები უკვე დაიწყო და თვის ბოლოსკენ ყველაფერი საბოლოოდ გაირკვევა.

სირაძეს აქამდე ოთხ გერმანულ გუნდში უთამაშია — აუე-ში, „ტრირში“, „უნიონსა“ და „პადერბორნში“, მერე კი ნალჩიკის „სპარტაკში“ გადავიდა.

ქართველი თავდამსხმელი ზამთრის შემდეგ უქმადაა — ნალჩიკელებთან კონტრაქტი დაუმთავრდა და სხვა ვარიანტების ჩაშლის გამო ამდენი დრო გაუცდა...

ლუკა თალაკვაძე

# კახა მჟავანაძემ დაჩია დატოვა



შვებულებიდან დაბრუნებულ კიშინიოვის „დაჩიას“ ერთბაშად ორი ქართველი გამოაკლდა — ჯაბა დვალმა და კახა მჟავანაძემ გუნდი დატოვეს. ახლა „დაჩიაში“ მხოლოდ ლევან კორღალიძე დარჩა, თუმცა, შესაძლოა, ისიც დაფიქრდეს წასვლაზე.

დვალი „ზესტაფონში“ გადავიდა, მჟავანაძის ასავალ-დასავალი კი ჯერჯერობით უცნობია. სავარაუდოდ, ქართველი მცველი ისევ უკრაინაში დაბრუნდება...

ბაჩა შალამბერიძე

## ამხანაგური მატჩი

# იყო და არა იყო

### უკეთესმა საქართველომ მაინც წააგო

10 ივნისი. 18 საათი

ალბანეთი U21 — საქართველო U21 1:0

დურეში. ნიკო დუვანა. 800 მაყურებელი

1:0 კარაბერი (83)

საქართველო U21: რ. კვასხვაძე, თომაშვილი, თოთაძე, გ. ხიდეშელი (ხურცილავა 90), კაკუბავა, ნემსაძე, შონია (ვ. ბოლქვაძე 79), მაისურაძე (მ. ბარაბაძე 71), თარხნიშვილი (ადამაძე 79), თარგამაძე (ქბილცეცხლაშვილი 46), ვ. ფანცხავა (ივანიშვილი 46)

მწვრთნელი: კახა ცხადაძე

გაფრთხილება: შონია (34)

მსაჯები: ა. იანკუ (ალბანეთი)

**საქართველოს** ახალგაზრდულმა ნაკრებმა ბოლომდე ველარ გაუძლო ალბანურ შეტევას და 83-ე წუთზე სულელურად გაშვებული ბურთით დამარცხდა.

არადა, ჩვენებს რამდენიმე მომენტი ჰქონიათ, მაგრამ ვერ გამოიყენეს და დაისაჯნენ კიდეც.

მატჩის მხილველთა თქმით, საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა გაცილებით უკეთ ითამაშა, ვიდრე რამდენიმე დღის წინ მოლდოვასთან 1:0 მოგებულ მატჩში, თუმცა წარმატებისთვის საკმარისი ეს აღარ გამოდგა.

საწყისი 15-20 წუთი მასპინძლებისა იყო — ალბანელებმა მძლავრად შეუტიეს როინ კვასხვაძის კარს, მაგრამ ჩვენებმა მეტოქეს გოლის გატანის საშუალება არ მისცეს და მალე თამაშიც გაათანაბრეს.

ყველაზე რეალური საგოლე მომენტები დავით თარგამაძეს და ვახტანგ ფანცხავას ჰქონდათ; სტუმრები არც მეორე ტაიმში ყოფილან ალბანელთა კართან უცხოდ, თუმცა აქედან არაფერი გამოვიდა...

ბოლოს რაც მოხდა, უკვე კი იცით...

ასე დასანანად წააგეს ქართველმა 21-წლამდელებმა ეს შეხვედრა, ახლა კი ამ გუნდს გადამწყვეტი ეტაპი უდგას — ვინ იქნება ახალი მთავარი მწვრთნელი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში?

**ოთარ მხეიძე**



გიორგი ივანიშვილი თამაშში შესვენების შემდეგ ჩაერთო

### ჩვენი ჯგუფი

31 მარტი

ირლანდია 0:3 თურქეთი

5 ივნისი

შვეიცარია 2:1 სომხეთი

9 ივნისი

სომხეთი 2:5 თურქეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 8:2 | 6 |
| შვეიცარია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| საქართველო | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ესტონეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ირლანდია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| სომხეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:7 | 0 |

12 აგვისტო

შვეიცარია — ესტონეთი

4 სექტემბერი

სომხეთი — შვეიცარია

5 სექტემბერი

ესტონეთი — საქართველო

9 სექტემბერი

ესტონეთი — ირლანდია

საქართველო — თურქეთი

# კობახიძემ ხეტაფეს თავი მოაწონა

**გიორგი ნემსაძის** სკოლა „საბურთალომ" უკვე მეორე ფეხბურთელი გაუშვა ესპანეთში — საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების წევრი მამუკა კობახიძე „ხეტაფეს" ასაკობრივ გუნდში გააგრძელებს თამაშს.

თავიდან კობახიძემ მადრიდის „ატლეტიკოს" მიაშურა, თუმცა იქ დარჩენა არ მოუხერხდა და ბოლოს „ხეტაფეში" ამოჰყო თავი.

როგორც ჩანს, ეს უფრო წარმატებული ნაბიჯი გამოდგა...

შეგახსენებთ, რომ პირველად „საბურთალომ" გიორგი ჭანტურია გაამგზავრა ესპანეთში — ქართველი ნახევარმცველი უკვე „ბარსელონას" წევრია და გუნდში მასზე დიდ იმედებსაც ამყარებენ.

**ოთარ მხეიძე**

# ლუჭაშვილის დებიუტი



**ლატვიურ** „დინაბურგში" გადასულმა ვასილ ლუჭაშვილმა პირველივე მატჩში შეძლო გოლის გატანა და გუნდის მწვრთნელ თამაზ პერტიას ქებაც დაიმსახურა.

ლუჭაშვილმა ლიეპაიას „მეტალურგსთან" მატჩის 49-ე წუთზე გახსნა ანგარიში, თუმცა მერე მეტოქემ სამი ბურთის გატანა მოახერხა და „დინაბურგიც" დამარცხდა. ამ მატჩში 69-ე წუთზე შეცვალეს დინაბურგელთა კიდევ ერთი ქართველი ლეგიონერი, ირაკლი ქორთუა.

„ლუჭაშვილმა კარგად ითამაშა. მართალია, ჯერ ბოლომდე მზად არ არის, თუმცა ის 67 წუთი, რაც მოედანზე გაატარა, სასარგებლო იყო. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მან დებიუტი გოლით აღნიშნა" — ასე გამოეხმაურა თანამემამულის თამაშს პერტია.

შეგახსენებთ, რომ ექსვიტჯორჯიელი ლუჭაშვილი „დინაბურგში" ვეტერანი ფეხბურთელის, ალექსანდრე რეხვიაშვილის დახმარებით გადავიდა და წლის ბოლომდე გააფორმა კონტრაქტი...

**ლუკა თალაკვაძე**

# ანჟი დაწინაურდა

**რუსეთის** პირველი დივიზიონის მე-15 ტურში მახაჩყალის „ანჟიმ" სტუმრად 2:0 დაამარცხა „ურალი" და პირველ ადგილზეც გადავიდა — დაღესტნელები ოდენ ერთი ქულით უსწრებენ იაროსლავლის „შინიკს".

„ურალთან" ჩვენიანთაგან კახა ალადაშვილმა, გოჩა ხოჯავამ და ედიკ საჯაიამ (გაფრთხილება) სრულად ითამაშეს.

**ოთარ მხეიძე**

# მორიგი გოლი ანანიძისგან

**მოსკოვის** „სპარტაკის" ახალგაზრდულმა გუნდმა მორიგი მატჩი ჩაატარა და კვლავ გაიტანა 18 წლის ქართველმა ნახევარმცველმა ჯანიკო ანანიძემ.

„სპარტაკმა" 6:0 გადაურბინა „ხიმკის" დუბლებს და ანანიძემ 89-ე წუთზე გამოიჩინა თავი.

ქართველმა ფეხბურთელმა სრულად ითამაშა და ერთ-ერთი საუკეთესოც იყო მოედანზე.

**კახა შალამბერიძე**

## მეორე ლიგა

### აღმოსავლეთი

ლიახვი 3:0 დუშეთი

სამგორი 0:0 35-ე სკოლა

ზოოვეტი 0:0 ამერი 2

გარეჯი 5:1 იმედი

ალაზანი 1:3 იბსუ

ერთობა 0:3 სპარტაკი 2

ჰერეთი 2 3:0 ნ. დინამო 2

ალგეთი 3:0 არაგველები

ბორჯომი 2 0:3 ლოკომოტივი 2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი 2 | 34 | 24 | 5 | 5 | 91:30 | 77 |
| იბსუ | 34 | 24 | 2 | 8 | 96:44 | 74 |
| ამერი 2 | 34 | 21 | 6 | 7 | 59:25 | 69 |
| სპარტაკი 2 | 34 | 20 | 7 | 7 | 76:36 | 67 |
| ლიახვი | 34 | 20 | 4 | 10 | 73:47 | 64 |
| 35-ე სკოლა | 34 | 18 | 6 | 10 | 66:51 | 60 |
| დუშეთი | 34 | 18 | 6 | 10 | 62:41 | 60 |
| გარეჯი | 34 | 17 | 6 | 11 | 59:41 | 57 |
| ჰერეთი 2 | 34 | 15 | 4 | 15 | 61:53 | 49 |
| სამგორი | 34 | 12 | 9 | 18 | 66:59 | 45 |
| ალგეთი | 34 | 11 | 7 | 16 | 45:68 | 40 |
| იმედი (რ) | 34 | 10 | 8 | 16 | 42:63 | 38 |
| არაგველები | 34 | 10 | 6 | 18 | 37:56 | 36 |
| ზოოვეტი | 34 | 9 | 7 | 18 | 39:63 | 34 |
| ალაზანი | 34 | 10 | 3 | 21 | 34:56 | 33 |
| ერთობა | 34 | 10 | 3 | 21 | 40:83 | 33 |
| ბორჯომი 2 | 34 | 7 | 1 | 26 | 23:85 | 22 |
| ნ. დინამო 2 | 34 | 3 | 4 | 27 | 20:88 | 13 |

*„ბორჯომი 2" მოხსნილია*

### დასავლეთი

ადელი 1:0 იმერეთი

გურია 2 3:0 მერანი 2 (მ)

სქური 3:0 ჭიათურა 2

ტორპედო 2 0:0 მერცხალი

მარგვეთი 2:2 კოლხეთი 2

ნ. ტორპედო 0:3 სამტრედია 2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერცხალი | 24 | 17 | 7 | 0 | 46:13 | 58 |
| იმერეთი | 23 | 14 | 1 | 8 | 41:29 | 43 |
| ბაია 2 | 24 | 12 | 7 | 5 | 51:30 | 43 |
| კოლხეთი 2 | 23 | 12 | 3 | 8 | 37:24 | 39 |
| მერანი 2 (მ) | 23 | 11 | 5 | 7 | 32:23 | 38 |
| სამტრედია 2 | 23 | 9 | 6 | 8 | 27:24 | 33 |
| გურია 2 | 23 | 9 | 4 | 10 | 43:39 | 31 |
| ტორპედო 2 | 23 | 8 | 5 | 11 | 35:40 | 29 |
| მარგვეთი | 23 | 8 | 5 | 10 | 30:41 | 29 |
| ნ. ტორპედო | 23 | 8 | 2 | 13 | 27:35 | 26 |
| ადელი | 23 | 7 | 5 | 11 | 33:43 | 26 |
| სქური | 23 | 5 | 4 | 14 | 23:40 | 19 |
| ჭიათურა 2 | 23 | 4 | 0 | 19 | 17:61 | 12 |

*„ჭიათურა 2" მოხსნილია*

## ელიტ-ლიგა

### 1993-წლიანები

35-ე სკოლა-3 1:2 ვეფხვები-2

35-ე სკოლა-2 2:2 35-ე სკოლა-4

იმედი 2:4 ოლიმპიკი

აკადემია-2 2:8 აკადემია-1

ვეფხვები 0:3 35-ე სკოლა-1

შევარდენი 4:1 ამერი

ნ. დინამო-1 4:3 ავაზა

ნ. დინამო-2 0:3 მთ. გლობუსი

გადადებული მატჩები

35-ე სკოლა-1 0:4 საბურთალო

აკადემია-1 2:0 35-ე სკოლა-4

35-ე სკოლა-1 4:2 მთ. გლობუსი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნ. დინამო-1 | 29 | 27 | 1 | 1 | 137:16 | 82 |
| აკადემია-1 | 29 | 23 | 1 | 5 | 97:33 | 70 |
| შევარდენი | 29 | 20 | 5 | 4 | 70:29 | 65 |
| ავაზა | 29 | 19 | 3 | 6 | 88:35 | 60 |
| ოლიმპიკი | 29 | 18 | 6 | 5 | 74:33 | 60 |
| 35-ე სკოლა-1 | 29 | 16 | 3 | 10 | 77:46 | 51 |
| საბურთალო | 29 | 15 | 5 | 9 | 62:40 | 50 |
| მთ. გლობუსი | 28 | 13 | 5 | 10 | 63:43 | 44 |
| ნ. დინამო-2 | 28 | 11 | 4 | 13 | 45:52 | 37 |
| 35-ე სკოლა-2 | 29 | 10 | 7 | 12 | 47:65 | 37 |
| ვეფხვები-2 | 29 | 8 | 7 | 14 | 35:50 | 31 |
| იმედი | 29 | 8 | 3 | 17 | 35:79 | 27 |
| ამერი | 29 | 7 | 4 | 18 | 38:76 | 25 |
| აკადემია-2 | 29 | 6 | 3 | 20 | 37:91 | 21 |
| 35-ე სკოლა-4 | 28 | 5 | 5 | 18 | 25:58 | 20 |
| ვეფხვები | 29 | 4 | 2 | 23 | 27:92 | 14 |
| 35-ე სკოლა-3 | 29 | 2 | 2 | 25 | 27:143 | 8 |

### 1994-წლიანები

პლეი ოფი

თბილისი-1 3:2 35-ე სკოლა-1 (1:0)

ლოკომოტივი 9:1 იმედი (4:0)

შევარდენი 2:1 ამერი (0:0)

აკადემია-94 2:0 ნ. დინამო-1 (1:1)

### 1996-წლიანები

ჩემპიონი 3:2 ნ. დინამო-2

აკადემია-1 8:2 აკადემია-2

თბილისი 11:1 ვეფხვები-2

შევარდენი 3:0 ამერი

საბურთალო 5:1 ვეფხვები-1

ნ. დინამო-1 7:1 ლოკომოტივი

იმედი 0:5 ოლიმპიკი

გორი 3:0 35-ე სკოლა

გადადებული მატჩები

გორი 6:1 თბილისი

იმედი 0:1 აკადემია-1

ვეფხვები-1 4:3 შევარდენი

ვეფხვები-2 0:3 35-ე სკოლა

ჩემპიონი 1:4 თბილისი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გორი | 29 | 24 | 3 | 2 | 109:28 | 75 |
| 35-ე სკოლა | 30 | 22 | 6 | 2 | 108:30 | 72 |
| ჩემპიონი | 30 | 20 | 4 | 6 | 108:60 | 64 |
| ოლიმპიკი | 29 | 18 | 6 | 5 | 68:25 | 60 |
| აკადემია-1 | 30 | 17 | 7 | 6 | 84:47 | 58 |
| თბილისი | 29 | 18 | 3 | 8 | 86:48 | 57 |
| ოლიმპი | 29 | 16 | 4 | 9 | 84:32 | 52 |
| ამერი | 31 | 13 | 8 | 10 | 69:68 | 47 |
| შევარდენი | 30 | 13 | 6 | 11 | 56:40 | 45 |
| ნ. დინამო-1 | 30 | 12 | 7 | 11 | 107:75 | 43 |
| ვეფხვები-1 | 30 | 12 | 4 | 14 | 80:58 | 40 |
| საბურთალო | 30 | 8 | 4 | 18 | 62:120 | 28 |
| იმედი | 30 | 9 | 0 | 21 | 57:95 | 27 |
| ლოკომოტივი | 30 | 6 | 5 | 19 | 53:91 | 23 |
| აკადემია-2 | 30 | 5 | 5 | 20 | 46:97 | 20 |
| ნ. დინამო-2 | 30 | 1 | 4 | 25 | 56:159 | 7 |
| ვეფხვები-2 | 31 | 2 | 0 | 29 | 18:178 | 6 |

### 1997-წლიანები

ნ. დინამო-2 3:0 ნ. დინამო-3

ავაზა 3:1 35-ე სკოლა-1

თბილისი-1 4:1 იმედი

თბილისი-2 3:3 საბურთალო

35-ე სკოლა-2 2:1 ნ. დინამო-1

ლოკომოტივი 9:0 ამერი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი-1 | 23 | 22 | 0 | 1 | 115:23 | 66 |
| 35-ე სკოლა-2 | 22 | 14 | 3 | 5 | 63:28 | 45 |
| ლოკომოტივი | 24 | 13 | 4 | 7 | 85:41 | 43 |
| ავაზა | 23 | 13 | 4 | 6 | 48:40 | 43 |
| იმედი (თბ) | 23 | 13 | 3 | 7 | 53:43 | 42 |
| ნ. დინამო-1 | 23 | 11 | 4 | 8 | 68:58 | 37 |
| საბურთალო | 23 | 9 | 2 | 12 | 62:61 | 29 |
| 35-ე სკოლა-1 | 23 | 9 | 1 | 13 | 39:78 | 28 |
| თბილისი-2 | 23 | 7 | 6 | 10 | 49:52 | 27 |
| აკადემია | 23 | 7 | 4 | 14 | 45:51 | 25 |
| ნ. დინამო-3 | 22 | 5 | 2 | 15 | 36:50 | 17 |
| ნ. დინამო-2 | 23 | 4 | 1 | 18 | 42:106 | 13 |
| ამერი | 23 | 3 | 4 | 16 | 22:96 | 13 |

## სამხრეთ ოსეთის ჩემპიონატი

### 1992-93-წლიანები

პლეი ოფი

ერთობა 3:0 გედა (3:0)

შავნაბადა 1:1 განთიადი (1:2)

ბერმუხა 2:5 იმედი (0:3)

ნ. დინამო 4:0 XXI საუკუნე-1 (1:4)

ეროვნული ბიბლიოთეკა





პორტუგალიამ თავისი ორივე ეტაპი მოიგო, მათგან ერთის ნახევარფინალში კი საქართველოც დაამარცხა

# საქართველო უკვე იქ არის

## მოსკოვის გამო არ ვნერვიულობთ

**ევროპული** შვიდკაცას მეხუთე ეტაპზე, რომელიც ჩეხურ ოსტრავაში ჩატარდა, პირველი ადგილი პორტუგალიას ხვდა, რომელმაც ფინალში ესპანეთს სძლია 19:12.

ამგვარად, გასამართი ერთი ეტაპიღა დარჩა, რომელიც მომდევნო უქმეებზე მოსკოვში გაიმართება. ამის მერე კი 12 საუკეთესო კოეფიციენტის მქონე გუნდი ჰანოვერში, ევროპული შვიდკაცას ფინალურ ტურნირში ითამაშებს.

ქულების დარიცხვის სისტემასაც შეგახსენებთ: ეტაპის გამარჯვებული 18 ქულას იღებს, ფინალისტი — 16 ქულას, მესამეზე გასული 14-ს და ასე შემდეგ.

თითოეული ნაკრები ორ ეტაპში მონაწილეობს და ჯამური ქულების მიხედვით ვლინდება 11 საუკეთესო გუნდი, რომელსაც ფინალური ეტაპის მასპინძელი გერმანია ემატება. თუმცა გერმანელებს ისეთი შედეგი აქვთ, რომ 12 საუკეთესოს შორის, ალბათ, ისედაც მოხვდებიან.

როგორც ვთქვით, წინ კიდევ ერთი ეტაპია, თუმცა იქამდეც გაირკვა, რომ საფრანგეთი, პორტუგალია, ესპანეთი, საქართველო და რუმინეთი საუკეთესოთა შორის არიან და ფინალური ეტაპის საგზურში მათ ველარავინ შეეცილება.

| | | | |
|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 18 | 18 | 36 |
| პორტუგალია | 18 | 18 | 36 |
| ესპანეთი | 14 | 16 | 30 |
| საქართველო | 14 | 14 | 28 |
| რუმინეთი | 16 | 12 | 28 |
| გერმანია | 14 | 12 | 26 |
| პოლონეთი | 16 | 8 | 24 |
| კვიპროსი | 12 | 8 | 20 |
| რუსეთი | 18 | - | 18 |
| შვედეთი | 12 | 6 | 18 |
| ხორვატია | 12 | 6 | 18 |
| ჩეხეთი | 8 | 10 | 18 |
| მოლდოვა | 16 | - | 16 |
| იტალია | 16 | - | 16 |
| მონაკო | 8 | 8 | 16 |
| ჰოლანდია | 14 | - | 14 |
| ბოსნია | 6 | 6 | 12 |
| ბელგია | 10 | 2 | 12 |
| დანია | 10 | - | 10 |
| უკრაინა | 10 | - | 10 |
| სერბეთი | 10 | 0 | 10 |
| ლატვია | 6 | - | 6 |
| შვეიცარია | 2 | 4 | 6 |
| ლიტვა | 4 | - | 4 |
| საბერძნეთი | 4 | 0 | 4 |
| უნგრეთი | 0 | 4 | 4 |
| ლუქსემბურგი | 4 | 0 | 4 |
| ბულგარეთი | 2 | 2 | 4 |
| ნორვეგია | 2 | - | 2 |
| აზერბაიჯანი | მოიხსნა | | |

**ირაკლი ნინიძე**

# აშკარად დაუჯერებელი

## 53 ქულა და 4 ლელო ირლანდიასთან

**საქართველოს** ნაკრებმა „ჩერჩილის თასზე" მეორე მატჩი დღეს გამთენიისას, ჩვენი დროით ოთხის ნახევარზე დაასრულა და ამდენად, მის შედეგს აქ ვერ გაგაცნობთ.

ერთი კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ბორჯღალოსნები" ფინალში ვერ გავიდოდნენ. კი, თეორიული შანსი ქართველ მორაგბეებს ჰქონდათ, მაგრამ თეორიაც არის და თეორიაც — თუვინმეს გჯერათ, რომ ირლანდიელებს არანაკლებ 54 ქულით ვაჯობებდით და სულ მცირე, ოთხ ლელოს დავუდებდით...

დებულების თანახმად, გამარჯვებულს 4 ქულა ეწერება და ერთ საპრემიო ქულასაც ოთხი და მეტი ლელოსთვის იღებს. ცხრილიდან კი ჩანს, რომ საქართველოს ირლანდიისთვის ოთხზე ნაკლები ლელოთი რომ მოეგო, მაინც ბოლო ადგილზე რჩებოდა.

ვიმეორებთ, მატჩი უკვე ჩატარებულია და მისი შედეგი არ ვიცით, მაგრამ წარმოუდგენელია, საქართველოს ნაკრებმა თუნდაც მეორე ადგილი დაიკავოს.

ეს კი ნიშნავს, რომ ქართველები მეხუთე ადგილისთვის მატჩში აშშ-ის ნაკრებს შეხვდებიან. თავის მხრივ, ამერიკელების ასვლაც — თუნდაც მეორე ადგილზე — ძალიან ძნელად დასაჯერებლად გვეჩვენება.

ბოლო მატჩს საქართველოს ნაკრები 21 ივნისს, ჩვენი დროით 22 საათზე გამართავს.

**ირაკლი ნინიძე**

**A ჯგუფი**

**კანადა 42:10 საქართველო**
**კანადა 19:30 ირლანდია A**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირლანდია A | 1 | 1 | 0 | 0 | +11 | 5 |
| კანადა | 2 | 1 | 0 | 1 | +21 | 5 |
| საქართველო | 1 | 0 | 0 | 1 | -32 | 0 |

**B ჯგუფი**

**ინგლისი A 28:20 არგენტინა A**
**აშშ 14:35 არგენტინა A**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი A | 1 | 1 | 0 | 0 | +8 | 4 |
| არგენტინა A | 2 | 1 | 0 | 1 | +13 | 4 |
| აშშ | 1 | 0 | 0 | 1 | -21 | 0 |

**საქართველოს ჩემპიონატი**
**უმაღლესი ლიგა. VII ტური**

**13 ივნისი**

**ბათუმი 3:12 ვისოლი-ყოჩები**
**რუსთავი 13:18 უნივერსიტეტი**
**აკადემია 9:17 აია**
**ლოკომოტივი — ლელო**

**გადაიდო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლელო | 4 | 4 | 0 | 0 | 149:70 | 8 |
| ბათუმი | 7 | 4 | 0 | 3 | 120:134 | 8 |
| ლოკომოტივი | 4 | 3 | 0 | 1 | 86:60 | 6 |
| ყოჩები | 4 | 3 | 0 | 1 | 61:38 | 6 |
| აკადემია | 7 | 3 | 0 | 4 | 108:117 | 6 |
| აია | 6 | 2 | 0 | 4 | 82:72 | 4 |
| რუსთავი | 7 | 2 | 0 | 5 | 61:113 | 4 |
| უნივერსიტეტი | 5 | 1 | 0 | 4 | 58:121 | 2 |

გადადებული მატჩების სიმრავლემ — რაც შვიდკაცა ნაკრების მსოფლიოსა და ევროპულ სერიებში მონაწილეობამ განაპირობა — გათამაშების ცხრილი საკმაოდ არია. თუმცა საქართველოს თასის მფლობელ „ლელოს", იმის მიუხედავად, რომ სხვებზე ორი-სამი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული, ლიდერობა მაინც ხელთ უპყრია და ჩემპიონატის ერთადერთ დაუმარცხებელ გუნდად რჩება.

**ირაკლი ნინიძე**



# ექვს ერს დავშორდით

**წინა** კვირაში გამოქვეყნებულ მსოფლიო რეიტინგში საქართველოს ნაკრები ორი საფეხურით დაქვეითდა და ახლა მე-15 სარაგბო ერად ითვლება.

აქამდე, თვეების განმავლობაში, „ბორჯღალოსნებს" მე-13 ადგილი ეპყრათ, რაც საუკეთესო პოზიციაა ქართული რაგბის ისტორიაში.

დაქვეითება კი „ჩერჩილის თასზე" კანადასთან მარცხმა გამოიწვია და საქართველომ რეიტინგში ადგილიც სწორედ კანადელებს გაუცვალა.

არადა, იმ თამაშის მოგების შემთხვევაში, საქართველოს ისტორიული შანსი ეძლეოდა, მსოფლიო რეიტინგში მე-12 ადგილზე აღზევებულიყო და იტალიისთვის გადაესწრო.

ეს იქნებოდა პირველი შემთხვევა, რომ რომელიმე ევროპული გუნდი ექვსი ერის პირველობაზე მონაწილეს გადაუსწრებდა.

ძალიან კარგი შანსი დაიკარგა...

| | | |
|---|---|---|
| 1 (1) | ახალი ზელანდია | 92,68 |
| 2 (2) | სამხრეთ აფრიკა | 89,45 |
| 3 (3) | ავსტრალია | 85,86 |
| 4 (4) | ირლანდია | 83,27 |
| 5 (6) | ინგლისი | 82,10 |
| 6 (7) | უელსი | 80,72 |
| 7 (5) | არგენტინა | 80,42 |
| 8 (8) | საფრანგეთი | 70,94 |
| 9 (9) | ფიჯი | 75,24 |
| 10 (10) | შოტლანდია | 75,23 |
| 11 (11) | სამოა | 72,57 |
| 12 (12) | იტალია | 71,23 |
| 13 (15) | კანადა | 70,68 |
| 14 (14) | ტონგა | 70,05 |
| 15 (13) | საქართველო | 68,67 |
| 16 (16) | იაპონია | 68,05 |
| 17 (17) | რუსეთი | 66,57 |
| 18 (18) | რუმინეთი | 64,26 |
| 19 (19) | აშშ | 63,55 |
| 20 (20) | ურუგვაი | 63,16 |
| 21 (21) | პორტუგალია | 62,16 |
| 22 (22) | ესპანეთი | 59,01 |

# ჩვენი გოგონების მეექვსე ბოსნიაში

**ბოსნიურ** ზენიცაში ევროპული შვიდკაცას ჩემპიონატი გაიმართა B ჯგუფის გუნდებს შორის. B ჯგუფი მესამე დონეა ტოპ-ათეულის და A ჯგუფის მერე.

ბოსნიაში საქართველოს ქალთა ნაკრებიც იბრძოდა და საბოლოოდ მეექვსე ადგილი დაიკავა. ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ შარშან ამავე ტურნირზე ქართველმა გოგონებმა მხოლოდ ორი თამაში მოიგეს ახლანდელი ოთხი მოგებისგან განსხვავებით, ბოსნიური ვოიაჟი წარმატებულად შეგვიძლია მოვიჩნიოთ.

ქართველ გოგონათა მეტოქეები პირველ ჯგუფში პოლონეთი, დანია, ლუქსემბურგი და სლოვენია იყვნენ, მატჩები კი ასეთი შედეგებით დასრულდა:

**სლოვენია 0:34 პოლონეთი**
**დანია 17:14 საქართველო**
**პოლონეთი 17:7 ლუქსემბურგი**
**დანია 31:0 სლოვენია**
**საქართველო 12:10 ლუქსემბურგი**
**პოლონეთი 34:5 დანია**
**საქართველო 33:5 სლოვენია**
**დანია 17:0 ლუქსემბურგი**
**პოლონეთი 15:12 საქართველო**
**ლუქსემბურგი 10:10 სლოვენია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 4 | 4 | 0 | 0 | +76 | 12 |
| დანია | 4 | 3 | 0 | 1 | +22 | 10 |
| საქართველო | 4 | 2 | 0 | 2 | +24 | 8 |
| ლუქსემბურგი | 4 | 0 | 1 | 3 | -29 | 5 |
| სლოვენია | 4 | 0 | 1 | 3 | -93 | 5 |

მეორე ჯგუფში მატჩები ასეთი შედეგებით დასრულდა:

**უკრაინა 0:24 შვეიცარია**
**სერბეთი 0:29 უნგრეთი**
**შვეიცარია 42:0 ბოსნია**
**სერბეთი 0:41 უკრაინა**
**უნგრეთი 12:0 ბოსნია**
**შვეიცარია 51:0 სერბეთი**
**უნგრეთი 26:0 უკრაინა**
**ბოსნია 0:33 უკრაინა**
**შვეიცარია 32:0 უნგრეთი**
**სერბეთი 5:10 ბოსნია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 4 | 4 | 0 | 0 | +149 | 12 |
| უნგრეთი | 4 | 3 | 0 | 1 | +35 | 10 |
| უკრაინა | 4 | 2 | 0 | 2 | +24 | 8 |
| ბოსნია | 4 | 1 | 0 | 3 | -82 | 6 |
| სერბეთი | 4 | 0 | 0 | 4 | -126 | 4 |

**ნახევარფინალი**

**პოლონეთი 21:12 უნგრეთი**
**დანია 0:39 შვეიცარია**

**სანუგეშო ნახევარფინალი**

**საქართველო 14:5 ბოსნია**
**ლუქსემბურგი 0:5 უკრაინა**

**მე-9 ადგილისთვის**

**სლოვენია 36:5 სერბეთი**

**მე-7 ადგილისთვის**

**ლუქსემბურგი 5:0 ბოსნია**

**მე-5 ადგილისთვის**

**უკრაინა 10:7 საქართველო**

**მე-3 ადგილისთვის**

**უნგრეთი 22:10 დანია**

**ფინალი**

**პოლონეთი 0:37 შვეიცარია**



საქართველოს ნაკრები. უკან: ნინო ელოშვილი, ზურაბ ამონაშვილი (მეორე მწვრთნელი), შორენა გამსახურდია, ბელა გოგსაძე, ნათია ბალარჯიშვილი, მარებ მაისურაძე, ანა პოღოსიანი; წინ: რუსუდან გამსახურდია, თამუნა ჩხუბიანიშვილი, ქეთევან ქობალია, მაკა ტყებუჩავა

არქივწული

# თქვენ უკვე იცით...

## კობი ბრაიანტი ხარი არ არის: წითელი დროშის ფრიალი არ აღიზიანებს



კობი ბრაიანტის შემჩერებული ორლანდოელი კალათბურთელებიდან არავინ, ფანებიდან კი ერთი მაინც გამოჩნდა

**ფინალი**

I მატჩი. 5 ივნისი
**ლეიკერსი 100:75 ორლანდო**
22:24 31:19 29:15 18:17

II მატჩი. 8 ივნისი
**ლეიკერსი 101:96 ორლანდო**
15:15 25:20 23:30 25:23 13:8

**ლეიკერსი:** ფიშერი (12), ბრაიანტი (29), არიზა (8), გასოლი (24 ქულა, 10 მოხსნა), ბაინუმი (5); ოდომი (19), უოლტონი, ფარმარი (4), ბრაუნი, ვუიაჩიჩი
**ორლანდო:** ალსტონი (4), ლი (2), თურქოღლუ (22), ლუისი (34 ქულა, 11 მოხსნა), ჰოვარდი (17 ქულა, 16 მოხსნა); პიეტრუსი (2), ნელსონი (4), ჰორტატი (4), რედიკი (5), ბეტი (2)

მეოთხე პერიოდის დასრულებას ბევრიც არაფერი უკლდა. ანგარიში 88:88 იყო. თანაგუნდელებმა კობი ბრაიანტი ისეთ პოზიციაზე გაიყვანეს, რომ ალიუპა უბრალოდ შეუძლებელი იყო. ამ დროს კი, კაცმა არ იცის საიდან, მასთან თურქოღლუ აღიმართა, სწრაფად დაუფარა და ბურთიც მანვე მოხსნა.

თურქმა იდეალური პასი მისცა ლის, რომელმაც ფარქვეშ ბრწყინვალე შანსი ვერ გამოიყენა.

ოვერტაიმამდე 0,6 წამი რჩებოდა. ასე დასრულდა ფინალური სერიის მეორე მატჩის ძირითადი დრო, ოვერტაიმში კი „ორლანდო“ გატყდა.

III მატჩი. 10 ივნისი
**ორლანდო 108:104 ლეიკერსი**
27:31 32:23 22:21 27:29

**ორლანდო:** ალსტონი (20), ლი (4), თურქოღლუ (18), ლუისი (21), ჰოვარდი (21 ქულა, 14 მოხსნა); პიეტრუსი (18), ნელსონი (2), ჰორტატი, ბეტი (4)
**ლეიკერსი:** ფიშერი (9), ბრაიანტი (31 ქულა, 8 მოხსნა), არიზა (13), გასოლი (23), ბაინუმი (4); ოდომი (11), ფარმარი (11), უოლტონი (2), ვუიაჩიჩი, მბენგა

ორი საშინაო მატჩის მერე „ლეიკერსი“, როგორც იქნა, დამარცხდა. ეს ორლანდოში მოხდა და კალიფორნიელებმა მატჩი 4 ქულით — 104:108 დათმეს.

და როგორ გგონიათ, რას დააბრალა „ლეიკერსის“ მწვრთნელმა ფილ ჯექსონმა ეს მარცხი? რას და, ვიღაც ორლანდოელი ფანი წითელ დროშას აფრიალებდა, ამით ჩვენს კალათბურთელებს აღიზიანებდა და ამიტომაც გვქონდა საჯარიმო სროლების ასეთი საშინელი რეალიზაციაო.

ფილ ჯექსონმა პრესკონფერენციისას არ დაიზარა, წამოდგა და ჟურნალისტებს თვალსაჩინოდ აჩვენა, თუ როგორ აფრიალებდა ის ფანი დროშას.

დროშის ფრიალისა რა მოგახსენოთ, საჯარიმოებს კი ლოსანჯელესელები მართლაც საშინლად ისროდნენ — 26 ცდიდან მხოლოდ 16 ჩააგდეს.

ამ 26 სროლიდან 10 კი კობი ბრაიანტისა იყო და მან სროლების მხოლოდ ნახევარი ჩააგდო. არადა, ბრაიანტს წინა ორ მატჩში 18 სროლიდან 16 ჩაგდებული ჰქონდა.

ოღონდაც ბრაიანტს ფილ ჯექსონის არგუმენტით თავის მართლება არ უცდია და ისე გამოუვიდა, რომ მწვრთნელს დასცინა: ის ბიჭი რომ დამენახა, ვებ უკეთესადაც კი მესროლა, მაგრამ არ დამინახავსო.

„ლეიკერსის“ მეორე ლიდერმა პაუ გასოლმა კი თქვა, საჯარიმოების გარდა ყველაფერი ძალიან კარგადაც გამოგვდიოდაო.

ამ მატჩში ასეთი სახალისო ეპიზოდიც იყო: ენდრიუ ბაინუმს 4 პერსონალური ჯარიმა ჰქონდა და ერთ-ერთი პაუზისას, ლეიკერსელთა მეორე მწვრთნელმა გაიხმო და აუხსნა თუ როგორ უნდა ეთამაშა დუაიტ ჰოვარდის წინააღმდეგ ისე, რომ ფოლი არ მიეღო. ბაინუმმა თავი დაუქნია, ყველაფერი გავიგეო და.. 10 წამში მეხუთე პერსონალური მიიღო.

თუმცა მთავარი ის არის, რომ „ორლანდომ“ ისტორიაში პირველი მატჩი მოიგო ნბა-ს ფინალებში.

ორლანდოელები ფინალში პირველად 1995 წელს გავიდნენ და გუნდში შაკილ ონილი ჰყავდათ. მათი მეტოქე კი „ჰიუსტონი“ იყო. პირველი ორი მატჩი ორლანდოში ჩატარდა და მასპინძლებმა ორივე წააგეს, რასაც ორი ჰიუსტონური მარცხიც მოაყოლეს და ფინალი სამარცხვინოდ წააგეს.

აგერ ახლა კი, 14 წლის თავზე, „ორლანდომ“ პირველად მოიგო ფინალური სერიის მატჩი.

IV მატჩი. 12 ივნისი
**ორლანდო 91:99 ლეიკერსი**
24:20 25:17 14:30 24:20 4:12

**ორლანდო:** ალსტონი (11), ლი (4), თურქოღლუ (25), ლუისი (6), ჰოვარდი (16 ქულა, 21 მოხსნა, 9 დაფარება); პიეტრუსი (15), ნელსონი (2), ჰორტატი (4), რედიკი (6), ბეტი (2)
**ლეიკერსი:** ფიშერი (12), ბრაიანტი (32 ქულა, 7 მოხსნა, 8 პასი), არიზა (16 ქულა, 9 მოხსნა), გასოლი (16 ქულა, 10 მოხსნა), ბაინუმი (6); ოდომი (9), მბენგა, უოლტონი, ფარმარი, პაუელი (2), ვუიაჩიჩი, ბრაუნი

არ ჰქონდა „ორლანდოს“ წასაგები მატჩი. ბოლოს და ბოლოს, დიდი შესვენებისას 12 ქულით იგებდა. ფლორიდელთა ლიდერმა დუაიტ ჰოვარდმა ფინალების ახალი რეკორდიც დაამყარა და ერთ მატჩში 9 მოხსნა მიითვალა, რაც აქამდე ვერავის მოეხერხებინა.

ძირითადი დროის ბოლო სროლაც ორლანდოელების იყო და ისევე როგორც ფინალური სერიის მეორე მატჩში — რომელიც ასევე ოვერტაიმში გადავიდა — ეს ბოლო ნასროლი კალათაში არ ჩავარდა. არადა, ფიშერს რომ ჩაეგდო, თამაშის დასრულებამდე 4 წამი რჩებოდა და „ლეიკერსი“ რისი გამოანაბრებელი იქნებოდა...

ასე კი მივიღეთ, რომ ფინალურ სერიაში „ლეიკერსი“ 3:1 დაწინაურდა.

მეხუთე მატჩი დღეს გამთენიისას ისევ ორლანდოში გაიმართა და ახლა, როცა გაზეთს კითხულობთ, ვგებ, უკვე გაგებულიც გაქვთ მისი შედეგი. და თუ ასეა, ისიც გეცოდინებათ, გახდა „ლეიკერსი“ ნბა-ს ჩემპიონი თუ ტიტულის ბედს კალიფორნიული თამაშები გადაწყვეტენ.

ერთს კი მოგახსენებთ, რომ პლეიოფის სხვა ეტაპებისგან განსხვავებით, ფინალში სტუმარ-მასპინძლის სხვა წესი აქვთ.

თუ ადრეულ ეტაპებზე მოედნის უპირატესობის მქონე გუნდი ორ მატჩს შინ ატარებს, მერე ორს სტუმრად, ერთს შინ, მომდევნოს სტუმრად და ბოლოს ისევ შინ (თუკი შვიდი მატჩის საჭიროება შეიქნა), ნბა-ს ფინალში უპირატესობის მქონე გუნდი პირველ ორ მატჩში მასპინძელია, მერე სამ თამაშს სტუმრად მართავს და ბოლო ორს სახლში.

**ირაკლი ნინიძე**

# უსუსურს ახალი თავი დაადგეს

**სანამ** „ლეიკერსი“ და „ორლანდო“ საჩემპიონო ბეჭდების საკითხს არკვევენ, ნბა-ს უსუსტესმა გუნდმა მწვრთნელის შეცვლა მოასწრო.

„საკრამენტოსთვის“ ახალი თავკაცის ძებნას რომ შეუდგებოდნენ, უეჭველი იყო, რაკი ამ გუნდს დაარსებიდან ისეთი ცუდი შედეგი არასდროს უჩვენებია, როგორიც აწ გასრულებულ რეგულარულ ჩემპიონატში. საკრამენტოელებმა 82 მატჩიდან ოდენ 17 მოიგეს და ლიგის ყველაზე უსუსური გუნდის არცთუ საამაყო სახელიც მოიხვეჭეს.

ჰოდა, გუნდის ბოსებმა მწვრთნელის პოსტიდან კენ ნათი დაითხოვეს და მის მაგიერ პოლ ვესტფოლი დანიშნეს.

ისე, კაცმა რომ თქვას, ვესტფოლი კარგ დროს მივიდა გუნდში — ოდენ 17 მოგებაზე უარესი შედეგი, ძნელად, რომ აჩვენოს. ასე რომ, ახალ მწვრთნელს უკეთესი შედეგი პრაქტიკულად გარანტირებული აქვს და შესაბამისად, მისი მუშაობაც დამაკმაყოფილებლად შეფასდება.

საერთოდ კი, ნბა-ს ისტორიაში უცუდესი შედეგი „ფილადელფიას“ აქვს, რომელმაც 1973 წლის რეგულარულში მხოლოდ 7 თამაში მოიგო.



EuroBasket Women

*ლატვიაში ქალთა ევროპის ჩემპიონატი მიმდინარეობს და ამ დროისთვის საქმე მეორე ჯგუფურ ეტაპამდეა მისული. ამ კვირაში კი, კერძოდ 20 ივნისს, ჩემპიონიც გამოვლინდება*

### პირველი ეტაპი

**A ჯგუფი**

უკრაინა 55:77 სლოვაკეთი
ჩეხეთი 59:66 ესპანეთი
სლოვაკეთი 65:58 ჩეხეთი
ესპანეთი 85:59 უკრაინა
უკრაინა 77:79 ჩეხეთი
ესპანეთი 71:54 სლოვაკეთი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 3 | 3 | 0 | +50 | 6 |
| სლოვაკეთი | 3 | 2 | 1 | +12 | 5 |
| ჩეხეთი | 3 | 1 | 2 | -12 | 4 |
| უკრაინა | 3 | 0 | 3 | -50 | 3 |

**B ჯგუფი**

საბერძნეთი 59:43 უნგრეთი
ლატვია 86:52 პოლონეთი
პოლონეთი 62:60 საბერძნეთი
უნგრეთი 59:76 ლატვია
პოლონეთი 60:53 უნგრეთი
საბერძნეთი 68:70 ლატვია

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ლატვია | 3 | 3 | 0 | +53 | 6 |
| პოლონეთი | 3 | 2 | 1 | -25 | 5 |
| საბერძნეთი | 3 | 1 | 2 | +12 | 4 |
| უნგრეთი | 3 | 0 | 3 | -40 | 3 |

**C ჯგუფი**

ლიტვა 71:49 სერბეთი
რუსეთი 74:61 თურქეთი
თურქეთი 69:66 ლიტვა
სერბეთი 37:72 რუსეთი
თურქეთი 65:55 სერბეთი
ლიტვა 52:60 რუსეთი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 3 | 3 | 0 | +56 | 6 |
| თურქეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 5 |
| ლიტვა | 3 | 1 | 2 | +11 | 4 |
| სერბეთი | 3 | 0 | 3 | -67 | 3 |

**D ჯგუფი**

ბელარუსი 81:76 ისრაელი
იტალია 61:76 საფრანგეთი
ისრაელი 64:75 იტალია
საფრანგეთი 63:61 ბელარუსი
ბელარუსი 58:67 იტალია
საფრანგეთი 73:70 ისრაელი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 3 | 3 | 0 | +20 | 6 |
| იტალია | 3 | 2 | 1 | +5 | 5 |
| ბელარუსი | 3 | 1 | 2 | -6 | 4 |
| ისრაელი | 3 | 0 | 3 | -19 | 3 |

### მეორე ეტაპი

**E ჯგუფი**

პოლონეთი 56:65 სლოვაკეთი
საბერძნეთი 48:67 ესპანეთი
ჩეხეთი 47:65 ლატვია
საბერძნეთი 62:45 ჩეხეთი
ესპანეთი 67:55 პოლონეთი
სლოვაკეთი 78:69 ლატვია

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 4 | 4 | 0 | +55 | 8 |
| სლოვაკეთი | 4 | 3 | 1 | +8 | 7 |
| ლატვია | 4 | 3 | 1 | +45 | 7 |
| პოლონეთი | 4 | 1 | 3 | -53 | 5 |
| საბერძნეთი | 4 | 1 | 3 | -6 | 5 |
| ჩეხეთი | 4 | 0 | 4 | -49 | 4 |

**F ჯგუფი**

იტალია 59:64 თურქეთი
ბელარუსი 51:66 რუსეთი
ლიტვა 55:57 საფრანგეთი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 3 | 3 | 0 | +36 | 6 |
| საფრანგეთი | 3 | 3 | 0 | +19 | 6 |
| თურქეთი | 3 | 2 | 1 | -5 | 5 |
| იტალია | 3 | 1 | 2 | -11 | 4 |
| ლიტვა | 3 | 0 | 3 | -13 | 3 |
| ბელარუსი | 3 | 0 | 3 | -26 | 3 |

# მათ უყვართ Z-PACH



გსურთ თუ არა, რომ ზაზა ფაჩულიამ ახალი კონტრაქტი გააფორმოს „ატლანტა ჰოუკსთან"? ამ კითხვით მიმართავს ჯორჯიული „ატლანტა ჯორნალ კონსტიტუშენი" თავის ინტერნეტ-მკითხველს, რომელთაგან 85-მა პროცენტმა თქვა — დიახ. ეს გუშინდელი საღამოს მონაცემია და თუ თქვენც გსურთ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, ამ მისამართზე უნდა შეხვიდეთ: www.ajc.com და იქ სპორტის გვერდში ზაზა ფაჩულია მოძებნოთ. კითხვა კი იმიტომ დაისვა, რომ ზაზას „ატლანტასთან" კონტრაქტი 1 ივლისს ეწურება და ჯერაც უცნობია, შესთავაზებს გუნდი ახალი კონტრაქტის გაფრმებას თუ ქართველი ცენტრი თავისუფალი აგენტის სტატუსით ახალი ნავსაყუდელის ძიებას შეუდგება. ნახსენები გამოცემის ინტერნეტ-გვერდზე კი ზაზასთან ინტერვიუც არის დაბეჭდილი, რომლის ქართულ თარგმანს აქ წარმოგიდგენთ...



ატლანტის ებრაულ სასწავლებელში ზაზა ფაჩულიას ფან-კლუბი დაუარსებიათ და ისე როგორ იქნებოდა, ქართველი კალათბურთელი თაყვნისმცემელ ახალგაზრდებს არ შეხვედროდა.

სტუმრობით მოსწავლეებიც და კალათბურთელიც, ცხადია, კმაყოფილნი დარჩნენ. ამასთანავე მოსწავლეებმა ზაზას შენობის ფასადზე დიდი ასოებით დაწერილი **ZAZA** დაახვედრეს და საგანგებოდ დამზადებული მაისურებიც ჩაიცვეს...










# ხალხის ხმა: დიახ!

## სადაც უნდა წავიდე, ატლანტა ჩემი სახლია

**— 1 ივლისიდან თავისუფალი აგენტი ხდებით. რამდენად მნიშვნელოვანია ეს ზაფხული თქვენთვის?**

— ძალიან მნიშვნელოვანია. სეზონის მსვლელობისას ამაზე არც მიფიქრია. ჩემი შვილისთვის ეს პირველი ზაფხულია და მსურს, ოჯახთან ერთად მეტი დრო გავატარო. თუმცა, ახლა, როცა კონტრაქტის ვადა მეწურება, მინდა დროულად გავარკვიო, „ატლანტაში" ვრჩები, თუ ახალი გუნდი მაქვს მოსაძებნი. მოკლედ, ერთი მხრივ მინდა, რომ დრო ნელა გავიდეს, მეორე მხრივ კი მოუთმენლად ველი, ახალი კონტრაქტის გაფორმებას. „ჰოუკსში" დარჩენა ძალიან გამახარებს.

**— რა იქნება თქვენთვის გადამწყვეტი ფაქტორი ახალი კონტრაქტის გაფორმებისას?**

— ამაზე ლაპარაკი მიჭირს. მხოლოდ ფულზე ვერ ვილაპარაკებ. კონტრაქტი მთლიანობაში უნდა განიხილო. ვთვლი, რომ თითოეული პუნქტი მნიშვნელოვანია. ამ კითხვაზე უფრო ამომწურავი პასუხი მაშინ მექნება, როცა კონტრაქტს შემომთავაზებენ და მისი განხილვის საშუალება მექნება.

**— რას ნიშნავს თავისუფალი აგენტობა, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პირობებში?**

— ამას თავისი დადებითი მხარეც აქვს და უარყოფითიც. წინა კვირაში ჩემს აგენტთან მქონდა საუბარი და ყველაფერზე დეტალურად ვილაპარაკეთ. ახლა მხოლოდ მოცდა შემიძლია და ლოდინი, თუ რა მოხდება.

**— ახლახანს საჯაროთ თქვით, რომ „ჰოუკსში" დარჩენა გინდათ. აზრი ხომ არ შეგიცვლიათ?**

— „ატლანტაში" ოთხი წელია, ვარ და აქ ყოფნა ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. სადმე სხვაგანაც რომ წავიდე, ატლანტა მაინც ჩემი სახლი იქნება. აქ ხალხის პატივისცემას და სიყვარულს ვგრძნობ და ამ დროს ცხოვრება უფრო იოლი და სასიამოვნოა. ბედნიერი ვიქნები, კვლავ „ატლანტაში" თუ ვითამაშებ. როცა თურქეთში ვთამაშობდი, ექვსი წელი ერთ გუნდში გავატარე, ანუ ხეტიალის და გუნდების ხშირი შეცვლის მოყვარული არ ვარ.

**— ახლა, როცა თქვენთვის სეზონი დასრულებულია და უკან მოხედვის მეტი საშუალება გაქვთ, როგორც ფიქრობთ, შეგეძლოთ სეზონი უკეთესი შედეგით დაგესრულებინათ?**

— მართალი ბრძანდებით, სეზონის მსვლელობისას ამაზე ვერ იფიქრებ. პირველ რიგში გეტყვით, რომ პლეი ოფში გასვლით მიზანი შევასრულეთ. ალბათ, ამანაც იმოქმედა ჩვენს შემდგომ თამაშებზე. ახლახანს, როცა „კლივლენდის" და „ორლანდოს" სერიას ვუყურებდი (აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალში), გავიფიქრე, რომ ცოტათი მეტად რომ მოგვენდომებინა, „კლივლენდის" დამარცხებაც არ იყო წარმოუდგენელი.

# გიორგი ცინცაძე: საუკეთესო, საუკეთესო, საუკეთესო, საუკეთესო

**ესტონეთის** ჩემპიონატის დასრულების მერე — რომელშიც გიორგი ცინცაძის და ვიქტორ სანიკიძის „როკმა" ფინალი „კალევთან" წააგო — ტარტუელთა ქართველი ლეგიონერები სამშობლოში დაბრუნდნენ.

სწორედ თბილისში შეიტყო გიორგი ცინცაძემ, რომ ესტონელებმა ის სეზონის საუკეთესო კალათბურთელად დაასახელეს!

და ეს კიდევ არ არის ყველაფერი: ცინცაძე სეზონის საუკეთესო უკანახაზელი და ლეგიონერი გახდა. ამასთანავე, ბუნებრივია, სიმბოლურ ხუთეულშიც შეიყვანეს, ხოლო „როკის" გულშემატკივართა გამოკითხვით, ამ გუნდის უძვირფასეს მოთამაშედაც აღიარეს.

ერთი სიტყვით, ერთადერთი, რაც გიორგის დააკლდა, ჩემპიონობა იყო და როგორც თავადვე თქვა საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ვებგვერდისთვის მიცემულ ინტერვიუში, სასიამოვნოდ გაოცებულიც დარჩენილა — საუკეთესოდ, როგორც წესი, ჩემპიონი გუნდის გამორჩეულ კალათბურთელს ასახელებენ.



თუმცა, როცა საუკეთესოს სახელს დამარცხებული გუნდის მოთამაშეს ანიჭებენ, ეს ორმაგად დასაფასებელი და ალსანიშნი ამბავია.

ახლა გასარკვევი ის არის, სად გააგრძელებენ კარიერას ცინცაძეც და სანიკიძეც. „როკთან" კონტრაქტები ორივეს ამოეწურა. გუნდს მათი დატოვება სურს, თუმცა კონკრეტული ლაპარაკი ამაზე ჯერ არ ყოფილა. ისე კი, ვფიქრობ, ორივეს უფრო ძლიერ გუნდშიც შეუძლიათ თამაში.

**კოტე კეკელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მეშვიდე და სამართალი

## პიტსბურგმა მონრეალი გაიმეორა

**ფინალი. VII მატჩი**
**დეტროიტი 1:2 პიტსბურგი**
0:0 0:2 1:0

**ახლა** შეგვიძლია ვთქვათ: რევანში შედგა, თუმცა ამისი ბევრს ეეჭვებოდა. საქმე ის გახლავთ, რომ ეს გუნდები შარშანაც დაეჯახნენ ერთმანეთს სტენლის თასისთვის ბრძოლაში და მაშინ გამარჯვება დეტროიტელებს დარჩათ.

თანაც „პიტსბურგმა" მეშვიდე, გადამწყვეტი მატჩი ამერიკის მანქანათმშენებლობის დედაქალაქში მოიგო.

ისიც ვთქვათ, რომ ფინალურ სერიაში „დეტროიტი" თავიდან 2:0-ს იგებდა. „პიტსბურგმა" გაათანაბრა. მერე დეტროიტელებმა მესამე თამაში მოიგეს. „პიტსბურგმა" ისევ გაათანაბრა და აგერ, გადამწყვეტი მატჩიც მოიგო.

ისტორიას კი აქამდე მხოლოდ ერთი შემთხვევა ახსოვდა, როცა სერიაში 0:2 ჩამორჩენილი გუნდი საბოლოოდ სტენლის თასს დაეუფლა. ეს „მონრეალმა" შეძლო 1971 წელს.

„დეტროიტს" კი ამ პლეი ოფში საკუთარ, „ჯო ლუის არენაზე" ჩატარებული 12 მატჩიდან მხოლოდ ერთი წააგო. ესეც მეორე და გადამწყვეტი...

### სტენლის თასის მფლობელები

| | |
|---|---|
| მონრეალ კანადიენსი | 24 |
| ტორონტო მეფლი | 13 |
| დეტროიტ რედ ვინგზი | 12 |
| ბოსტონ ბრუინსი | 5 |
| ედმონტონ ოილერსი | 5 |
| ნიუ იორკ აილენდერსი | 4 |
| ნიუ იორკ რეინჯერსი | 4 |
| პიტსბურგ პინგვინსი | 3 |
| ჩიკაგო ბლექჰოუკსი | 3 |
| ნიუ ჯერსი დევილსი | 3 |
| კოლორადო აველანჩი | 2 |
| ფილადელფია ფლაიერსი | 2 |
| ანაჰაიმ დაკსი | 1 |
| კალგარი ფლეიმსი | 1 |
| კაროლინა ჰარიკანსი | 1 |
| დალას სტარსი | 1 |
| ტამპა ბეი ლაითინგი | 1 |

# ვის რა ერგება სეზონის ბოლოს

**სტენლის თასი** — გადაეცემა პლეი ოფის გამარჯვებულს. თამაშდება 1893 წლიდან. არ გათამაშებულა ორჯერ. 1919 წელს ეპიდემიის გამო და 2005 წელს ლოკაუტის გამო;

**უელსის პრინცის პრიზი** — გადაეცემა აღმოსავლეთ კონფერენციის ჩემპიონს (პიტსბურგი);

**კლარენს კემპბელის პრიზი** — გადაეცემა დასავლეთ კონფერენციის ჩემპიონს (დეტროიტი);

**პრეზიდენტის თასი** — გადაეცემა რეგულარულ ჩემპიონატში ყველაზე მეტი ქულის დამგროვებელს (სან ხოსე);

**ჰართ ტროფი** — გადაეცემა რეგულარული ჩემპიონატის უძვირფასეს მოთამაშეს;

**ლედი ბონგ ტროფი** — გადაეცემა სამართლიანი თამაშისთვის;

**ვეზინა ტროფი** — გადაეცემა ჩემპიონატის საუკეთესო მეკარეს;

**კოლდერ ტროფი** — გადაეცემა საუკეთესო დებიუტანტს, რომელიც სრულად ჩაატარებს სეზონს;

**არტ როს ტროფი** — გადაეცემა რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირს გოლი პლუს პასი სისტემით (ევგენი მალკინი, პიტსბურგი);

**ჯეიმს ნორის ტროფი** — გადაეცემა საუკეთესო მცველს;

**ჯონ სმიტ ტროფი** — გადაეცემა პლეი ოფის საუკეთესო მოთამაშეს;

**ბილ მასტერტონ ტროფი** — გადაეცემა ოსტატობისა და ერთგულებისთვის;

**ლესტერ პირსონ ტროფი** — საუკეთესო მოთამაშეს თავად ჰოკეისტთა გამოკითხვით;

**ჯეკ ადამს ტროფი** — გადაეცემა საუკეთესო მწვრთნელს სპორტულ ჟურნალისტთა გამოკითხვით;

**უილიამ ჯენინგს ტროფი** — გადაეცემა ყველაზე ნაკლები გოლის გამშვებ მეკარეს (ტიმ ტომასი და მენი ფერნანდესი, ორივე ბოსტონი);

**კინგ კლენს ტროფი** — მისაბაძი ჰოკეისტისთვის, რომელიც აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში;

**მორის რიშარის პრიზი** — გადაეცემა საუკეთესო სნაიპერს რეგულარული ჩემპიონატის მიხედვით (ალექსანდრ ოვეჩკინი, ვაშინგტონი, 56 გოლი).

***ნომინაციებში, რომლებსაც გამარჯვებულები ჯერ არ ჰყავს, საუკეთესოები 18 ივნისს დასახელდებიან***



ასეთია სტენლის თასი დღეს



თასის ორიგინალი



კლოუნი კრასტი



ლორდი სტენლი

# 48 დოლარის ფრიად სახალისო ისტორიები

## გალასის ძაღლის ახდენილი ოცნება

## შეეხე ორიგინალს, ჩაყარე პოპკორნი ასლში

**ეს თასი** 1892 წელს კანადის გენერალ-გუბერნატორმა ლორდმა სტენლი პრესტონმა ლონდონში 10 გინეად (48 დოლარი) იყიდა. ნჰლის დაარსებამდე თასი კანადის საუკეთესო მოყვარულ გუნდს გადაეცემოდა.

თასის სადგამზე არა მხოლოდ მფლობელი გუნდების, მოთამაშეების გვარებიც იტევირება.

1991 წელს სადგამზე წარწერებისთვის ადგილი აღარ დარჩა, ამიტომ მოხსნეს და ტორონტოში, ჰოკეის დიდების მუზეუმში შეინახეს, თასს კი ახალი სადგამი გაუკეთეს.

საერთოდაც, თასი რომელიც ახლა გამარჯვებულ გუნდებს გადაეცემათ, ასლია, ორიგინალი კი, ის, რომელიც ასზე მეტი წლის წინ ლორდმა სტენლიმ იყიდა, ასევე მუზეუმში ინახება.

გამარჯვებული გუნდის ჰოკეისტებს ტორონტოში ჩასვლის და ორიგინალისთვის ხელის შეხების უფლება აქვთ.

მუზეუმში ასევე დაცულია ყველა ლენტი, რომელიც ფინალის გადამწყვეტი მატჩის მერე თასს ებმებოდა და რომელზეც მოთამაშეთა გვარები იყო დაწერილი. არ არსებობს მხოლო 1930 წელს თასის მომგებ ბოსტონელთა ლენტები, რომლებიც გაურკვეველ ვითარებაში დაიკარგა.

არსებობს ასეთი ტრადიციაც: გამარჯვებული გუნდის ყოველ მოთამაშეს ერთი დღით თასის სახლში წაღების უფლება აქვს და ამ უფლებას ზოგი ბოროტადაც იყენებს. ასე მაგალითად:

2000: „ნიუ ჯერსის" მეკარემ მარტინ ბროდომ თასი კინოში წაიღო, შიგ პოპკორნი ჩაყარა და იქიდან მიირთვა.

1996: პატრიკ რუას არხში ჩაუვარდა და ჩაიძირა: ბედად, ვილაც ფანმა ჩაყვინთა და ამოიღო.

1982: აილენდერსელმა კლარკ გალასმა თასი ძაღლის საკვებით აავსო და თავის ოთხფეხა მეგობარს დაუდგა.

1980: ასევე აილენდერსელმა ბრაიან ტროტიემ თასი ღამე ლოგინში ჩაიწვინა.

ასეთი რამეც მომხდარა: 1962 წელს ჩიკაგოს სტადიონზე გამოფენილი თასის მოპარვა მავანმა დეტროიტელმა ფანმა განიზრახა და დამცავი ვიტრინაც ჩაამსხვრია. ქურდი პოლიციამ დააკავა. გაირკვა, რომ ჭკუიდან გადამდგარ გულშემატკივარს თასის დეტროიტში დაბრუნება სურდა და ამტკიცებდა, რომ „დეტროიტის" გარდა არავინ იყო ამ თასის ქონის ღირსი.

1998 წელს კი სტენლის თასი „სიმპსონების" ერთ-ერთ სერიაში გამოჩნდა — კლოუნი კრასტი მასში არწყევს...

**ძოტე ძეძელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ქართველთა რეიტინგი

| კაცები | | |
|---|---|---|
| 495 (499) | ირაკლი ლაბაძე | 96 |
| 843 (847) | ნიკოლოზ ბასილაშვილი | 26 |
| 846 (851) | ლაზარე კუხალაშვილი | 26 |
| 961 (971) | ლადო ჩიხლაძე | 17 |
| 1291 (1299) | ნოდარ ითონიშვილი | 6 |
| 1538 (1542) | ბექა ბუჩუკური | 2 |
| 1610 (1618) | დემეტრე თაქთაქიშვილი | 2 |

| ქალები | | |
|---|---|---|
| 172 (176) | ანა ტატიშვილი | 348 |
| 253 (234) | მაკა ჩახნაშვილი | 208 |
| 270 (265) | სოფო შაფათავა | 180 |
| 290 (326) | ოქსანა კალაშნიკოვა | 160 |
| 549 (580) | ეკატერინე გორგოძე | 55 |
| 564 (563) | სოფო ქვაცაბაია | 51 |
| 779 (719) | მანანა შაფაქიძე | 24 |
| 884 (888) | სოფო მელიქიშვილი | 16 |

# ოქსანამ ქართველობა არ დააჩაგვრინა



ოქსანა კალაშნიკოვა

**ოქსანა კალაშნიკოვა**, უკრაინელ კრისტინა ანტონიჩუკთან ერთად წყვილთა შეჯიბრის გამარჯვებული გახდა. ოქსანამ უზბეკურ კარშიში 25-ათასიანი ტურნირი მოიგო.

გამარჯვებულმა წყვილმა ფინალში თურქებს, ბუიუქაქჩაისა და ოზგენს სძლიეს, რომელთაც, თავის მხრივ, ნახევარფინალში ჩვენი სოფო შაფათავა და მისი რუსი მეწყვილე კულიკოვა დაამარცხეს. იქამდე კი თურქმა გოგონებმა ეკატერინე გორგოძეს და ბელარუს ემელიანოვას სძლიეს.

ერთეულებში კალაშნიკოვა მერვედფინალიდან 14 წლის უზბეკმა შარიპოვამ გააძევა.

იტალიურ კამპობასოში კი მაკა ჩახნაშვილი 25-ათასიან ტურნირს მერვედფინალიდან გამოეთიშა, სადაც ფრანგ სტეფანი ვონგსაუზისთან დამარცხდა. წყვილებში კი მაკამ, სერბ იოვანოვიჩთან ერთად, ნახევარფინალი წააგო იტალიელებთან, ფლორისისთან და სულპიცოსთან.

ქართველთაგან ამ დროისთვის საუკეთესო რეიტინგის მქონე ანა ტატიშვილი კი მარსელის 100-ათასიან ტურნირს პირველივე წრიდან დაემშვიდობა. არადა, ანამ ფრანგ პოლინ პარმენტიეს პირველი სეტი 6:0 მოუგო, მერე კი გატყდა.

**კაცები**
**აეგონ ჩემპიონშიპი**
**ლონდონი, დ. ბრიტანეთი**
**ბალახი, 750 000 ევრო**

### მესამე წრე

**ენდი მიურეი** (დ. ბრიტანეთი) — გილერმო გარსია-ლოპესი (ესპანეთი) 6:4 6:4; **მარდი ფიში** (აშშ) — ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) 6:1 6:4; **სტივ დარსისი** (ბელგია) — ჟილ მონფილსი (საფრანგეთი) უარი; **ხუან კარლოს ფერერო** (ესპანეთი) — ქსავიე მალისი (ბელგია) 6:4 7:6; **ჯეიმს ბლეიკი** (აშშ) — სემ კუერი (აშშ) 6:4 4:6 6:3; **მიხაილ იუჟნი** (რუსეთი) — ჟილ სიმონი (საფრანგეთი) 6:1 2:6 6:2; **ივო კარლოვიჩი** (ხორვატია) — ნიკოლა მაე (საფრანგეთი) 6:3 6:4; **ენდი როდიკი** (აშშ), — ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) 7:6 7:6

### მეოთხედფინალი

**ენდი მიურეი** — მარდი ფიში 7:5 6:3; **ხუან კარლოს ფერერო** — სტივ დარსისი 4:6 6:3 6:4; **ჯეიმს ბლეიკი** — მიხაილ იუჟნი 7:6 6:3; **ენდი როდიკი** — ივო კარლოვიჩი 7:6 7:6

### ნახევარფინალი

**ენდი მიურეი** — ხუან კარლოს ფერერო 6:2 6:4; **ჯეიმს ბლეიკი** — ენდი როდიკი 4:4 უარი

### ფინალი

**ენდი მიურეი** — ჯეიმს ბლეიკი 7:5 6:4

**გარი ვებერ ოუფენი**
**გალე, გერმანია**
**ბალახი, 750 000 ევრო**

### მეორე წრე

**ანდრეას ბეკი** (გერმანია) — ლუკაშ ლაჩკო (სლოვაკეთი) 7:5 7:6; **ფილიპ კოლშრაიბერი** (გერმანია) — დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) 6:4 7:6; **ტომი ჰაასი** (გერმანია) — ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფრანგეთი) 6:3 7:6; **მიშა ზვერევი** (გერმანია) — ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) 3:6 6:2 7:6; **ბენჯამინ ბეკერი** (გერმანია) — რაინერ შუტლერი (გერმანია) 6:4 2:6 6:4; **ოლივიე როშუსი** (ბელგია) — ფილიპ პეტცშნერი (გერმანია) 5:7 7:5 6:2; **იურგენ მელცერი** (ავსტრია) — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 6:1 უარი; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (სერბეთი) — ფლორან სერა (საფრანგეთი) 5:7 7:5 6:1

### მეოთხედფინალი

**ფილიპ კოლშრაიბერი** — ანდრეას ბეკი 3:6 6:3 6:3; **ტომი ჰაასი** — მიშა ზვერევი 7:6 6:2; **ოლივიე როშუსი** — ბენჯამინ ბეკერი 6:7 6:3 6:3; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** — იურგენ მელცერი 6:1 6:4

### ნახევარფინალი

**ტომი ჰაასი** — ფილიპ კოლშრაიბერი 2:6 7:6 7:6; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** — ოლივიე როშუსი 7:6 6:4

### ფინალი

**ტომი ჰაასი** — ნოვაკ ჯოკოვიჩი 6:3 6:7 6:1

**ქალები**
**აეგონ კლასიკი**
**ბირმინგემი, დ. ბრიტანეთი**
**ბალახი, 220 000 დოლარი**

### მესამე წრე

**მაგდალენა რიბარიკოვა** (სლოვაკეთი) — ციე ჟენი (ჩინეთი) 7:6 6:4; **ურსულა რადვანსკა** (პოლონეთი) — იულია გერგესი (გერმანია) 7:6 6:3; **მელინდა ცინკი** (უნგრეთი) — ალექსანდრა ვოზნიაკი (კანადა) 6:7 7:5 7:5; **სანია მირზა** (ინდოეთი) — ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუსეთი) 7:6 3:6 6:2; **სტეფანი ფორეტი** (შვეიცარია) — ნაომი კავადეი (დ. ბრიტანეთი) 6:4 6:2; **ნა ლი** (ჩინეთი) — არავან რეზაი (საფრანგეთი) 7:5 6:4; **მარია შარაპოვა** (რუსეთი) — ფრანჩესკა სკიავონე (იტალია) 6:1 6:3; **იანინა ვიკმაიერი** (ბელგია) — რობერტა ვინჩი (იტალია) 6:1 6:4

### მეოთხედფინალი

**მაგდალენა რიბარიკოვა** — ურსულა რადვანსკა 6:3 6:3; **სანია მირზა** — მელინდა ცინკი 6:1 7:6; **ნა ლი** — სტეფანი ფორეტი 6:3 7:6; **მარია შარაპოვა** — იანინა ვიკმაიერი 6:1 2:6 6:3

### ნახევარფინალი

**მაგდალენა რიბარიკოვა** — სანია მირზა 3:6 6:0 6:3; **ნა ლი** — მარია შარაპოვა 6:4 6:4

### ფინალი

**მაგდალენა რიბარიკოვა** — ნა ლი 6:0 7:6

## რეიტინგი

| კაცები | | |
|---|---|---|
| 1. | რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 13140 |
| 2. | როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 11070 |
| 3. | ენდი მიურეი (დ. ბრიტანეთი) | 9230 |
| 4. | ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 8020 |
| 5. | ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) | 5480 |
| 6. | ენდი როდიკი (აშშ) | 4400 |
| 7. | ჟილ სიმონი (საფრანგეთი) | 3970 |
| 8. | ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) | 3710 |
| 9. | ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფრანგეთი) | 3510 |
| 10. | ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 3165 |
| 11. | ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 3155 |
| 12. | რობინ სოდერლინგი (შვედეთი) | 2825 |
| 13. | მარინ ჩილიჩი (ხორვატია) | 2780 |
| 14. | გაელ მონფილსი (საფრანგეთი) | 2610 |
| 15. | ტომი რობრედო (ესპანეთი) | 2580 |
| 16. | ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2390 |
| 17. | დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 2385 |
| 18. | დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 2130 |
| 19. | სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) | 1925 |
| 20. | რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 1925 |

| ქალები | | |
|---|---|---|
| 1. | დინარა საფინა (რუსეთი) | 9801 |
| 2. | სერენა უილიამსი (აშშ) | 8158 |
| 3. | ვინუს უილიამსი (აშშ) | 7217 |
| 4. | ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 6591 |
| 5. | სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 6191 |
| 6. | ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 6100 |
| 7. | ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 5360 |
| 8. | ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი) | 4746 |
| 9. | კაროლინ ვოზნიაცკი (დანია) | 4350 |
| 10. | ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი) | 3760 |
| 11. | აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) | 3411 |
| 12. | მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 3285 |
| 13. | ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 3172 |
| 14. | დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი) | 3065 |
| 15. | ფლავია პენეტა (იტალია) | 2860 |
| 16. | ციე ჟენი (ჩინეთი) | 2603 |
| 17. | ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 2549 |
| 18. | სამანტა სტოსური (ავსტრალია) | 2428 |
| 19. | ანაბელ მედინა გარიგესი (ესპანეთი) | 2140 |
| 20. | ნა ლი (ჩინეთი) | 2114 |



„ოქროს სლემის" ოჯახი: შტეფი გრაფი და ანდრე აგასი

# სლემრეკორდები

**ერთი კვირის წინ როჯერ ფედერერმა „როლან გაროსი" მოიგო და იმ ჩოგბურთელებს შეუერთდა, რომელთაც კარიერაში ოთხივე სლემტურნირი მოგებული აქვთ. ქვემოთ ამ და სხვა რეკორდებს გაგაცნობთ...**

**შტეფი გრაფი** ერთადერთი ჩოგბურთელია ისტორიაში, რომელსაც ერთ კალენდარულ წელს „ოქროს სლემი" აქვს მოგებული. ეს ნიშნავს, რომ ერთ სეზონში ის ავსტრალიის ღია პირველობის, „როლან გაროსის", უიმბლდონის", US ოუფენის და ოლიმპიური თამაშების გამარჯვებული გახდა. გრაფმა ეს 1988 წელს შეძლო.

ანდრე აგასი კი ერთადერთი კაცი ჩოგბურთელია, რომელსაც ეს ხუთივე ტურნირი მოგებული აქვს, მაგრამ სხვადასხვა წლებში.

სერენა და ვინუს უილიამსებს იგივე შედეგი აქვთ, ოღონდ წყვილთა თანრიგში.

დონ ბაჯმა მიჯრით ექვსი სლემტურნირის მოგება მოახერხა: 1937 წლის „უიმბლდონით" დაიწყო და 1938 წლის US ოუფენით დაასრულა.

ქალთა შორის მიჯრით ექვსი სლემტურნირი სამ სპორტსმენს აქვს მოგებული:

მორინ კონოლი ბრინკერი: უიმბლდონი, 1952 — US ოუფენი, 1953;

მარგარეტ კორტი: US ოუფენი, 1969 — ავსტრალია, 1971;

მარტინა ნავრატილოვა: უიმბლდონი, 1983 — US ოუფენი, 1984.

როჯერ ფედერერს მიჯრით 10 სლემტურნირის ფინალი აქვს ნათამაშევი: უიმბლდონი, 2005 — US ოუფენი, 2007.

ქალთა შორის რეკორდი კი შტეფი გრაფს ეკუთვნის, რომელმაც მიჯრით 13 ფინალში ითამაშა: როლან გაროსი, 1987 — როლან გაროსი, 1990.

ჩოგბურთის ისტორიაში მხოლოდ 6 კაცი და 9 ქალი ჩოგბურთელია, რომელთაც ოთხივე სლემტურნირი მოგებული აქვთ.

ესენი არიან:

| | |
|---|---|
| ფრედ პერი | 1933-1937 |
| დონ ბაჯი | 1937-1938 |
| როდ ლავერი | 1960-1962 |
| როი ემერსონი | 1961-1964 |
| ანდრე აგასი | 1992-1999 |
| როჯერ ფედერერი | 2003-2009 |
| მორინ კონოლი ბრინკერი | 1951-1953 |
| დორის ჰარტი | 1949-1954 |
| შირლი ფრაი ირვინი | 1951-1957 |
| მარგარეტ კორტი | 1960-1963 |
| ბილი ჯინ კინგი | 1966-1972 |
| კრის ევერტი | 1974-1982 |
| მარტინა ნავრატილოვა | 1978-1983 |
| შტეფი გრაფი | 1987-1988 |
| სერენა უილიამსი | 1999-2003 |

# ცოტაც და, ფეხბურთს ფედერერზე ითამაშებენ



**ბაზელის** სტადიონი, რომელსაც, ფეხბურთის გულშემატკივრებმა იციან — „სენტ იაკობს პოლი" ჰქვია, მალე სახელს შეიცვლის.

ქალაქის მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით, სტადიონს „როჯერ ფედერერ არენა" დაერქმევა. ეს ამბავი, რეკონსტრუქციის მერე მოხდება. ამჟამად სტადიონს არემონტებენ.

ფედერერი ბაზელიდანაა და ქალაქმა ამ ფორმით გადაწყვიტა უგანთქმულესი მოქალაქის დაფასება. აქამდე ქალაქის უფროსები ამისგან თავს იკავებდნენ, რაკი ფედერერი დიადი აქამდეც კი იყო, მაგრამ „როლან გაროსი" მოგებული არ ჰქონდა და ამგვარად, ვერ უერთდებოდა იმ დიადთა ნუსხას, რომელთაც ოთხივე სლემტურნირი მოგებული ჰქონდათ.

**ლუკა თალაკვაძე**

ჩოგბურთი



ანა კურნიკოვა

# ცოლობა შვილის სანაცვლოდ

**ლეგენდარული** ჩოგბურთელი ბორის ბეკერი ისევ დაქორწინდა, მისი რჩეული ამჟერად ჰოლანდიელი ზოდელი შარლილ კესენბერგია. ამ გოგოს გამო ბეკერმა საცოლე, ალექსანდრა მაიერ-ველდენი მიატოვა.

მომღერალმა ენრიკე იგლესიასმა კი განაცხადა, ცოლის მოყვანას სულაც არ ვჩქარობ, აი, ბავშვი თუ შემეძინა, მაშინ სხვა საქმეაო.

წესით და რიგით, იგლესიასს შვილი ჩოგბურთელმა ანა კურნიკოვამ უნდა გაუჩინოს, რაკი ისინი უკვე რამდენი წელია, ერთად ცხოვრობენ. მათი გაცნობა კი კლიპის გადაღებისას მოხდა 2003 წელს, რომელშიც კურნიკოვამ, ჯერ კიდევ მოქმედმა ჩოგბურთელმა მიიღო მონაწილეობა.

ისე, ენრიკეს მამა, განთქმული მომღერალი და „რეალის" ყოფილი ფეხბურთელი ხულიო იგლესიასი მეცხრე შვილს ელოდება. ხულიო 65 წლისაა.

ჭადრაკი

# მაიას თასი თელავში გაემგზავრა

**ვერის** ბაღში ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ჭადრაკის სასახლეში მაია ჩიბურდანიძის თასი გათამაშდა, რომლის გამარჯვებულიც 20 წლის თელაველი დიდოსტატი ბელა ხოტენაშვილი გახდა.

მონაწილეთა შორის ბელას მე-11 რეიტინგი ჰქონდა, თუმცა 9 ტურში 7 ქულით პირველობა არავის დაუთმო.

მეორე ადგილზე გავიდა ლელა ჯავახიშვილი, რომელსაც ასევე 7 ქულა დაუგროვდა, მაგრამ კოეფიციენტით ჩამორჩა გამარჯვებულს.

მესამე ადგილი კი უკრაინელ მარია მუზიჩუკს ერგო.

ლუკა თალაკვაძე



www.worldsport.ge

მძლეოსნობა

# ბოლტს კარტიე ჩააბარეს



**„ლოურენსის პრემიის"** წლევანდელი ლაურეატი იამაიკელი სპრინტერი უსაინ ბოლტი გახდა.

ეს ჯილდო, რაც მსოფლიო სპორტის „ოსკარის" სახელითაცაა ცნობილი და უპრესტიჟულესად ითვლება, წელს პირველად გადაეცა გამარჯვებულს საგანგებო გალა-ცერემონიის გარეშე.

საქმე ის გახლავთ, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გამო ორგანიზატორებმა ძვირადღირებული ცერემონიის მოწყობა იუარეს და გამოაცხადეს, რომ ორი თვის განმავლობაში, მაისსა და ივნისში, ლაურეატებს პრიზებს პერსონალურად ჩააბარებდნენ.

მაისში წლის საუკეთესო სპორტსმენ ქალად რუსი ჭოკით მხტომელი ელენა ისინბაევა დაასახელეს, ახლა კი უსაინ ბოლტი აღიარეს. ეს გასაკვირი არც არის, თუ გავითვალისწინებთ, რომ 2008 წელს (ჯილდოები წინა წლის შედეგების მიხედვით გაიცემა) ბოლტმა სამი ოლიმპიური ოქრო მოიგო 100, 200 მეტრებსა და ესტაფეტაში. ამასთანავე, 100 და 200 მეტრებზე სირბილში მსოფლიოს რეკორდებიც დაამყარა.

პრიზი „კარტიეს" ფირმის ნაკეთობაა, რომელიც 650 გრამ ოქროს შეიცავს.

ორგანიზატორებმა უსაინ ბოლტი რაფაელ ნადალს, ლუის ჰემილტონს, მაიკლ ფელპსს, ვალენტინო როსის და კრიშტიანუ რონალდუს ამჯობინეს.

### ლოურენსის პრემიის ბოლო ათი წლის ლაურეატები

| | კაცები | ქალები |
|---|---|---|
| 2009: | **უსაინ ბოლტი** (იამაიკა, მძლეოსნობა) | **ელენა ისინბაევა** (რუსეთი, მძლეოსნობა) |
| 2008: | **როჯერ ფედერერი** (შვეიცარია, ჩოგბურთი) | **ჟუსტინ ენინი** (ბელგია, ჩოგბურთი) |
| 2007: | **როჯერ ფედერერი** (შვეიცარია, ჩოგბურთი) | **ელენა ისინბაევა** (რუსეთი, მძლეოსნობა) |
| 2006: | **როჯერ ფედერერი** (შვეიცარია, ჩოგბურთი) | **იანიცა კოსტელიჩი** (ხორვატია, თხილამურობა) |
| 2005: | **როჯერ ფედერერი** (შვეიცარია, ჩოგბურთი) | **კელი ჰოლმსი** (დ. ბრიტანეთი, მძლეოსნობა) |
| 2004: | **მიხაელ შუმახერი** (გერმანია, ავტოსპორტი) | **ანიკა სიორენსტამი** (შვედეთი, გოლფი) |
| 2003: | **ლენს არმსტრონგი** (აშშ, ველოსპორტი) | **სერენა უილიამსი** (აშშ, ჩოგბურთი) |
| 2002: | **მიხაელ შუმახერი** (გერმანია, ავტოსპორტი) | **ჯენიფერ კაპრიატი** (აშშ, ჩოგბურთი) |
| 2001: | **ტაიგერ ვუდსი** (აშშ, გოლფი) | **კეტი ფრიმენი** (ავსტრალია, მძლეოსნობა) |
| 2000: | **ტაიგერ ვუდსი** (აშშ, გოლფი) | **მერიონ ჯონსი** (აშშ, მძლეოსნობა) |

*მოგვიანებით, როცა მერიონ ჯონსმა დოპინგის მოხმარება აღიარა, მას ჯილდო ჩამოართვეს, ახალი ლაურეატი კი არ დაუსახელებიათ*

ძიუდო

# ჭაბუკთა ევროპა მსოფლიომდე

**26 ივნისს** სლოვენიურ კოპერში ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატი დაიწყება ძიუდოში.

ამ შეჯიბრზე საქართველოს ნაკრები რვა სპორტსმენით მიდის, რომელთა სიაც ნაკრების მწვრთნელმა ჯემალ ნათელაშვილმა უკვე ჩამოწერა.

ესენი არიან:

**ლაშა კვირიკაშვილი (50 კგ)**
**ლუხუმ ჩხვიმიანი (55 კგ)**
**ბექა ტულუში (60 კგ)**
**ირაკლი ლომიძე (66 კგ)**
**ბაჩანა ტიტვინიძე (73 კგ)**
**ლევან რუაძე (81 კგ)**
**ელგუჯა ბიბილაშვილი (90 კგ)**
**გიორგი ზაქარიაძე (+90 კგ)**

ამათგან შარშანდელ ჩემპიონატზე მხოლოდ ორმა — ლევან რუაძემ და ირაკლი ლომიძემ იჭიდავეს, შარშანდელი ნაკრების სხვა წევრებს კი ასაკი აღარ აძლევთ უფლებას ჭაბუკთა ჩემპიონატზე გამოვიდნენ.

ნაკრების ახლანდელ შემადგენლობაში კი უკლებლივ ყველა საქართველოს ჩემპიონია.

ნაკრები გორში ემზადება, სლოვენიაში კი ჩემპიონატის დაწყებამდე ორი დღით ადრე ჩავა. ხოლო 6 აგვისტოს ბუდაპეშტში მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება და ეს ევროპირველობაც გვიჩვენებს, თუ წარმატების როგორი იმედი უნდა გვქონდეს მსოფლიოზე.

ლუკა თალაკვაძე

P.S. საქართველოს ძიუდოს ფედერაციას დაპირებული აღმასკომის სხდომა, რომელზეც ბაკურიანული ბუნტის თაობაზე იმსჯელებდნენ, ზუსტად ერთი თვის წინ უნდა გაემართა. კვლავაც ველით...

კრივი

# ტაისონის მორალი
## შვილი დაკრძალა და... დაქორწინდა

**მსოფლიოს** ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონი კრივში მაიკ ტაისონი მესამედ დაქორწინდა. 42 წლის ტაისონის რჩეული 32 წლის ლაკიჰა სპაისერი გახდა, ცერემონია კი ლას ვეგასის სასტუმრო „ჰილტონში" მოეწყო. ხალხი ცოტა იყო, მხოლოდ უახლოესი მეგობრები და ყველაფერი ძალიან სწრაფად დასრულდა.

„ორივენი ძალიან ბედნიერად გამოიყურებოდნენ" — თქვა ცერემონიის ერთ-ერთმა დამსწრემ, რაც ფრიად გასაკვირი უნდა იყოს, ისევე როგორც, თავად დაქორწინება — ტაისონს ხომ ორი კვირის წინ 4 წლის შვილი დაეღუპა, უბედური შემთხვევის შედეგად.

ტაისონს ტვინში რა უტრიალებს, აბა, ვინ იცის, ისე კი, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულია, შვილის სიკვდილიდან ორ კვირაში ქორწილის გადახდა.

ტაისონის პირველი ცოლი მსახიობი რობინ გივენსი იყო. ისინი 1988 წელს დაქორწინდნენ და ოჯახურმა იდილიამ ოდენ ერთ წელიწადს გასტანა.

მეორე ცოლი კი, ვისთანაც „რკინის მაიკმა" ხუთი წელი იცხოვრა, მონიკა ტერნერი გახლდათ.

ირაკლი ნინიძე



მაიკ ტაისონი, თავის დროზე, ციხეში გაუპატიურების ბრალდებითაც იჯდა

ჯომარდობა

# ჯომარდობა მტკვარზე

**27-28 ივნისს** მდინარე მტკვარზე (ბორჯომი, ჩითახევი) ჩატარდება საქართველოს ჯომარდობის მესამე ეროვნული ჩემპიონატი მოყვარულთა შორის.

მონაწილეობას მიიღებს 32 მოყვარულთა გუნდი, როგორც თბილისიდან, ასევე საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან.

ჩემპიონატი იმართება საქართველოს ჯომარდობის ეროვნული ფედერაციის ორგანიზებით, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის მხარდაჭერით.

შეჯიბრი ჩატარდება როგორც მამაკაცთა ასევე ქალთა გუნდებს შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | FIFA. მჩ შესარჩევი მატჩები | | | | | | |
| | | 17 ივნისი | | | | | | |
| 13:20 | 1 | ავსტრალია-იაპონია | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| 14:00 | 2 | სამხ. კორეა-ირანი | 2.90 | 3.30 | 2.20 | 1.54 | 1.25 | 1.32 |
| 19:30 | 3 | ბაჰრეინი-უზბეკეთი | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 22:00 | 4 | საუდის არაბეთი-ჩრდ.კორეა | 1.60 | 3.45 | 5.60 | 1.09 | 1.24 | 2.13 |
| | | უეფა. ეჩ შესარჩევი მატჩები(21) | | | | | | |
| | | 15 ივნისი | | | | | | |
| 20:15 | 5 | ინგლისი 21-ფინეთი 21 | 1.35 | 4.00 | 8.50 | 1.00 | 1.16 | 2.72 |
| 22:45 | 6 | ესპანეთი 21-გერმანია 21 | 2.25 | 3.20 | 3.10 | 1.32 | 1.30 | 1.57 |
| | | 16 ივნისი | | | | | | |
| 20:15 | 7 | შვედეთი 21-ბელარუსი 21 | 1.70 | 3.40 | 5.00 | 1.13 | 1.26 | 2.02 |
| 22:45 | 8 | იტალია 21-სერბეთი 21 | 2.15 | 3.10 | 3.40 | 1.26 | 1.31 | 1.62 |
| | | ნორვეგია. ტიპელიგა | | | | | | |
| | | 15 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 36 | სტარტი-მოლდე | 2.35 | 3.30 | 2.80 | 1.37 | 1.27 | 1.51 |
| | | ისლანდია. პრემიერ დივიზიონი | | | | | | |
| | | 15 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 40 | ბრეიდაბლიკი-ვალური | 2.80 | 3.20 | 2.35 | 1.49 | 1.27 | 1.35 |
| | | სამხრეთ ამერიკა. ლიბერტადორესის თასი | | | | | | |
| | | 17 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 112 | გრემიო-კარაკასი | 1.35 | 4.20 | 8.50 | 1.02 | 1.16 | 2.81 |
| | | 18 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 113 | სან პაულუ-კრუზეირო | 1.85 | 3.30 | 3.90 | 1.18 | 1.25 | 1.78 |
| | | FIFA. კონფედერაციის თასი ს აფრიკა | | | | | | |
| | | 15 ივნისი | | | | | | |
| 18:00 | 115 | ბრაზილია-ეგვიპტე | 1.30 | 4.70 | 9.00 | 1.01 | 1.13 | 3.08 |
| 18:00 | 116 | ბრაზილია-ეგვიპტე 0:1 | 1.90 | 3.40 | 3.30 | | | |
| 18:00 | 117 | აშშ-იტალია | 6.00 | 3.50 | 1.60 | 2.21 | 1.26 | 1.09 |
| 18:00 | 118 | აშშ-იტალია 1:0 | 2.25 | 3.50 | 2.60 | | | |

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | I ტაიმის შედეგი | | | | | | |
| 10005 | ინგლისი 21-ფინეთი 21 | 1.65 | 2.30 | 6.80 | 1.00 | 1.32 | 1.71 |
| 10006 | ესპანეთი 21-გერმანია 21 | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10036 | სტარტი-მოლდე | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10115 | ბრაზილია-ეგვიპტე | 1.60 | 2.30 | 7.50 | 1.00 | 1.31 | 1.76 |
| 10117 | აშშ-იტალია | 5.50 | 2.10 | 1.85 | 1.51 | 1.38 | 1.00 |
| 10007 | შვედეთი 21-ბელარუსი 21 | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |
| 10008 | იტალია 21-სერბეთი 21 | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10001 | ავსტრალია-იაპონია | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10002 | სამხ. კორეა-ირანი | 3.30 | 2.00 | 2.65 | 1.24 | 1.46 | 1.13 |
| 10003 | ბაჰრეინი-უზბეკეთი | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10004 | საუდის არაბეთი-ჩრდ.კორეა | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| | II ტაიმის შედეგი | | | | | | |
| 19005 | ინგლისი 21-ფინეთი 21 | 1.65 | 2.50 | 6.50 | 1.00 | 1.31 | 1.80 |
| 19006 | ესპანეთი 21-გერმანია 21 | 2.65 | 2.30 | 3.30 | 1.23 | 1.46 | 1.35 |
| 19036 | სტარტი-მოლდე | 2.40 | 2.50 | 3.00 | 1.22 | 1.33 | 1.36 |
| 19115 | ბრაზილია-ეგვიპტე | 1.65 | 2.50 | 6.50 | 1.00 | 1.31 | 1.80 |
| 19117 | აშშ-იტალია | 6.00 | 2.75 | 1.65 | 1.88 | 1.29 | 1.03 |
| 19007 | შვედეთი 21-ბელარუსი 21 | 2.20 | 2.40 | 3.70 | 1.14 | 1.37 | 1.45 |
| 19008 | იტალია 21-სერბეთი 21 | 2.60 | 2.50 | 3.00 | 1.27 | 1.39 | 1.36 |
| 19001 | ავსტრალია-იაპონია | 2.60 | 2.50 | 3.00 | 1.27 | 1.39 | 1.36 |
| 19002 | სამხ. კორეა-ირანი | 3.30 | 2.40 | 2.45 | 1.38 | 1.40 | 1.21 |
| 19003 | ბაჰრეინი-უზბეკეთი | 2.60 | 2.50 | 3.00 | 1.27 | 1.39 | 1.36 |
| 19004 | საუდის არაბეთი-ჩრდ.კორეა | 1.95 | 2.50 | 5.30 | 1.09 | 1.42 | 1.69 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| *14005 | ინგლისი 21-ფინეთი 21 | 1.20 | 2.60 |
| *14006 | ესპანეთი 21-გერმანია 21 | 1.80 | 2.00 |
| *14036 | სტარტი-მოლდე | 1.80 | 2.00 |
| *14115 | ბრაზილია-ეგვიპტე | 1.08 | 2.90 |
| *14117 | აშშ-იტალია | 2.50 | 1.30 |
| *14007 | შვედეთი 21-ბელარუსი 21 | 1.45 | 2.40 |
| *14008 | იტალია 21-სერბეთი 21 | 1.75 | 2.10 |
| *14001 | ავსტრალია-იაპონია | 1.75 | 2.10 |
| *14002 | სამხ. კორეა-ირანი | 2.00 | 1.80 |
| *14003 | ბაჰრეინი-უზბეკეთი | 1.75 | 2.10 |
| *14004 | საუდის არაბეთი-ჩრდ.კორეა | 1.30 | 2.50 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2.(0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17005 | ინგლისი 21-ფინეთი 21 | 1.85 | 1.95 |
| 17006 | ესპანეთი 21-გერმანია 21 | 1.85 | 1.95 |
| 17036 | სტარტი-მოლდე | 1.85 | 1.95 |
| 17115 | ბრაზილია-ეგვიპტე | 1.85 | 1.95 |
| 17117 | აშშ-იტალია | 1.85 | 1.95 |
| 17007 | შვედეთი 21-ბელარუსი 21 | 1.85 | 1.95 |
| 17008 | იტალია 21-სერბეთი 21 | 1.85 | 1.95 |
| 17001 | ავსტრალია-იაპონია | 1.85 | 1.95 |
| 17002 | სამხ. კორეა-ირანი | 1.85 | 1.95 |
| 17003 | ბაჰრეინი-უზბეკეთი | 1.85 | 1.95 |
| 17004 | საუდის არაბეთი-ჩრდ.კორეა | 1.85 | 1.95 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი (ძირ. დრო)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| *15005 | ინგლისი 21-ფინეთი 21 | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15006 | ესპანეთი 21-გერმანია 21 | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15036 | სტარტი-მოლდე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15115 | ბრაზილია-ეგვიპტე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15117 | აშშ-იტალია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15007 | შვედეთი 21-ბელარუსი 21 | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15008 | იტალია 21-სერბეთი 21 | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15001 | ავსტრალია-იაპონია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15002 | სამხ. კორეა-ირანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15003 | ბაჰრეინი-უზბეკეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15004 | საუდის არაბეთი-ჩრდ.კორეა | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 13005 | ინგლისი 21-ფინეთი 21 | 1.80 | 1.80 |
| 13006 | ესპანეთი 21-გერმანია 21 | 1.70 | 1.90 |
| 13036 | სტარტი-მოლდე | 1.40 | 2.20 |
| 13115 | ბრაზილია-ეგვიპტე | 1.90 | 1.70 |
| 13117 | აშშ-იტალია | 1.70 | 1.90 |
| 13007 | შვედეთი 21-ბელარუსი 21 | 1.70 | 1.90 |
| 13008 | იტალია 21-სერბეთი 21 | 1.70 | 1.90 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირ. დრო)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| *12005 | ინგლისი 21-ფინეთი 21 | 2,5 | 1.90 | 1.70 | 5.00 |
| *12006 | ესპანეთი 21-გერმანია 21 | 2,5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| *12036 | სტარტი-მოლდე | 2,5 | 2.10 | 1.50 | 4.70 |
| *12115 | ბრაზილია-ეგვიპტე | 2,5 | 2.10 | 1.50, | 4.70 |
| *12117 | აშშ-იტალია | 2,5 | 1.60 | 2.00 | 6.00 |
| *12007 | შვედეთი 21-ბელარუსი 21 | 2,5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| *12008 | იტალია 21-სერბეთი 21 | 2,5 | 1.60 | 2.00 | 6.00 |

### ფრეს გარეშე(ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16005 | ინგლისი 21-ფინეთი 21 | 1.10 | 5.50 |
| 16006 | ესპანეთი 21-გერმანია 21 | 1.58 | 2.10 |
| 16036 | სტარტი-მოლდე | 1.65 | 2.05 |
| 16115 | ბრაზილია-ეგვიპტე | 1.08 | 5.00 |
| 16117 | აშშ-იტალია | 4.10 | 1.17 |
| 16007 | შვედეთი 21-ბელარუსი 21 | 1.24 | 3.60 |
| 16008 | იტალია 21-სერბეთი 21 | 1.52 | 2.20 |
| 16001 | ავსტრალია-იაპონია | 1.52 | 2.20 |
| 16002 | სამხ. კორეა-ირანი | 2.05 | 1.65 |
| 16003 | ბაჰრეინი-უზბეკეთი | 1.52 | 2.20 |
| 16004 | საუდის არაბეთი-ჩრდ.კორეა | 1.22 | 3.40 |

### პირველი ტაიმი ფრეს გარეშე

| | | | |
|---|---|---|---|
| 23005 | ინგლისი 21-ფინეთი 21 | 1.00 | 3.80 |
| 23006 | ესპანეთი 21-გერმანია 21 | 1.32 | 1.65 |
| 23036 | სტარტი-მოლდე | 1.35 | 1.60 |
| 23115 | ბრაზილია-ეგვიპტე | 1.00 | 4.00 |
| 23117 | აშშ-იტალია | 2.85 | 1.08 |
| 23007 | შვედეთი 21-ბელარუსი 21 | 1.10 | 2.55 |
| 23008 | იტალია 21-სერბეთი 21 | 1.27 | 1.75 |
| 23001 | ავსტრალია-იაპონია | 1.27 | 1.75 |
| 23002 | სამხ. კორეა-ირანი | 1.60 | 1.35 |
| 23003 | ბაჰრეინი-უზბეკეთი | 1.27 | 1.75 |
| 23004 | საუდის არაბეთი-ჩრდ.კორეა | 1.08 | 2.85 |

### 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11005 | ინგლისი 21-ფინეთი 21 | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11006 | ესპანეთი 21-გერმანია 21 | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11036 | სტარტი-მოლდე | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11115 | ბრაზილია-ეგვიპტე | 1.65 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11117 | აშშ-იტალია | 8.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.20 |
| 11007 | შვედეთი 21-ბელარუსი 21 | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11008 | იტალია 21-სერბეთი 21 | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11001 | ავსტრალია-იაპონია | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11002 | სამხ. კორეა-ირანი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11003 | ბაჰრეინი-უზბეკეთი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11004 | საუდის არაბეთი-ჩრდ.კორეა | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

# მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი



## ვის რამდენი ადგილი ერგება

| | |
|---|---|
| ევროპა | 13 |
| აფრიკა | 5+1 |
| აზია | 4,5 |
| ოკეანეთი | 0,5 |
| კონკაკაფი | 3,5 |
| ს. ამერიკა | 4,5 |

სულ 32 ადგილი

### ევროპა

ცხრა ჯგუფის პირველადგილოსნები პირდაპირ გადიან მსოფლიოს ჩემპიონატზე რვა საუკეთესო მეორეადგილოსანი პლეი ოფში გაითამაშებს კიდევ ოთხ საგზურს.

### აფრიკა

გათამაშებაში 53 ქვეყანა ჩაება, რომელთაგან ბოლო შესარჩევ ეტაპზე 20 გუნდია დარჩენილი და ისინი ხუთ ჯგუფში არიან განაწილებული. ჯგუფების გამარჯვებულები მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებენ. მეექვსე აფრიკული გუნდი მასპინძელი სამხრეთ აფრიკაა.

### აზია

გათამაშებაში 43 ქვეყანა ჩაება, რომელთაგან ბოლო საკვალიფიკაციო ეტაპზე 10 გუნდი დარჩა. ისინი ორ ჯგუფში არიან განაწილებულნი და ორ-ორი საუკეთესო მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებს.

ჯგუფებში მესამე ადგილებზე გასულები ერთმანეთს დაუპირისპირდებიან, მათ შორის გამარჯვებული კი ოკეანეთის ზონის გამარჯვებულს შეხვდება მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურისთვის.

### ოკეანეთი

გათამაშებაში ათი გუნდი ჩაება, რომელთაგან ოთხმა საუკეთესომ მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გააგრძელა ბრძოლა. ამათგან საუკეთესო გუნდი კი აზიის ზონის მეხუთე გუნდს შეხვდება მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურისთვის.

### კონკაკაფი

35 გუნდიდან ექვსი საუკეთესო დარჩა. ამათგან ჯგუფში პირველ-მესამე ადგილებზე გასულები მსოფლიოს ჩემპიონატზე გაემგზავრებიან, ხოლო მეოთხე ადგილოსანი სამხრეთ ამერიკის მეხუთე გუნდს შეხვდება მუნდიალის საგზურისთვის.

### სამხრეთ ამერიკა

ოთხი საუკეთესო გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებს. მეხუთე ადგილზე გასული პლეი ოფში კონკაკაფის მეოთხე გუნდს შეხვდება.

# ევროპა სექტემბრამდე გადაიდო
## ჰოლანდიას ჯერ ვერავინ შეამხანაგდება

### ევროპა

#### I ჯგუფი

**შვედეთი 4:0 მალტა**

1:0 კალსტრიომი (22), 2:0 მაისტროვიჩი (52), 3:0 იბრაჰიმოვიჩი (56), 4:0 ბერგი (58)

მსაჯი: კალუმ მიურეი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 6 | 5 | 1 | 0 | 13:2 | 16 |
| უნგრეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 8:2 | 13 |
| პორტუგალია | 6 | 2 | 3 | 1 | 8:4 | 9 |
| შვედეთი | 6 | 2 | 3 | 1 | 6:2 | 9 |
| ალბანეთი | 8 | 1 | 3 | 4 | 4:8 | 6 |
| მალტა | 8 | 0 | 1 | 7 | 0:21 | 1 |

**დარჩენილი მატჩები**

5 სექტემბერი
დანია — პორტუგალია
უნგრეთი — შვედეთი

9 სექტემბერი
მალტა — შვედეთი
ალბანეთი — დანია
უნგრეთი — პორტუგალია

10 ოქტომბერი
პორტუგალია — უნგრეთი
დანია — შვედეთი

14 ოქტომბერი
პორტუგალია — მალტა
შვედეთი — ალბანეთი
დანია —უნგრეთი

#### II ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 12:4 | 13 |
| შვეიცარია | 6 | 4 | 1 | 1 | 11:6 | 13 |
| ლატვია | 6 | 3 | 1 | 2 | 10:6 | 10 |
| ისრაელი | 6 | 2 | 3 | 1 | 10:8 | 9 |
| ლუქსემბურგი | 6 | 1 | 1 | 4 | 3:13 | 4 |
| მოლდოვა | 6 | 0 | 1 | 5 | 2:11 | 1 |

**დარჩენილი მატჩები**

5 სექტემბერი
მოლდოვა — ლუქსემბურგი
ისრაელი — ლატვია
შვეიცარია — საბერძნეთი

9 სექტემბერი
მოლდოვა — საბერძნეთი
ლატვია — შვეიცარია
ისრაელი — ლუქსემბურგი

10 ოქტომბერი
ლუქსემბურგი — შვეიცარია
ისრაელი — მოლდოვა
საბერძნეთი — ლატვია

14 ოქტომბერი
შვეიცარია — ისრაელი
საბერძნეთი — ლუქსემბურგი
ლატვია — მოლდოვა

#### III ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლოვაკეთი | 6 | 5 | 0 | 1 | 17:6 | 15 |
| ჩრდ. ირლანდია | 7 | 4 | 1 | 2 | 12:6 | 13 |
| პოლონეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 18:7 | 10 |
| ჩეხეთი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:4 | 8 |
| სლოვენია | 6 | 2 | 2 | 2 | 5:4 | 8 |
| სან მარინო | 7 | 0 | 0 | 7 | 1:32 | 0 |

**დარჩენილი მატჩები**

13 აგვისტო
სლოვენია — სან მარინო

5 სექტემბერი
სლოვაკეთი — ჩეხეთი
პოლონეთი — ჩრდ. ირლანდია

9 სექტემბერი
სლოვენია — პოლონეთი
ჩრდ. ირლანდია — სლოვაკეთი
ჩეხეთი — სან მარინო

10 ოქტომბერი
სლოვაკეთი — სლოვენია
ჩეხეთი — პოლონეთი

14 ოქტომბერი
ჩეხეთი — ჩრდ. ირლანდია
სან მარინო — სლოვენია
პოლონეთი — სლოვაკეთი



პიტერ კრაუჩთან და ინგლისელებთან ანდორელები აბა, რას გახდებოდნენ

#### IV ჯგუფი

**ფინეთი 0:3 რუსეთი**

0:1, 0:2 კერჟაკოვი (27, 53), 0:3 ზირიანოვი (71)

გაფრთხილება: კალიო, ტიინენი (ფინეთი)

მსაჯი: კონრად პლაუცი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 6 | 5 | 1 | 0 | 18:4 | 16 |
| რუსეთი | 6 | 5 | 0 | 1 | 12:3 | 15 |
| ფინეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:10 | 10 |
| უელსი | 7 | 3 | 0 | 4 | 5:7 | 9 |
| აზერბაიჯანი | 5 | 0 | 1 | 4 | 0:5 | 1 |
| ლიხტენშტაინი | 6 | 0 | 1 | 5 | 1:15 | 1 |

**დარჩენილი მატჩები**

12 აგვისტო
აზერბაიჯანი — გერმანია

5 სექტემბერი
აზერბაიჯანი — ფინეთი
რუსეთი — ლიხტენშტაინი

9 სექტემბერი
ლიხტენშტაინი — ფინეთი
უელსი — რუსეთი
გერმანია — აზერბაიჯანი

10 ოქტომბერი
ფინეთი — უელსი
ლიხტენშტაინი — აზერბაიჯანი
რუსეთი — გერმანია

14 ოქტომბერი
გერმანია — ფინეთი
ლიხტენშტაინი — უელსი
აზერბაიჯანი — რუსეთი

#### V ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 6 | 6 | 0 | 0 | 13:2 | 18 |
| ბოსნია | 6 | 4 | 0 | 2 | 18:7 | 12 |
| თურქეთი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:5 | 8 |
| ბელგია | 6 | 2 | 1 | 3 | 10:11 | 7 |
| ესტონეთი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:15 | 5 |
| სომხეთი | 6 | 0 | 1 | 5 | 3:15 | 1 |

**დარჩენილი მატჩები**

5 სექტემბერი
თურქეთი — ესტონეთი
ესპანეთი — ბელგია
სომხეთი — ბოსნია

9 სექტემბერი
ესპანეთი — ესტონეთი
ბოსნია — თურქეთი
სომხეთი — ბელგია

10 ოქტომბერი
ბელგია — თურქეთი
სომხეთი — ესპანეთი
ესტონეთი — ბოსნია

14 ოქტომბერი
თურქეთი — სომხეთი
ესტონეთი — ბელგია
ბოსნია — ესპანეთი

#### VI ჯგუფი

**ინგლისი 6:0 ანდორა**

1:0 რუნი (9), 2:0 ლამპარდი (29), 3:0 რუნი (39), 4:0, 5:0 დეფო (73, 76), 6:0 კრაუჩი (81)

გაფრთხილება: ხულია ანდორა, ალვარესი (ანდორა)

მსაჯი: ჰენდრიკუს ნიჰუისი

**უკრაინა 2:1 ყაზახეთი**

0:1 ნუსრბაიევი (19), 1:1, 2:1 ნაზარენკო (33, 47)

გაფრთხილება: ნუსრბაიევი

მსაჯი: ბრუნო პაიშაუ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 7 | 7 | 0 | 0 | 26:4 | 21 |
| ხორვატია | 6 | 3 | 2 | 1 | 12:6 | 11 |
| უკრაინა | 6 | 3 | 2 | 1 | 9:6 | 11 |
| ბელარუსი | 5 | 3 | 0 | 2 | 14:7 | 9 |
| ყაზახეთი | 7 | 1 | 0 | 6 | 7:22 | 3 |
| ანდორა | 7 | 0 | 0 | 7 | 2:25 | 0 |

**დარჩენილი მატჩები**

12 აგვისტო
ბელარუსი — ხორვატია

5 სექტემბერი
ხორვატია — ბელარუსი
უკრაინა — ანდორა

9 სექტემბერი
ბელარუსი — უკრაინა
ინგლისი — ხორვატია
ანდორა — ყაზახეთი

10 ოქტომბერი
ბელარუსი — ყაზახეთი
უკრაინა — ინგლისი

14 ოქტომბერი
ანდორა — უკრაინა
ყაზახეთი — ხორვატია
ინგლისი — ბელარუსი

#### VII ჯგუფი

**ფარერები 0:2 სერბეთი**

0:1 იოვანოვიჩი (43), 0:2 სუბოტიჩი (62)

გაფრთხილება: დანიელსენი (ფარერები), მილიაში (სერბეთი)

მსაჯი: მეირ ლევი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერბეთი | 7 | 6 | 0 | 1 | 15:5 | 18 |
| საფრანგეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:6 | 10 |
| ლიტვა | 7 | 3 | 0 | 4 | 6:6 | 9 |
| ავსტრია | 6 | 2 | 1 | 3 | 7:9 | 7 |
| რუმინეთი | 6 | 2 | 1 | 3 | 7:10 | 7 |
| ფარერები | 5 | 0 | 1 | 4 | 1:7 | 1 |

**დარჩენილი მატჩები**

5 სექტემბერი
ავსტრია — ფარერები

6 სექტემბერი
საფრანგეთი — რუმინეთი

9 სექტემბერი
სერბეთი — საფრანგეთი
რუმინეთი — ავსტრია
ფარერები — ლიტვა

10 ოქტომბერი
სერბეთი — რუმინეთი
ავსტრია — ლიტვა

11 ოქტომბერი
საფრანგეთი — ფარერები

14 ოქტომბერი
რუმინეთი — ფარერები
საფრანგეთი — ავსტრია
ლიტვა — სერბეთი

#### VIII ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 6 | 4 | 2 | 0 | 9:3 | 14 |
| ირლანდია | 7 | 3 | 4 | 0 | 8:5 | 13 |
| ბულგარეთი | 6 | 1 | 5 | 0 | 6:4 | 8 |
| კვიპროსი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:9 | 5 |
| ჩერნოგორია | 6 | 0 | 4 | 2 | 5:8 | 4 |
| საქართველო | 7 | 0 | 3 | 4 | 4:9 | 3 |

**დარჩენილი მატჩები**

5 სექტემბერი
ბულგარეთი — ჩერნოგორია
კვიპროსი — ირლანდია
საქართველო — იტალია

9 სექტემბერი
იტალია — ბულგარეთი

10 სექტემბერი
ჩერნოგორია — კვიპროსი

10 ოქტომბერი
ჩერნოგორია — საქართველო
კვიპროსი — ბულგარეთი
ირლანდია — იტალია

14 ოქტომბერი
ბულგარეთი — საქართველო
ირლანდია — ჩერნოგორია
იტალია — კვიპროსი

#### IX ჯგუფი

**მაკედონია 2:0 ისლანდია**

1:0 სტოიკოვი (10), 2:0 ივანოვსკი (86)

გაფრთხილება: ნაუმოსკი, დესპოტოვსკი (მაკედონია), პალმასონი (ისლანდია)

მსაჯი: საიდ ენიიმი

**ჰოლანდია 2:0 ნორვეგია**

1:0 ოიერი (33), 2:0 რობენი (51)

გაფრთხილება: გრინდეიმი, პედერსენი (ნორვეგია)

მსაჯი: იური ბასკაკოვი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 7 | 7 | 0 | 0 | 16:2 | 21 |
| შოტლანდია | 5 | 2 | 1 | 2 | 4:6 | 7 |
| მაკედონია | 6 | 2 | 1 | 3 | 4:7 | 7 |
| ისლანდია | 7 | 1 | 1 | 5 | 6:12 | 4 |
| ნორვეგია | 5 | 0 | 3 | 2 | 2:5 | 3 |

**დარჩენილი მატჩები**

12 აგვისტო
ნორვეგია — შოტლანდია

5 სექტემბერი
ისლანდია — ნორვეგია
შოტლანდია — მაკედონია

9 სექტემბერი
ნორვეგია — მაკედონია

10 ოქტომბერი
შოტლანდია — ჰოლანდია

### მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

# მარადონასთვის კიტოც ლა პასია

## სამი ქულა სამხრეთ აფრიკამდე



ეკვადორელი ჯოვანი ესპინოსა და არგენტინელი კარლოს ტევესი

**ეკვადორი 2:0 არგენტინა**

1:0 აიოვი (71), 2:0 პალასიოსი (83)

28-ე წუთზე ტევესმა პენალტი ვერ გაიტანა (მჭკარე)

ეკვადორი: ელისაგა, ესპინოსა, იანო, აიოვი, ურტადო, მენდესი, ვალენსია, კასტილიო, ნობოა (პალასიოსი 45), ტენორიო (მონტერო 13), კაისედო (მენდესი 78)

მწვრთნელი: რაფაელ ვისუეტე

არგენტინა: ანდუხარი, ძანეტი, პაინცე (დიეგო მილიტო 82), დემიკელისი, ოტამენდი, როდრიგესი, ბატალია, გაგო (ვერონი 74), გუტიერესი, მესი, ტევესი (ბარგესიო 66)

მწვრთნელი: დიეგო მარადონა

გაფრთხილება: ნობოა, ელისაგა, ვალენსია, გუტიერესი

მსაჯი: კარლოს ჩანდია

**კოლუმბია 1:0 პერუ**

1:0 გარსია (26)

გაფრთხილება: როდალეგა (კოლუმბია), გერერო, ფანო, ტრუხილიო, ლაროსა (პერუ)

მსაჯი: კარლოს სიმონი

**ბრაზილია 2:1 პარაგვაი**

0:1 კაბანასი (25), 1:1 რობინიო (40), 2:1 ნილმარი (50)

ბრაზილია: სეზარი, ჟუანი, კლებერი, ალვეში, ლუსიო, ჟილბერტო სილვა, კაკა, ელანო, ფელიპე მელო, რობინიო, ნილმარი

მწვრთნელი: კარლოს დუნგა

პარაგვაი: ვილიარი, კანისა, ხულიო კასერესი, ვერონი, და სილვა, რივეროსი, ვიკტორ კასერესი, ლედესმა, ბონეტი, კაბანასი, მარტინესი

მწვრთნელი: ხერარდო მარტინო

გაფრთხილება: ფელიპე მელო, რამირესი, ლუსიო, ვიკტორ კასერესი

მსაჯი: ოსკარ რუისი

**ვენესუელა 2:2 ურუგვაი**

1:0 მალდონადო (9), 1:1 სუარესი (61), 1:2 ფორლანი (71), 2:2 რეი (74)

გაფრთხილება: პენია (ვენესუელა), კასერესი, ლუგანო, კავანი, ფორლანი, პერესი (ურუგვაი)

მსაჯი: სალვიო ფაგუნდესი

**ჩილე 4:0 ბოლივია**

1:0 ბიუსეხური (43), 2:0 ესტრადა (73), 3:0, 4:0 სანჩესი (77, 89)

გაფრთხილება: ანსე (ჩილე), რონალდ გარსია, ვარგასი, რივერო, იგნასიო გარსია (ბოლივია)

მსაჯი: რობერტო სილვერა

**3 600 მეტრზე** ბოლივიასთან ლა პასში არგენტინამ 1:6 წააგო, 2 800 მეტრზე ეკვადორთან კიტოში კი — 0:2.

დიეგო მარადონამ თქვა, რომ ამაყობს თავისი ფეხბურთელებით: „როგორ ავხსნა მარცხი? ტაქტიკურადაც და ტერიტორიულადაც უპირატესობა ჩვენი იყო, მაგრამ ესაა ფეხბურთი — როცა ასპროცენტიან შანსებს ვერ გამოიყენებ, გოლი შენს კარში გავა.

კარგად მყავდა შესწავლილი მეტოქე. ფლანგები ჩავუკეტეთ და უკეთესადაც ვუტევდით, მაგრამ ვერც პენალტი გავიტანეთ და სხვა მომენტებიც ვერ გამოვიყენეთ. მიუხედავად ამისა, ვამაყობ ჩემი ფეხბურთელებით.

ახლა ბრაზილიასთან საშინაო მატჩისთვის უნდა მოვემზადოთ".

არგენტინელი ფეხბურთმცოდნეების აზრით, მარადონას გუნდმა მართლა გაცილებით გამართულად ითამაშა, ვიდრე კოლუმბიასთან მოგებულ მატჩში.

მცველების წინ გაგო და ბატალია იყვნენ, მარცხნივ ხონას გუტიერესი, მარჯვნივ მაქსი როდრიგესი, წინ კი მესი-ტევესი.

საათზე მეტ ხანს სტუმრები აშკარად სჯობნიდნენ მასპინძლებს, მაგრამ გოლი აიოვიმ 25 მეტრიდან გაუტანა ანდუხარს, ხოლო მეორე პალასიოსმა — უფრო ახლოდან.

კარლოს დუნგა კი კმაყოფილი იყო პარაგვაისთან შემობრუნებული მატჩის მერე.

ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელს განსაკუთრებით ის უხაროდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურამდე სამი ქულაღა უკლია.

„მატჩს იგებს თერთმეტი ფეხბურთელი, ტურნირს და თასებს კი გუნდი. ეს ნაკრები უკვე ერთი გუნდია. მე რამდენიმე ისეთი მოთამაშე დავაყენე პარაგვაისთან, რომლებიც ბოლო შეხვედრებში არ მყავდა, მაგრამ მაინც მოვიგეთ. ყველაზე კარგი ისაა, რომ საგზურის გასანაღდებლად სამი ქულაღა გვჭირდება".

მარსელო ბიელსას ჩილემ ბოლივია გაანადგურა და მეორე ადგილზე გადაბრძანდა. ჩილეს 1998 წლის მერე მსოფლიოს ჩემპიონატზე არ უთამაშია და ბიელსას ხელში, ალბათ, დაბრუნდება მთავარ საფეხბურთო ზეიმზე.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 14 | 7 | 6 | 1 | 25:6 | 27 |
| ჩილე | 14 | 8 | 2 | 4 | 23:14 | 26 |
| პარაგვაი | 14 | 7 | 3 | 4 | 20:13 | 24 |
| არგენტინა | 14 | 6 | 4 | 4 | 19:15 | 22 |
| ეკვადორი | 14 | 5 | 5 | 4 | 18:20 | 20 |
| ურუგვაი | 14 | 4 | 6 | 4 | 23:16 | 18 |
| კოლუმბია | 14 | 4 | 5 | 5 | 7:11 | 17 |
| ვენესუელა | 14 | 5 | 2 | 7 | 17:24 | 17 |
| ბოლივია | 14 | 3 | 3 | 8 | 19:30 | 12 |
| პერუ | 14 | 1 | 4 | 9 | 7:29 | 7 |

**დარჩენილი მატჩები**

5 სექტემბერი

არგენტინა — ბრაზილია
ჩილე — ვენესუელა
კოლუმბია — ეკვადორი
პარაგვაი — ბოლივია
პერუ — ურუგვაი

8 სექტემბერი

ურუგვაი — კოლუმბია
პარაგვაი — არგენტინა
ბრაზილია — ჩილე
ბოლივია — ეკვადორი
ვენესუელა — პერუ

10 ოქტომბერი

ვენესუელა — პარაგვაი
ბოლივია — ბრაზილია
არგენტინა — პერუ
კოლუმბია — ჩილე
ეკვადორი — ურუგვაი

13 ოქტომბერი

პარაგვაი — კოლუმბია
ურუგვაი — არგენტინა
პერუ — ბოლივია
ბრაზილია — ვენესუელა
ჩილე — ეკვადორი

## კონკაკაფი

### ფინალური ჯგუფი

**მექსიკა 2:1 ტრინიდადი**

**ჰონდურასი 1:0 სალვადორი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოსტა რიკა | 5 | 4 | 0 | 1 | 9:5 | 12 |
| აშშ | 5 | 3 | 1 | 1 | 10:6 | 10 |
| ჰონდურასი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:6 | 7 |
| მექსიკა | 5 | 2 | 0 | 3 | 6:8 | 6 |
| სალვადორი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:7 | 5 |
| ტრინიდადი | 5 | 0 | 2 | 3:6 | 11 | 2 |

**დარჩენილი მატჩები**

მექსიკა — აშშ
ტრინიდადი — სალვადორი
ჰონდურასი — კოსტა რიკა
აშშ — სალვადორი
ჰონდურასი — ტრინიდადი
კოსტა რიკა — მექსიკა
მექსიკა — ჰონდურასი
ტრინიდადი — აშშ
სალვადორი — კოსტა რიკა
ჰონდურასი — აშშ
მექსიკა — სალვადორი
კოსტა რიკა — ტრინიდადი
სალვადორი — ჰონდურასი
ტრინიდადი — მექსიკა
აშშ — კოსტა რიკა

## აზია

### I ჯგუფი

**იაპონია 1:1 ყატარი**

**ავსტრალია 2:0 ბაჰრეინი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრალია | 7 | 5 | 2 | 0 | 10:0 | 17 |
| იაპონია | 7 | 4 | 3 | 0 | 10:4 | 15 |
| ბაჰრეინი | 7 | 2 | 1 | 4 | 5:8 | 7 |
| ყატარი | 8 | 1 | 3 | 4 | 5:14 | 6 |
| უზბეკეთი | 7 | 1 | 1 | 5 | 5:9 | 4 |

**დარჩენილი მატჩები**

ბაჰრეინი — უზბეკეთი
ავსტრალია — იაპონია

### II ჯგუფი

**ირანი 1:0 საამიროები**

**ს. კორეა 0:0 საუდის არაბეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ს. კორეა | 7 | 4 | 3 | 0 | 11:3 | 15 |
| ჩრდ. კორეა | 7 | 3 | 2 | 2 | 7:5 | 11 |
| საუდის არაბეთი | 7 | 3 | 2 | 2 | 8:8 | 11 |
| ირანი | 7 | 2 | 4 | 1 | 7:6 | 10 |
| საამიროები | 8 | 0 | 1 | 7 | 6:17 | 1 |

**დარჩენილი მატჩები**

სამხრეთ კორეა — ირანი
საუდის არაბეთი — ჩრდ. კორეა

## ოკეანეთი

### ფინალური ჯგუფი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ახ. ზელანდია | 6 | 5 | 0 | 1 | 14:5 | 15 |
| ახ. კალედონია | 6 | 2 | 2 | 2 | 12:10 | 8 |
| ფიჯი | 6 | 2 | 1 | 3 | 8:11 | 7 |
| ვანუატუ | 6 | 1 | 1 | 4 | 5:13 | 4 |



ახალზელანდიელებმა ჯგუფში პირველი ადგილი ჯერ კიდევ შარშან გაინაღდეს და პლეი ოფში მეტოქეს მოთმინებით ელიან

## აფრიკა

### A ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გაბონი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| ტოგო | 2 | 1 | 0 | 1 | 1:3 | 3 |
| მაროკო | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| კამერუნი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |

**დარჩენილი მატჩები**

გაბონი — კამერუნი
მაროკო — ტოგო
ტოგო — მაროკო
კამერუნი — გაბონი
გაბონი — მაროკო
კამერუნი — ტოგო
მაროკო — კამერუნი
ტოგო — გაბონი

### B ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტუნისი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| ნიგერია | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 4 |
| მოზამბიკი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| კენია | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

**დარჩენილი მატჩები**

კენია — მოზამბიკი
ტუნისი — ნიგერია
ნიგერია — ტუნისი
მოზამბიკი — კენია
ტუნისი — კენია
ნიგერია — მოზამბიკი
მოზამბიკი — ტუნისი
კენია — ნიგერია

### C ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალჟირი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ზამბია | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| რუანდა | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| ეგვიპტე | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |

**დარჩენილი მატჩები**

ზამბია — ალჟირი
ეგვიპტე — რუანდა
რუანდა — ეგვიპტე
ალჟირი — ზამბია
ზამბია — ეგვიპტე
ალჟირი — რუანდა
ეგვიპტე — ალჟირი
რუანდა — ზამბია

### D ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| განა | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| ბენინი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| სუდანი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| მალი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |

**დარჩენილი მატჩები**

სუდანი — განა
მალი — ბენინი
ბენინი — მალი
განა — სუდანი
მალი — სუდანი
ბენინი — განა
განა — მალი
სუდანი — ბენინი

### E ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოტ დივუარი | 2 | 2 | 0 | 0 | 7:1 | 6 |
| ბურკინა ფასო | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 |
| გვინეა | 2 | 0 | 0 | 2 | 3:6 | 0 |
| მალავი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:6 | 0 |

**დარჩენილი მატჩები**

ბურკინა ფასო — კოტ დივუარი
გვინეა — მალავი
მალავი — გვინეა
კოტ დივუარი — ბურკინა ფასო
გვინეა — ბურკინა ფასო
მალავი — კოტ დივუარი
კოტ დივუარი — გვინეა
ბურკინა ფასო — მალავი

**ისინი ითამაშებენ მსოფლიოს ჩემპიონატზე**

**სამხეთ აფრიკა, ავსტრალია, იაპონია, სამხრეთ კორეა, ჰოლანდია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფლორენტინო პერესის ვარსკვლავური ომები

## ეპიზოდი მეორე: კაკათი მოჯოკრა და რონალდუთი გადაჯოკრა



კაკა



ფლორენტინო პერესი



კრიშტიანუ რონალდუ

**ფლორენტინო პერესმა „რეალის" პრეზიდენტობა პირველად 1995 წელს მოისურვა და რამონ მენდოსასთან 700 ხმით დამარცხდა. ხუთი წლის შემდეგ ლორენსო სანსს გაეჯიბრა და პირწმინდად მოუგო — ხმების 93 პროცენტი მიიღო, რადგან ქომაგებს გუნდისგან „გალაქტიკოს" გაკეთებას შეპირდა. შეპირდა და გააკეთა — მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები: ზიდანი, ფიგუ და რონალდო (სამივე 112 მილიონი გირვანქა დაუჯდა) ერთად შეჰყარა. ამ გუნდმა 2000-ში ჩემპიონთა ლიგა მოიგო, მაგრამ პრეზიდენტის ერთმა შეცდომამ „გალაქტიკო" დაშალა. საყრდენმა ნახევარმცველმა კლოდ მაკელელემ ზიდანისოდენა თუ არა, იმის ნახევარი ჯამაგირი მოისურვა, რაზეც პერესმა თქვა, მაკელელე „გალაქტიკო" არ არისო. არ ვარო და, ფრანგი ნახევარმცველი „ჩელსიში" გადავიდა. ზიდანს, ფიგუს და რონალდოს საყრდენი გამოეცალა და „რეალის" საქმე უკან-უკან წავიდა. რა აღარ სცადა და ვინ აღარ იყიდა ამის მერე პერესმა, მაგრამ ამაოდ. 2006 წლის თებერვალში ნაგალაქტიკარი პრეზიდენტი გადადგა...**

### მოჯოკრა

პერესის მერე „რეალში" ოთხი პრეზიდენტი გამოიცვალა, მათ შორის სამი დროებით იყო, რამონ კალდერონი კი 2006-ის ივლისში აირჩიეს.

კალდერონი ვერ გამოდგა ფლორენტინო პერესივით ფხიანი.

ბაქიაობდა და ახალი „გალაქტიკოს" გაკეთება მოინდომა, მაგრამ არ გამოუვიდა.

ორწელიწადნახევრის შემდეგ, 2009-ის იანვარში თავისი ნებით წავიდა.

კალდერონმა შეცვალა პერესი, პერესმა — კალდერონი.

ფლორენტინო პერესი პრეზიდენტობის ერთადერთი კანდიდატი იყო და 1 ივნისს პოსტი ჩაიბარა.

კაბინეტში შესვლიდან ერთ კვირაში თავისივე რეკორდი მოხსნა: „მილანს" კაკაში 56 მილიონი გირვანქა მიუთვალა, 10-ით მეტი, ვიდრე „იუვენტუსს" ზიდანში 2001 წელს.

ევროებში კაკას ფასი ამჟამად 65 მილიონი გამოდის, ზიდანში კი „რეალმა" 76 მილიონი ევრო გადაიხადა, მაგრამ მაშინდელი (2001) კურსით 76 მილიონი ევრო 46 მილიონი გირვანქა იყო.

კალდერონიც ჰპირდებოდა ქომაგებს პირველ რიგში კაკას ყიდვას და თავისი ვადა ამ დაპირებაში გალია.

პერესს კი ერთი კვირა ეყო ბრაზილიელის ტრანსფერისთვის.

კაკაში გაცილებით მეტს „სიტის" ფულიანი არაბები იანვარში სთავაზობდნენ „მილანს" და ფეხბურთელსაც ზღაპრულ ჯამაგირს აჩეჩებდნენ, მაგრამ უარი მიიღეს.

„მილანის" შეფებმა ცოტა კი გაუჭიანურეს პერესს კაკას ამბავი, რადგან მეტის გამოძალვას ცდილობდნენ, მაგრამ ბოლოს მაინც შეთავაზებულს დაყაბულდნენ.

ბრაზილიელმა „რეალთან" ექვსწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

პაოლო მალდინის მიაჩნია, რომ კაკას გაყიდვა შეცდომაა და „მილანი" მის გარეშე ჩემპიონთა ლიგაში შორს ვერ წავა.

„იუვეს" პრეზიდენტმა ჯოვანი კობოლი ჯილიმ კი თქვა, რომ ბრაზილიელი შემტევი იყო ნახევარი „მილანი" და მისი წასვლით გუნდის პოტენციალიც განახევრდა.

კობოლი ჯილის ბარსელონელი კოლეგის ხუან ლაპორტას აზრით, ამდენი ფულის გადახდა ფეხბურთის ბაზარსაც ვნებს და ზოგადად, ფეხბურთსაც.

ალესანდრო კოსტაკურტამ კი კაკას ტრანსფერს ტაში დაუკრა — „მილანს" ცვლილებები სჭირდებოდა და მისი წასვლა გუნდს წაადგებაო.

ზვონიმირ ბობანმა კაკა სიცრუეში ამხილა: „იანვარში, როცა „სიტი" 100 მილიონ ევროს იხდიდა, მან თქვა, რომ მისი გული სამუდამოდ „მილანს" ეკუთვნის, ოთხი თვის მერე კი თავი „რეალში" ამოყო.

ბერლუსკონის პრეზიდენტობისას პირველად ხდება, რომ „მილანი" საუკეთესო ფეხბურთელს ყიდის. ასეთი პოლიტიკა ჩემთვის გაუგებარია".

ხოლო ადრიანო გალიანიმ მოკლედ და გასაგებად ბრძანა — იტალიის პრემიერ-მინისტრის კლუბს ფული შემოაკლდა და იძულებული გახდა, კაკა გაეყიდაო.

თვითონ ბრაზილიელმა რაღა თქვა? „ძალიან მინდოდა „მილანში" დარჩენა, მაგრამ კლუბს ფინანსურად გაუჭირდა და მეც, გალიანისთან საუბრის შემდეგ „რეალში" გადასვლას დავთანხმდი".

იანვარში ულხინდათ, როცა არაბები 100 მილიონს იხდიდნენ? არა, მაგრამ კაკა რობინიოსავით არ მოიქცა, „მილანიდან" „სიტიში" გადასვლას „რეალში" გადასვლა არჩია, სადაც ზიდანის 5-ნომრიანი მაისურა მიართვეს და საიდანაც რობინიო შარშან ნაწყენი წავიდა.

კაკა 27 წლისაა. კარიერა „სან პაულუში" დაიწყო და ორი სეზონი (2001-2003) ითამაშა.

მერე გადავიდა „მილანაში" და იქაურობას ექვსი წელი შეალია. ამ ხნის განმავლობაში მოიგო ჩემპიონთა ლიგა (2007), სკუდეტო და იტალიის სუპერთასი (2004), უეფას სუპერთასი (2003, 2007) და ფიფას საკლუბო ჩემპიონატი (2007). ამავე წელს ფიფამ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად აღიარა.

### გადაჯოკრა

კაკას კონტრაქტზე მელანი არ იყო შემშრალი, რომ ფლორენტინო პერესმა მორიგი რეკორდი მიითვალა: კრიშტიანუ რონალდუ — 80 მილიონი გირვანქა.

პლანეტის უძვირესი ფეხბურთელი ახლა რონალდუა.

მანაც ექვსწლიანს მოაწერა ხელი და დაახლოებით რვა მილიონ გირვანქას ჩაიჯიბავს ყოველწლიურად.

მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი (2008) ჯერ კიდევ შარშან, რამონ კალდერონის პრეზიდენტობისას იწევდა „რეალისკენ" და საქმეც თითქმის მოგვარებული იყო, მაგრამ ალექს ფერგიუსონმა არ დაანება.

რონალდუს მაინც არ ასცდა ის, რაც გულით უნდოდა და თავი „რეალის" მაისურაში გაყო.

უეფას პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ იანვარშივე გააპროტესტა „სიტისგან" კაკას 100 მილიონ ევროდ ყიდვის მცდელობა და ახლა, როცა „რეალმა" დაახლოებით იმდენივე (94 მილიონი ევრო) გადაიხადა, პრეზიდენტი ისევ სიტყვით გამოვიდა: „ერთი კლუბი ამდენ ფულს რომ იხდის ფეხბურთელებში, ეს სამართლიანი თამაშის წესებს ეწინააღმდეგება. უეფა ამ საკითხის მოგვარებაზე მუშაობს და მალე კიდევაც მოვაწესრიგებთ".

პლატინის იდეით, სახელფასო და სატრანსფერო ფასის ზღვარი უნდა დაწესდეს. ვინც ამ წესს არ დაემორჩილება, ვერ ითამაშებს ევროტურნირებზე.

პლატინის საპირისპირო აზრი აქვს ფრანგის ფიფელ კოლეგასა და უფროს ზეპ ბლატერს:

„ამ ეკონომიკურ კრიზისში ფეხბურთელები ასეთ ფასად რომ იყიდებიან, ეს ნიშნავს, რომ ფეხბურთი კარგად გაყიდვადი პროდუქტია. ათი წლის წინ „სოტბის" აუქციონზე პიკასოს ნახატი 100 მილიონ გირვანქად გაასაღა, მაგრამ სად არის ის სურათი? ან ვინმეს სახლში უკიდია, ან კიდევ მუზეუმში ცოტა ხნით გამოფენენ.

ფეხბურთელს კი, რომელიც 94 მილიონი ღირს, კვირაში ერთხელ ან ორჯერ მოედანზე ნახავენ.

იმასაც ამბობენ, რომ ამ ფასად მილიონ ადამიანს დააპურებდნენო, მაგრამ ხალხისთვის ფეხბურთი და სანახაობაც საკვებია".

„ბარსას" პრეზიდენტი ხუან ლაპორტა კი გაოგნებულია: „ჩვენ ახალგაზრდებს ვყიდულობთ, ბავშვებს ვზრდით, რათა ისინი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელებად ვაქციოთ, „რეალი" კი მზამზარეულ საუკეთესოებს ყიდულობს, რათა სხვა ევროპულ კლუბებს შეეჯიბროს.

რონალდუსაც და კაკასაც ძალიან მძიმე ტვირთი დააწვებათ და ასეთი ძვირფასი ფეხბურთელებით გუნდის აწყობაც რთული იქნება.

ჩემი საქმე არაა, ვინ როგორ დახარჯავს საკუთარ ფულს, მაგრამ ამ ეკონომიკურ კრიზისში თანხების ასე განიავება გაუგებარია.

თან საინტერესოა, საიდან მოაქვს „რეალს" ამდენი ფული?"

„ეს ჩემი ფული კი არა, კლუბისაა — თქვა 62 წლის ფლორენტინო პერესმა, რომელიც ბილეთების ფასის გაზრდას აპირებს და აზიის ბაზრის დაპყრობაც სურს, სადაც პრემიერლიგელები გაბატონდნენ.

პერესს უნდა, რომ პრიმერადივიზიონის მატჩები იმავე დროს დაიწყოს, როცა პრემიერლიგისა იწყება, რათა აზიაში პრიმერადივიზიონს უფრო მეტი მაყურებელი გაუჩნდეს და მერე იქ მაისურები და ტელეტრანსლაციის უფლებებიც უფრო სარფიანად გაყიდოს.

„რეალის" წლიური შემოსავალი დაახლოებით 400 მილიონი ევროა. აქედან მესამედი ბილეთებიდან მოდის, მესამედი ტელეტრანსლაციით და ამდენივე ვაჭრობით.

შაბათს „მარკამ" დაწერა, რომ ვალებში მობანავე „ვალენსიას" „რეალი" დავიდ ვილიას ფასზე შეუთანხმდა და ნაკრების ფორვარდში 40 მილიონ ევროს გადაიხდის.

მაშ ასე: კაკა, რონალდუ, ვილია. დამთავრდა?

**მაშა ხუციშვილი**

### უძვირფასესი ტრანსფერები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 კრიშტიანუ რონალდუ | მანჩესტერიდან რეალში | 80 000 000 | (2009) |
| 2 კაკა | მილანიდან რეალში | 56 000 000 | (2009) |
| 3 ზინედინ ზიდანი | იუვენტუსიდან რეალში | 46 000 000 | (2001) |
| 4 ლუიშ ფიგუ | ბარსელონადან რეალში | 37 000 000 | (2001) |
| 5 ერნან კრესპო | პარმადან ლაციოში | 35 500 000 | (2000) |

შენიშვნა: თანხა მითითებულია გირვანქა სტერლინგში

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გერმანული დანა ბელგიურ ზურგში



„აბენდცაიტუნგთან“ ინტერვიუში მსოფლიოს ყოფილმა საუკეთესო მეკარემ ჟან მარი პფაფმა ბაიენული კარიერის სირთულეები და სიხარული გიხსენა. ამჟამად ბელგიური ტელესერიალის ვარსკვლავი მიუნხენში დაბრუნებასა და იქ უშაობაზე ოცნებობს...

**— 6-წლიან ბაიერნულ კარიერაში სამჯერ ბუნდესლიგა მოიგეთ და ორჯერ გერმანიის თასი. 1987-ში მსოფლიოს საუკეთესო მეკარედ გაღიარეს. რამდენად ძვირფასია თქვენთვის აქ გატარებული წლები?**

— ესაა ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პერიოდი. „ბაიერნში“ თამაში დიდი პატივი იყო. „ბევერენიდან“ პირდაპირ „ბაიერნში“ აღმოვჩნდი. როგორც წესი, „ბაიერნში“ გადასავლელად რომელიმე დიდ ბელგიურ კლუბში უნდა მეთამაშა, მაგრამ ბედმა გამიღიმა.

**— ყველაზე კარგად რა გახსენდებათ?**

— გულშემატკივრების სითბო. უცხოელი ვიყავი და უნდა დამემტკიცებინა, რომ „ბაიერნის“ მეკარეობას ვიმსახურებდი. ჩემპიონობის მერე მარიენპლაცზე მღეროშს დიდი სიყვარულით რომ მესალმებოდნენ, ეს განსაკუთრებით დამამახსოვრდა.

ახლაც, როცა ოჯახით მიუნხენში ჩავდივარ და მარიენპლაცზე ვდგები, ვერც კი ვიჯერებ, რომ ოდესღაც აქ ფანები ტაშს მიკრავდნენ.

**— ალბათ, არასასიამოვნო გასახსენებელიც გექნებათ...**

— სამწუხაროდ, კი. „ბაიერნში“ ზოგი უსამართლოდ მექცეოდა. პირში მიცინოდნენ, ზურგიდან კი დანის დასარტყმელად მზად იყვნენ და ასეც იქცეოდნენ. მე მარტო ვიყავი, გერმანული არ ვიცოდი და ვგრძნობდი, რომ ზურგსუკან დამცინოდნენ. „ბაიერნში“ სამი მეკარე დამხვდა, რომელთაგანაც შურს ვგრძნობდი. როცა პირველ მატჩში „ვერდერთან“ გოლი ჩემი შეცდომით გავიდა, სიხარულისგან გაგიჟდნენ. ძალიან უნდოდათ ჩემი დამცირება, მაგრამ ვერ ელირსნენ.

**— საბოლოოდ რომელიმე მათგანს დაუმეგობრდით? ყოფილი თანაგუნდელებიდან ახლა ვისთან გაქვთ კავშირი?**

— სამწუხაროდ, ახლა აღარავისთან. აუგენტალერთან დაკავშირებას ვცდილობდი, მაგრამ ნომერი შეუცვლია. თითქმის ყველამ გამოიცვალა საცხოვრებელი ადგილი და ძნელია ვინმეს ნახვა.

**— დასანანია...**

— რას იზამ, ასეთია ცხოვრება. ყოველთვის ვამბობდი, რომ ჩემი პირადი კარიერა, პროფესიული კარიერის მერე იწყება. როცა ფეხბურთს თამაშობ, ბევრი დრო არ გაქვს მეგობრებთან გასატარებლად და ურთიერთობების გასამყარებლად. თითქმის არასოდეს მქონია სურვილი მატჩის შემდეგ კოლეგებთან ერთად სადმე წასვლისა. როცა სხვები რესტორნებში დადიოდნენ, მე ცოლ-შვილთან ვიყავი. მიუხედავად ამისა, დიდ პატივს ვცემ „ბაიერნს“, როგორც ერთ ოჯახს.

**— გიყვართ გერმანია და მიუნხენი, თუ...**

— რა თქმა უნდა! აქ ყოველთვის ამაყი და ბედნიერი ვარ, მიუნხენს ჩემს გულში დიდი ადგილი უკავია.

**— შეადარეთ თქვენი დრო და ახლანდელი...**

— მაშინ ფეხბურთელებს ამდენს არ უხდიდნენ. ახლა უმეტეობის ხელფასი ბევრჯერ აღემატება მათი თამაშის ხარისხს. ადრე სულ ორი უცხოელი ვიყავით „ბაიერნში“ ახლა კი ბევრნი არიან.

**— რვა წელია, ბელგიის ტელევიზიაში გადის სერიალი „დე პფაფი“, რომელშიც თქვენი ოჯახით მონაწილეობთ. კიდევ რას საქმიანობდით „ბაიერნიდან“ წასვლის მერე?**

— ტელევიზიასთან კონტრაქტი ორ წელიწადში მიმთავრდება, მერე კი ვნახოთ. „ბაიერნის“ შემდეგ „ლიდსში“ და „ტრაბზონში“ ვთამაშობდი. თურქეთში გადასვლის გამო ბევრი ჩლუნგს, მეძახდა, რადგან მაშინ უცნაურად ჩანდა, ახლა კი რა ხდება? ლამის ყველა ცნობილი ფეხბურთელი კარიერის ბოლოს თურქეთში მიდის და იქ არაერთი უცხოელი მწვრთნელი მუშაობს.

**— „ბაიერნში“ მუშაობაზე თუ გიფიქრიათ?**

— უკვე ათი წელია, სამწვრთნელო ლიცენზია მაქვს და დიდი სიამოვნებით ვიმუშავებდი „ბაიერნის“ ბავშვთა სკოლაში. თუნდაც „მიუნხენ 1860“-ში ან „უნტერჰახინგში“, რადგან მიუნხენი ძალიან მიყვარს.

**— როგორც მეკარე, რას იტყვით მიხაელ რენსინგზე?**

— რენსინგისთვის ადრევე უნდა მიეცათ შანსი და მეტი სათამაშო დრო დაეთმოთ ჯერ კიდევ მაშინ, როცა კარში კანი იდგა და ასეთი შეცდომები, ამ სეზონში რომ ჰქონდა, ნაკლები ექნებოდა.

**— რას მიაღწევს ვან გაალი?**

— 10 წლის წინ ვამბობდი, რომ ვან გაალი იდეალური მწვრთნელი იქნებოდა „ბაიერნისთვის“. ცოტა უჟმური სახე აქვს, მაგრამ როცა ლაპარაკობს, ზუსტად იცის რა უნდა და როგორ უნდა მიაღწიოს შედეგს.

# იუდას წერილი




**„ასტონ ვილადან“** „სიტიში“ გადასულმა გარეთ ბერიმ თქვა, რომ არ წავიდოდა გუნდიდან, ვილელებს ჩემპიონთა ლიგის საგზური რომ მოეპოვებინათ.

„სიტიმ“ ინგლისის ნაკრების ფეხბურთელში 12 მილიონი გირვანქა გადაიხადა

პრემიერლიგის დასრულებამდე ექვსი კვირით ადრე, „ვილა“ მეოთხეზე იყო, მაგრამ მერე „არსენალმა“ გადაასწრო.

ბერი ჯერ კიდევ შარშან ზაფხულს იწევდა „ლივერპულისკენ“ და ფანებმა მოღალატედ შერაცხეს.

ის ტრანსფერი არ შედგა, მაგრამ „ვილას“ კაპიტანი წლეულს მაინც წავიდა, ოღონდ არაბების „სიტიში“, რომელთანაც ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

„პირობა დავდე, რომ თუ „ვილა“ ჩემპიონთა ლიგაში გავიდოდა, გუნდში დავრჩებოდი. რაკი ეს არ მოხდა, წასვლის სრული უფლება მაქვს“.

„ვილას“ ქომაგებმა მაინც იუდად მონათლეს ყოფილი კაპიტანი, რასაც ბერიმ ახსნა-განმარტებითი, 800-სიტყვიანი წერილით უპასუხა „ბირმინგემ მეილში“.

„ეს არ იყო საბოდიშო წერილი, რადგან არაფერი დამიშავებია. მხოლოდ ავხსენი მიზეზები, თუ რატომ ვარჩიე კარიერის „სიტიში“ გაგრძელება“ — განაცხადა ფეხბურთელმა.



# ზინედინ ზიდანი რიბერის შეუჩნდა

**ფლორენტინო პერესის** მრჩეველი ზინედინ ზიდანი ფრანკ რიბერის „რეალში“ ექაჩება.

„მე ველაპარაკები ფრანკს — თქვა მრჩეველმა რიბერიზე — ფანტასტიკური ფეხბურთელია და მისი ადგილი „რეალშია“. ასეთ გუნდში თამაში დიდი პატივია და ხელიდან ამ შანსის გაშვება არ შეიძლება. ეს საუცხოო შესაძლებლობაა რიბერისთვის“.

თუ „ბაიერნი“ ფრანგის გაყიდვაზე დათანხმდა, ფლორენტინო პერესს ნახევარმცველი დაახლოებით იმდენივე დაუჯდება, რაც კაკაში გადაიხადა — 94 მილიონი ევრო.

# სოფლელები ლიბერასიონიდან

**საფრანგეთის** უმაღლეს დივიზიონში პირველად აღზევებული „ბულონის“ მწვრთნელად 39 წლის ლორან გიიოტი დანიშნეს, რომელიც მანამდე „ნანტის“ აკადემიაში მუშაობდა.

გიიოტმა, რომელიც ფეხბურთელობისას „ნანტში“, „ტულუზში“ და „გენგამში“ თამაშობდა, „ბულონთან“ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მან ფილიპ მონტანიერი შეცვალა, ვინც „ვალანსიენის“ თავკაცი გახდა.

„ბულონი“ ინგლისელების მიერ 1898 წელს დაარსებული კლუბია და „სტად დე ლა ლიბერასიონზე“ თამაშობს, სადაც 7 300 კაცი ეტევა.

# კლუბს არ ესმის დიტერ ჰიონესის



**13-წლიანი** მუშაობის შემდეგ ბერლინის „ჰერტას“ მენეჯერი დიტერ ჰიონესი დირექტორატის წევრებთან უთანხმოების გამო პოსტიდან წავიდა.

„ჩვენ განსხვავებული ხედვა გვაქვს „ჰერტას“ სამომავლო სპორტულ და ბიზნესგეგმებზე“ — ბრძანა გადამდგარმა.

დიტერ ჰიონესი 1996 წელს მოვიდა „ჰერტაში“ და საქმე ისე დააყენა, რომ პირველივე სეზონში გუნდი ბუნდესლიგაში აღზევდა.

ბერლინელები გასული სეზონის მეორე წრეში ცოტა ხანს ბუნდესლიგას ლიდერობდნენ და ჩემპიონობის შანსიც ჰქონდათ, მაგრამ საბოლოოდ სეზონი მეოთხე ადგილზე დაასრულეს და უეფას ევროპის ლიგის საგზური მოიპოვეს.

# უპატრონო არწივები

**„ბენფიკას“** მწვრთნელი კიკე სანჩეს ფლორესი გაუშვეს, რადგან გუნდმა სეზონი მესამე ადგილზე დაასრულა.

ესპანელს კონტრაქტი 2010 წლის ივნისამდე ჰქონდა და ხელშეკრულების ნაადრევად გაწყვეტისთვის კომპენსაცია მიიღო.

სანჩეს ფლორესის სავარაუდო შემცვლელი პორტუგალიელი ჟორჟე ჟეზუსია, ვინაც „ბრაგა“ უეფას თასის მეთექვსმეტედფინალში, ჩემპიონატში კი მეხუთე ადგილზე გაიყვანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დელიო როსი ლაციოს პროექტიდან ამოვარდა



**კლუბის** შეფებზე ნაწყენი „ლაციოს“ თავკაცი დელიო როსი გუნდიდან წავიდა.

რომაელებმა იტალიის თასი კი მოიგეს, მაგრამ ჩემპიონატში მეათე ადგილზე გავიდნენ.

„ეს არ იყო იოლი ნაბიჯი, რადგან მე კლუბის გრძელვადიან პროექტში მონაწილეობა მსურდა“ — თქვა როსიმ.

„ლაციოს“ პრეზიდენტმა კლაუდიო ლოტიტომ განაცხადა, რომ ახალი მწვრთნელი გუნდს ამ კვირაში ეყოლება და სავარაუდო კანდიდატი „პალერმოს“ ყოფლი თავკაცი დავიდე ბალარდინია.

დელიო როსიმ „ლაციო“ 2005-ში ჩაიბარა, 2007 წელს მესამე ადგილზე გაიყვანა და ჩემპიონთა ლიგაში ათამაშა.

იტალიური მედიის ცნობით, მწვრთნელად როსის დანიშვნა „ტორინოს“ სურს.

**ვაჟა ხუციშვილი**

*ტოტალიზატორი*

# 1X2 ამფსონეზი

სათამაშო სახლში ყურმოკრული

| კოდი | წყვილი | შედეგი | კოეფ-ტი | სისტ |
|---|---|---|---|---|

(რუბრიკის სპონსორია ეკვადორული მაგნიტი)

— კიტოში ვიდექი მარადონაზე, ტო!

— ეკვადორთან? მარადონაზე რამ დაგაყენა, ძმაო, ეგ არი ყველაზე პერსპექტიული ყომარბაზი.

— რა ვიცი, ტო! მაისში ბოლივიამ რო აყლაპა შესწაძინი, მეთქი, ეხლა ინამუსებს და აღარ გატეხავს.

— რას არ გატეხავს, ძმაო! ზღვის დონიდან ტრი ტიში მეტრზე იცი რა მაგნიტებია? მაგნიტებზე ყავდა დასმული მთელი პლანეტის იგროკები. მაგ თამაშის კუშების გამოქვეყნებიდან სამი დღე და ღამის განმავლობაში უეჭველი იქსდვები იწერებოდა.

— მე ლაბავოი ორიანი მეწერა სამ ლარში, ფორით, ტო! რა იქსდვა!

— ჰოო... იცოცხლე, გაგიხარია! რო გეწერა, ხო მოიგე ნახევარი კილო მაგნიტი?

— მაგნიტით საცემია ეგ მარადონა, ტო! რა სასტავი ყავს და ეკვადორ-ბოლივიებს უწვება, რით ველარ გაძლა ამდენი ფულით. მაგას ხო ადრე კუჭის ოპერაცია გაუკეთეს და დაუპატარავეს, ეგრე არ იყო?

— ცვეტში ეგრეა.

— მერე სადლა ჩასდის ამდენი ფულები, ტო! მამენტ, ხო არ გაადიდებინა ისევ კუჭი და ჩვენ აზრზე არა ვართ? ნეტა მაგისი სიძე სადლა გდია?

— აგერო?

— ჰო, აგერო, ტო!  რატო არ ეგდო კიტოში თამაშზე?

— მაგაზე ამბობენ, ხუხუიში ტოტალიზატორი გაუხსნიაო და იმ დღეს ჰქონია პრეზენტაცია.

— აბა, აშენებულან სიძე-სიმამრი, ტო! ეს კუშებს აუწევს არგენტინას, ის კიდე მაგნიტებზე დავსამს იგროკებს და თამაშებს გაყიდის.

— მაგანაც რა ქნას, ძმაო, შვილიშვილი შეეძინა და ოჯახი ყავს სარჩენი.

— მერე რა პონტია, ტო! ჩემი წაგებული ფულებით უნდა უყიდონ პამპერსები?

— პამპერსებზე გამახსენდა, კონფედერაციის თასს წელს სამხრეთ აფრიკას აძლევენ? რაო, ბლატერმა რა თქვა, არაფერი წამოსცდენია?

— ეგ ხო უეჭველში დადგმული ამბავია, მაგას ბლატერი რად უნდა, ტო! ისედაც ვიცი.

— ცვეტში თამაშები გცოდნია და მიტეხავდი?

— საფრიკა და იტალია გადიან ფინალში და იტალია უწვება.

— გამიასნე და თუ დამაჯერებ, საფრიკის მოგებაზე უნდა შევიდე ლარ სოროკი.

— ეგ იცი,  ჯერ კიდე როდის გაიასნდა, ტო?

— როდის?

— რობერტო დონადონი რო მოხსნეს და ლიპი რო დანიშნეს.

— სად დონადონი და სად „ბაფანა ბაფანა“, ხო არ...

— დონადონის უთხრეს, კონფედერაციის თასზე ბაფანას უნდა დაუწვე, ფიფას ეგრე სჭირდება და დიდ მაყუთსაც გამოდისო, მარა რობერტოს ფულები ეცოტავა, ლიპის კიდე ბევრი არ უნდა, ორი სიგარის ფული მოითხოვა და ორ კვირაში ნახავ, თუ საფრიკასთან ფინალში არ გააბოლოს.

**ჭუში ჭოჭმარია**

ჩემი წაგებული ბილეთი:

001 ინგლისი - ანდორა        გაიტანს ორივე        6:0

მომდევნო ამფსონებში გამოვაქვეყნებთ ანდორის ნაკრების საიდუმლო ვარჯიშების დაშიფრულ სქემებს

114140 *



# გრცხვენოდეს!

**კარიერადასრულებულმა** ლუიშ ფიგუმ ხელმეორედ გაპრეზიდენტებული ფლორენტინო პერესის საკრიტიკოდ მოიცალა.

„რეალის“ პატრონმა ტონა ფული დახარჯა კაკას და კრიშტიანუ რონალდუს საყიდლად, რამაც ფიგუს ლაპარაკის სადერდელი აუშალა.

არადა, თავის დროზე პერესმა პორტუგალიელი „ბარსელონადან“ 37 მილიონ ევროდ იყიდა და მსოფლიოს უძვირესი ფეხბურთელი გახადა.

„მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს ასეთი თანხების ხარჯვა ფეხბურთელებში სამარცხვინოა.

კაკაც და რონალდუც დიდებული მოთამაშეები არიან, მაგრამ „რეალმა“ რეალურზე გაცილებით დიდი ფული გადაიხადა მათში.

**რომან თურქია**

# თვითმკვლელობა

**სომხეთის** ახალგაზრდული ნაკრებისა და ერევნის „პიუნიკის“ 18 წლის ფეხბურთელმა სარგის აროიანმა თავი მოიკლა. მისი ცხედარი ერევნის ერთ-ერთი ხიდის ქვეშ იპოვეს.

ბოლო ექვსი თვე აროიანი ჯარში იყო გაწვეული და ფიქრობენ, რომ თვითმკვლელობაც რაღაცით დაკავშირებულია ამასთან, თუმცა დაზუსტებით ვერავინ ვერაფერს ამბობს.

# ისლანდიური ბანკ-ჩაქუჩი

**„ვესტ ჰემი“** ფინანსურმა ჯგუფმა იყიდა, რომლის მთავარი აქციონერი ისლანდიური ბანკი „სტრამურ-ბურდარასია“. გარიგება 100 მილიონი გირვანქა დაჯდა.

კლუბის წინა მფლობელებიც ისლანდიელები იყვნენ — ბიორგოლფურ გუდმუნდსონი და ასგრეიდ ფრიდგეირსონი.

„ვესტ ჰემის“ პრობლემები შარშან შემოდგომაზე დაიწყო, როცა ისლანდიაში ფინანსური კრიზისის გამო გუდმუნდსენს ფული შემოაკლდა.

კლუბის დირექტორთა საბჭოს ახალი შეფი ენდრიუ ბერნჰარდტი იქნება, რომელიც იმავდროულად „სტრაუმუს-ბურდარასის“ უფროსი დირექტორია.

ქომაგებს ვარსკვლავების ყიდვას ვერ შევპირდები, მაგრამ გუნდის გასაძლიერებლად ფულს აუცილებლად დავხარჯავთ“ — განაცხადა ბერნჰარდტმა.

# მეგობრისგან ნაყიდი ალი



**„პორტუს“** მარცხენა მცველი ალი სისოკო „მილანში“ გადავიდა. ეს ტრანსფერი კლუბის ვიცე პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ დაადასტურა.

„პორტუს“ პრეზიდენტი ჩემი მეგობარია და შეთანხმება არ გაგვიჭირვებია“ — განაცხადა „მილანის“ ვიცემ.

21 წლის ფრანგი სამედიცინო შემოწმებას დღეს გაივლის.

სისოკო „მილანის“ პირველი საზაფხულო შენაძენია და მასში 15 მილიონი ევრო გადაიხადეს.

გალიანი „ვოლფსბურგის“ ფორვარდის, ედინ ძეკოს და „სან პაულუს“ ნახევარმცველის, ერნანესის ყიდვასაც აპირებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ბულგარეთი

### A ჯგუფი

ცსკა — ლოკომოტივი მ 2:1; ლოკომოტივი პ — ბოტევი 3:0; მინიორი — ჩერნო მორე 2:2; პირინი — ლევსკი 1:1; სლავია — ლოკომოტივი ს 2:2; სლივენი — პეტრიჩი 0:2; სპარტაკი — ლიტექსი 0:4; ვიხრენი — ჩერნომორეცი 3:5

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლევსკი | 30 | 21 | 6 | 3 | 57:18 | 69 |
| ცსკა | 30 | 21 | 5 | 4 | 54:22 | 68 |
| ჩერნო მორე | 30 | 18 | 6 | 6 | 48:19 | 60 |
| ლიტექსი | 30 | 17 | 7 | 6 | 53:26 | 58 |
| ლოკ. სოფია | 30 | 16 | 6 | 8 | 52:29 | 54 |
| ლოკ. პლოვ. | 30 | 12 | 7 | 11 | 40:43 | 43 |
| ჩერნომორეცი | 30 | 11 | 10 | 9 | 41:37 | 43 |
| ლოკ. მეზდრა | 30 | 10 | 7 | 13 | 39:41 | 37 |
| სლავია | 30 | 11 | 4 | 15 | 41:38 | 37 |
| პირინი | 30 | 10 | 5 | 15 | 35:50 | 35 |
| მინიორი | 30 | 9 | 8 | 13 | 24:39 | 35 |
| სლივენი | 30 | 8 | 8 | 14 | 32:40 | 32 |
| ბოტევი | 30 | 8 | 6 | 16 | 31:50 | 30 |
| ვიხრენ | 30 | 8 | 2 | 20 | 29:50 | 26 |
| სპარტაკი | 30 | 5 | 10 | 15 | 19:46 | 25 |
| პეტრიჩი | 30 | 4 | 5 | 21 | 24:71 | 17 |

## ესტონეთი

### მეისტრილიგა

ფლორა — ტალინი 0:6; ლანტანა — ტულევიკი 5:0; ნომე — ტამეკა 4:0; კურესაარე — შილამაე 0:1; ტრანსი — კალევი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლანტანა | 13 | 12 | 1 | 0 | 46:5 | 37 |
| შილამაე | 14 | 10 | 2 | 2 | 35:12 | 32 |
| ტალინი | 13 | 9 | 1 | 3 | 27:10 | 28 |
| ტრანსი | 15 | 9 | 1 | 5 | 33:19 | 28 |
| ტულევიკი | 15 | 7 | 3 | 5 | 19:22 | 24 |
| ნომე | 14 | 7 | 1 | 6 | 26:18 | 22 |
| ფლორა | 15 | 3 | 2 | 10 | 6:33 | 11 |
| კალევი | 15 | 2 | 3 | 10 | 12:24 | 9 |
| კურესაარე | 14 | 2 | 3 | 9 | 5:27 | 9 |
| ტამეკა | 14 | 1 | 1 | 12 | 7:46 | 4 |

## აშშ

### მეიჯორ ლიგა

დი სი იუნაიტედი — ჩიკაგო 2:1; ტორონტო — ნიუ იორკი 2:1; დალასი — ჰიუსტონი 1:3; კანზასი — ნიუ ენგლანდი 3:1; ლოს ანჯელესი — სოლტ ლეიკი 0:2; სიეტლი — სან ხოსე 2:1; კოლამბუსი — ჩივასი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლამბუსი | 31 | 18 | 6 | 7 | 52:37 | 60 |
| ჰიუსტონი | 30 | 13 | 12 | 5 | 45:32 | 51 |
| ჩიკაგო | 30 | 13 | 7 | 10 | 44:33 | 46 |
| ჩივასი | 31 | 12 | 7 | 12 | 41:43 | 43 |
| ნიუ ენგლანდი | 30 | 12 | 7 | 11 | 40:43 | 43 |
| სოლტ ლეიკი | 30 | 10 | 10 | 10 | 40:39 | 40 |
| კანზასი | 30 | 11 | 9 | 10 | 37:39 | 42 |
| კოლორადო | 30 | 11 | 5 | 14 | 44:45 | 38 |
| ნიუ იორკი | 30 | 10 | 9 | 11 | 42:48 | 39 |
| დალასი | 30 | 8 | 12 | 10 | 45:41 | 36 |
| დი სი იუნაიტედი | 30 | 11 | 4 | 15 | 43:51 | 37 |
| ლოს ანჯელესი | 30 | 8 | 9 | 13 | 55:62 | 33 |
| ტორონტო | 30 | 9 | 8 | 13 | 34:43 | 35 |
| სან ხოსე | 30 | 8 | 9 | 13 | 32:38 | 33 |

## ლატვია

### ვირსლიგა

დინაბურგი — ვენტსპილსი 1:0; სკონტო — ლიეპაიასი 2:1; იურმალა — დაუგავა 1:1; ოლიმპსი — ტრანზიტსი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვენტსპილსი | 13 | 10 | 3 | 0 | 37:8 | 33 |
| ლიეპაიასი | 13 | 10 | 3 | 0 | 35:7 | 33 |
| სკონტო | 12 | 8 | 2 | 2 | 33:12 | 26 |
| დინაბურგი | 12 | 4 | 3 | 5 | 12:15 | 15 |
| იურმალა | 12 | 4 | 3 | 5 | 13:21 | 15 |
| ოლიმპსი | 12 | 4 | 2 | 6 | 16:19 | 14 |
| ტრანზიტსი | 13 | 0 | 6 | 7 | 8:24 | 6 |
| დაუგავა | 12 | 1 | 3 | 8 | 15:36 | 6 |
| ბლაზმა | 13 | 1 | 3 | 9 | 8:35 | 6 |

## რუმინეთი

### თასი. ფინალი

კლუჟი — ტიმიშოარა 3:0

## შვედეთი

### სუპერეტა

იონჩოპინგსი — მიალბი 0:3; ანგელჰოლმსი — სირიანსკა 3:1; ნორჩიოპინგი — ლანდსკრონა 2:4; სირიუსი — ატვიდაბერგსი 1:1; ვასბი — სუნდსვალი 1:2; ფალკენბერგსი — იონჩოპინგსი 1:0; ასირისკა — ლიუნგსკილე 2:1; მიალბი — ვასალუნდი 6:0; ქვიდინგი — ტროლჰატენი 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიალბი | 12 | 9 | 2 | 1 | 31:6 | 29 |
| ფალკენბერგსი | 12 | 8 | 0 | 4 | 16:13 | 24 |
| ატვიდაბერგსი | 12 | 7 | 2 | 3 | 19:10 | 23 |
| ასირისკა | 11 | 7 | 1 | 3 | 16:11 | 22 |
| სუნდსვალი | 12 | 6 | 3 | 3 | 17:14 | 21 |
| ანგელჰოლმსი | 12 | 6 | 1 | 5 | 20:15 | 19 |
| სირიანსკა | 12 | 6 | 1 | 5 | 17:17 | 19 |
| იონჩოპინგსი | 12 | 5 | 2 | 5 | 11:13 | 17 |
| ლანდსკრონა | 12 | 5 | 1 | 6 | 17:16 | 16 |
| ქვიდინგი | 12 | 4 | 3 | 5 | 15:21 | 15 |
| ტროლჰატენი | 12 | 3 | 3 | 6 | 8:12 | 12 |
| ვასალუნდი | 12 | 3 | 3 | 6 | 15:25 | 12 |
| სირიუსი | 12 | 2 | 4 | 6 | 13:24 | 10 |
| ვასბი | 11 | 2 | 3 | 6 | 9:15 | 9 |
| ნორჩიოპინგი | 12 | 1 | 6 | 5 | 15:21 | 9 |
| ლიუნგსკილე | 12 | 2 | 3 | 7 | 15:21 | 9 |

## ფინეთი

### ვეიკაუსლიგა

კუოპიო — მიუპა 0:2; იარო — როვანიემი 2:0; ლაჰტი — მარიეჰამნი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰაკა | 9 | 6 | 2 | 1 | 14:5 | 20 |
| ინტერი | 10 | 6 | 1 | 3 | 11:7 | 19 |
| ჰიკ | 10 | 5 | 3 | 2 | 15:8 | 18 |
| ტურკუ | 10 | 4 | 4 | 2 | 15:9 | 16 |
| მარიეჰამნი | 9 | 4 | 4 | 1 | 10:4 | 16 |
| ჰონკა | 10 | 3 | 5 | 2 | 20:14 | 14 |
| იარო | 9 | 4 | 2 | 3 | 16:12 | 14 |
| მიუპა | 10 | 3 | 4 | 3 | 10:10 | 13 |
| ლაჰტი | 8 | 3 | 3 | 2 | 13:11 | 12 |
| ვაასა | 9 | 3 | 1 | 5 | 8:11 | 10 |
| ტამპერე | 9 | 3 | 0 | 6 | 5:11 | 9 |
| როვანიემი | 7 | 1 | 2 | 4 | 4:12 | 5 |
| კიუპიუ | 10 | 1 | 1 | 8 | 4:22 | 4 |
| იავასკილა | 8 | 0 | 4 | 4 | 5:14 | 4 |

## ლიტვა

### A ლიგა

ბანგა — ეკრანასი 1:2; ტელეიდემა — კრუოია 3:2; ტაურასი — ვეტრა 1:1; შიაულიაი — სუდუვა 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სუდუვა | 9 | 6 | 3 | 0 | 24:3 | 21 |
| ვეტრა | 9 | 6 | 2 | 1 | 23:8 | 20 |
| ეკრანას | 9 | 5 | 3 | 1 | 17:7 | 18 |
| შიაულიაი | 9 | 4 | 0 | 5 | 12:10 | 12 |
| ბანგა | 9 | 2 | 3 | 4 | 6:16 | 9 |
| ტაურასი | 9 | 2 | 2 | 5 | 6:10 | 8 |
| კრუოია | 9 | 1 | 3 | 5 | 9:28 | 6 |
| ტელეიდემა | 9 | 1 | 2 | 6 | 6:21 | 5 |

## სომხეთი

### პრემიერლიგა

პიუნიკი — განძასარი 0:0; ულისე — მიკა 1:2; არარატი — ბანანცი 0:2; კილიკია — შირაქი 1:1

## ისლანდია

### ლანდსბანკადეილდი

ფიოლნირი — ფილკირი 1:3; გრინდავიკი — ჰაფნარფიორდი 0:3; რეიკიავიკი — კეფლავიკი 4:1; სტარნანი — ფრამი 4:1

## იტალია

### სერია B. პლეი ოფი

ლივორნო — გროსეტო 4:1; ბრეშა — ემპოლი 3:0; რიმინი — ანკონა 0:1; ბრეშა — ლივორნო 2:2

### სერია C1. პლეი ოფი

კროტონე — ბენევენტო 1:1; პადოვა — პრო პატრია 0:0

### სერია C2. პლეი ოფი

კომო — ალესანდრია 2:1; პესკინა — გელა 1:0; პრატო — ჯულიანოვა 0:1

## არგენტინა

### აპერტურა

ბანფილდი — ინდეპენდიენტე 5:0; კოლონი — ხიმნასია ლპ 2:0; რივერ პლეიტი — ტიგრე 3:1; არსენალი — ლანუსი 4:1;ველესი — ნიუელსი 2:0; ესტუდიანტესი — გოდოი 1:0; სან ლორენსო — ურაკანი 0:1; სან მარტინი — ხიმნასია ხ 0:1

## პოლონეთი

### პლეი ოფი

კორონა — კრაკოვია გადაიდო

## რუსეთი

### პრემიერლიგა

რუბინი — როსტოვი 0:2; სპარტაკი — ხიმკი 1:0; დინამო — კუბანი 1:1; ტერეკი — კრილია 3:2; ტომი — ამკარი 1:2; მოსკვა — ცსკა 2:0; სატურნი — ლოკომოტივი 2:0; ნალჩიკი — ზენიტი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მოსკვა | 12 | 6 | 5 | 1 | 13:5 | 23 |
| რუბინი | 11 | 6 | 3 | 2 | 21:7 | 21 |
| სპარტაკი | 12 | 6 | 2 | 4 | 20:11 | 20 |
| კრილია | 12 | 6 | 2 | 4 | 13:11 | 20 |
| დინამო | 12 | 6 | 2 | 4 | 13:12 | 20 |
| ცსკა | 11 | 6 | 1 | 4 | 18:10 | 19 |
| ზენიტ | 12 | 5 | 4 | 3 | 19:12 | 19 |
| როსტოვი | 12 | 4 | 6 | 2 | 10:8 | 18 |
| ლოკომოტივი | 12 | 4 | 4 | 4 | 13:14 | 16 |
| ტერეკი | 12 | 4 | 4 | 4 | 13:16 | 16 |
| კუბანი | 12 | 3 | 4 | 5 | 7:12 | 13 |
| სატურნი | 12 | 3 | 4 | 5 | 9:18 | 13 |
| ტომი | 12 | 3 | 3 | 6 | 9:17 | 12 |
| ამკარი | 12 | 2 | 5 | 5 | 9:18 | 11 |
| ნალჩიკი | 11 | 1 | 5 | 5 | 8:11 | 8 |
| ხიმკი | 11 | 0 | 4 | 7 | 8:21 | 4 |

### II დივიზიონი

ლუჩ ენერგია — ჩერნომორეცი 2:0; ჩიტა — ვოლგა 3:2; ენერგია — კრასნოდარი 1:1; ურალი — ანჟი 0:2; მვდ — კამაზი 1:3; სიბირი — გაზპრომი 4:0; მეტალურგი — ვიტიაზი 0:3; ალანია — ბალტიკა 1:2; ნიჟნი ნოვგოროდი — შინიკი 0:1; სალიუტ-ენერგია — ნოსტა 2:0

## დანია

### ვიასატ დივიზიონი

კოლდინგი — ლინგბი 1:4; ნესტვედი — ლოლანდი 1:0; აბ კოპენჰაგენი — ფრედერისია 1:2; ფრემი — ვიბორგი 0:6; ჰერფიოლგე — ჰვიდოვრე 3:2; ლინგბი — როსკილდე 2:3; სკივე — კოლდინგი 3:0; ტისტედი — სილკებორგი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰერფიოლგე | 30 | 22 | 5 | 3 | 77:27 | 71 |
| სილკებორგი | 30 | 21 | 6 | 3 | 68:27 | 69 |
| კოპენჰაგენი | 30 | 19 | 4 | 7 | 56:30 | 61 |
| ვიბორგი | 30 | 17 | 3 | 10 | 59:40 | 54 |
| ნესტვედი | 30 | 14 | 10 | 6 | 55:34 | 52 |
| ლინგბი | 30 | 14 | 8 | 8 | 50:26 | 50 |
| ფრედერისია | 30 | 13 | 8 | 9 | 58:43 | 47 |
| ჰვიდოვრე | 30 | 11 | 7 | 12 | 51:46 | 40 |
| ტისტედი | 30 | 10 | 9 | 11 | 54:49 | 39 |
| როსკილდე | 30 | 12 | 3 | 15 | 45:53 | 39 |
| ფრემი | 30 | 8 | 12 | 10 | 41:53 | 36 |
| კოლდინგი | 30 | 9 | 9 | 12 | 45:59 | 36 |
| სკივე | 30 | 9 | 7 | 14 | 49:57 | 34 |
| ლოლანდი | 30 | 4 | 3 | 23 | 25:66 | 15 |
| ამაგერი | 29 | 2 | 8 | 19 | 24:72 | 11 |
| კოგე | 29 | 1 | 4 | 24 | 11:86 | 4 |

## ურუგვაი

### პრიმერადივიზიონი

ნასიონალი — სენტრალი 0:3; სერო — ბელა ვისტა 3:0; სერო ლარგო — რამპლა 1:1; ხუვენტუდი — დეფენსორი 1:2; პენიაროლი — დანუბიო 3:1; რივერ პლეიტი — ლივერპული 1:2; უონდერერსი — რასინგი 2:2

## ბელგია

### პლეი ოფი

ანტვერპენი — ლიერსი 1:1; დენდერი — რუზელარე 3:2

## ნორვეგია

### ტიპელიგა

რუსენბორგი — სტრომსგოდსეტი 3:0; ალესუნდსი — ვიკინგი 0:1; ბრანი — ლინი 2:1; ლილესტრიომი — ფრედრიკსტადი 4:2; ოდ გრენლანდი — ბოდიო გლიმტი 4:0; ტრომსიო — სანდეფიორდი 1:1; ვალერენგა — სტაბეკი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 13 | 8 | 5 | 0 | 27:11 | 29 |
| ოდ გრენლანდი | 13 | 5 | 6 | 2 | 25:17 | 21 |
| მიოლდე | 12 | 6 | 3 | 3 | 18:15 | 21 |
| სტარტი | 12 | 5 | 5 | 2 | 22:13 | 20 |
| ვალერენგა | 12 | 5 | 4 | 3 | 23:20 | 19 |
| ბრანნ | 13 | 5 | 4 | 4 | 22:20 | 19 |
| ალესუნდი | 13 | 5 | 3 | 5 | 14:17 | 18 |
| სანდეფიორდი | 13 | 4 | 5 | 4 | 18:19 | 17 |
| ვიკინგი | 13 | 4 | 4 | 5 | 15:17 | 16 |
| ტრომსიო | 13 | 3 | 6 | 4 | 17:21 | 15 |
| სტაბეკი | 12 | 3 | 5 | 4 | 17:15 | 14 |
| ფრედრიკსტადი | 13 | 4 | 2 | 7 | 15:18 | 14 |
| ლილესტრიომი | 13 | 3 | 5 | 5 | 17:22 | 14 |
| სტრომსგოდსეტი | 13 | 3 | 3 | 7 | 11:18 | 12 |
| ბოდიო გლიმტი | 13 | 3 | 3 | 7 | 11:25 | 12 |
| ლინი | 13 | 1 | 7 | 5 | 12:16 | 10 |

### ადეკოლიგა

ჰონეფოსი — ჰამ-კამი 1:1; ბრინი — კონგსვინგერი 1:0; ჰაუგესუნდი — ლოვ-ჰამი 3:1; მიონდალენი — სტავანგერი 0:0; ნოტოდენი — სოგნდალი 0:2; ნიბერგსუნდი — ტრომსდალენი 1:1; სარპსბორგი — მოსი 2:0; სკეიდი — ალტა 2:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოგნდალი | 10 | 6 | 3 | 1 | 15:7 | 21 |
| კონგსვინგერი | 10 | 7 | 0 | 3 | 19:16 | 21 |
| ჰონეფოსი | 10 | 4 | 4 | 2 | 16:10 | 16 |
| ჰაუგესუნდი | 9 | 5 | 1 | 3 | 15:11 | 16 |
| ნიბერგსუნდი | 10 | 5 | 1 | 4 | 15:11 | 16 |
| ლოვ-ჰამი | 10 | 5 | 1 | 4 | 16:13 | 16 |
| ჰამ-კამი | 11 | 4 | 2 | 5 | 21:14 | 14 |
| ტრომსდალენი | 10 | 4 | 2 | 4 | 8:12 | 14 |
| მიონდალენი | 10 | 3 | 4 | 3 | 12:11 | 13 |
| ალტა | 10 | 4 | 1 | 5 | 19:20 | 13 |
| ნოტოდენი | 10 | 4 | 1 | 5 | 12:16 | 13 |
| მოსი | 10 | 3 | 3 | 4 | 16:21 | 12 |
| სარპსბორგი | 10 | 3 | 2 | 5 | 12:15 | 11 |
| ბრინი | 10 | 2 | 4 | 4 | 11:14 | 10 |
| სტავანგერი | 10 | 2 | 3 | 5 | 10:17 | 9 |
| სკეიდი | 10 | 2 | 2 | 6 | 8:17 | 8 |

## ესპანეთი

### სეგუნდადივიზიონი

ალავესი — ალიკანტე 1:0; ხირონა — ტენერიფე 0:1; ერკულესი — ალბასეტე 4:1; ლას პალმასი — რაიო ვალეკანო 0:0; სევილია ბ — სელტა 0:0; ხერესი — უესკა 2:1; სარაგოსა — კორდობა 3:1; მურსია — სალამანკა 2:1; სოსიედადი — ლევანტე 1:1; კასტელონი — ეიბარი 4:0; ხიმნასტიკი — ელჩე 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტენერიფე | 41 | 24 | 9 | 8 | 78:45 | 81 |
| ხერესი | 41 | 24 | 9 | 8 | 72:41 | 81 |
| სარაგოსა | 41 | 23 | 11 | 7 | 77:40 | 80 |
| ერკულესი | 41 | 20 | 15 | 6 | 77:42 | 75 |
| რაიო ვალეკანო | 41 | 18 | 15 | 8 | 53:37 | 69 |
| სოსიედადი | 41 | 16 | 16 | 9 | 46:37 | 64 |
| ლევანტე | 41 | 18 | 9 | 14 | 57:57 | 63 |
| კასტელონი | 41 | 16 | 14 | 11 | 53:41 | 62 |
| სალამანკა | 41 | 16 | 12 | 13 | 58:45 | 60 |
| ხიმნასტიკი | 41 | 14 | 15 | 12 | 60:49 | 57 |
| ელჩე | 41 | 13 | 14 | 14 | 51:48 | 53 |
| მურსია | 41 | 14 | 10 | 17 | 47:56 | 52 |
| უესკა | 41 | 12 | 14 | 15 | 44:45 | 50 |
| კორდობა | 41 | 13 | 11 | 17 | 45:53 | 50 |
| ხირონა | 41 | 11 | 16 | 14 | 42:51 | 49 |
| ალბასეტე | 41 | 12 | 12 | 17 | 41:54 | 48 |
| სელტა | 41 | 10 | 17 | 14 | 45:55 | 47 |
| ლას პალმასი | 41 | 10 | 16 | 15 | 44:49 | 46 |
| ალავესი | 41 | 11 | 10 | 20 | 42:63 | 43 |
| ალიკანტე | 41 | 8 | 10 | 23 | 35:66 | 34 |
| ეიბარი | 41 | 7 | 11 | 23 | 30:63 | 32 |
| სევილია ბ | 41 | 2 | 12 | 27 | 26:86 | 18 |

# ხუთი მსაჯი უეფას ევროპის ლიგაში

**უეფა** ახალი ექსპერიმენტისთვის ემზადება და თუ ამან გაამართლა, ვინძლო, სადავო მომენტები ნაკლები იყოს, ვიდრე ახლაა.

ამ ზაფხულშივე უეფა ევროპის ლიგის (ყოფილი უეფას თასი) მატჩებზე ორი მსაჯის დამატებას აპირებს. ისინი კარს უკან დაიკავებენ ადგილს და უშუალოდ საჯარიმო მოედანში მომხდარი ამბების გაკონტროლება დაევალებათ.

დაგვეთანხმებით, რომ სადავო ეპიზოდების აბსოლუტური უმეტესობა სწორედ საჯარიმო მოედნის შიგნით ხდება.

## ბრაზილია

### სერია A

ბოტაფოგო — სანტოსი 2:0; სან პაულუ — სანტო ანდრე 1:1; სპორტ რესიფე — ატლეტიკო პრ 0:1; ატლეტიკო მ — ნაუტიკო 3:0; კურიტიბა — ფლამენგო 5:0; ფლუმინენსე — გრემიო 0:0; გოიასი — კორინთიანსი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერნასიონალი | 5 | 4 | 1 | 0 | 7:2 | 13 |
| ატლეტიკო მნ | 5 | 3 | 2 | 0 | 11:5 | 11 |
| ვიტორია | 5 | 3 | 0 | 2 | 5:4 | 9 |
| სანტოსი | 6 | 2 | 3 | 1 | 14:11 | 9 |
| ნაუტიკო | 5 | 2 | 2 | 1 | 9:9 | 8 |
| პალმეირასი | 5 | 2 | 2 | 1 | 6:6 | 8 |
| ფლუმინენსე | 5 | 2 | 2 | 1 | 4:5 | 8 |
| გრემიო | 5 | 2 | 1 | 2 | 7:4 | 7 |
| კორინთიანსი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 7 |
| კრუზეირო | 5 | 2 | 1 | 2 | 5:6 | 7 |
| ფლამენგო | 5 | 2 | 1 | 2 | 6:8 | 7 |
| სან პაულუ | 6 | 1 | 4 | 1 | 6:4 | 7 |
| სანტო ანდრე | 6 | 1 | 4 | 1 | 10:9 | 7 |
| გოიასი | 5 | 1 | 3 | 1 | 11:10 | 6 |
| ბოტაფოგო | 6 | 1 | 3 | 2 | 5:6 | 6 |
| რესიფე | 6 | 1 | 2 | 3 | 9:10 | 5 |
| ატლეტიკო პრ | 6 | 1 | 1 | 4 | 6:13 | 4 |
| გრემიო | 5 | 0 | 4 | 1 | 6:7 | 4 |
| ავაი | 5 | 0 | 4 | 1 | 5:6 | 4 |
| კურიტიბა | 5 | 0 | 1 | 4 | 6:13 | 1 |

## იაპონია

### ნაბისკოს თასი

ივატა — ჰიროშიმა 2:1; კობე — იამაგატა 1:0; კიოტო — კაშივა 0:3; ნიიგატა — ოიტა 1:2; ტოკიო — შიმიცუ 3:1; ურავა — ომია 6:2

## შვეიცარია

### პლეი ოფი

ლუცერნი — ლუგანო 5:0

## ხორვატია

### პლეი ოფი

დრაგოვოლიაჩი — სესვეტე 0:0; სესვეტე — დრაგოვოლიაჩი 2:1

## კალათბურთი

ქალები

ევროპის ჩემპიონატი

F ჯგუფი

ბელარუსი 61:55 ლიტვა

რუსეთი 67:59 იტალია

თურქეთი 43:55 საფრანგეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

# ეს მოსაწყენია?



ბერნარდ პარკერი ერაყელთა გარემოცვაში

**სამხრეთ აფრიკა 0:0 ერაყი**

**სამხრეთ აფრიკა:** კუნე, გაქსა, მასილელა, მოკოენა, მონგო, სიბაია, მოდისე, დიკგასოი, ბუტი, პარკერი (პიენაარი 85), ფანტენი (მასეგო 78)
**მწვრთნელი:** ჟოელ სანტანა
**ერაყი:** კასიდი, მოჰამედ ალი კარემი, აბასი, მაჟედი, აკრამი, მოჰამედი (ზაჰრა 76), მაჰმუდი, ყასიმი (მულა 74), შაკერი, რეჰემა, მაჰდი კარემი (სადირი 84)
**მწვრთნელი:** ბორა მილუტინოვიჩი
**მსაჯი:** ხორხე ლარიონდა
**გაფრთხილება:** სიბაია, ფანტენი, აკრამი

**იოჰანესბურგის** „ელის პარკზე“, რომელზეც კონფედერაციის თასის ფინალიც გაიმართება, ტურნირის პირველი მატჩი უგოლოდ დამთავრდა.

ასპროცენტიანი მომენტი თამაშის ბოლოს შეიქმნა ერაყელთა კართან, მაგრამ ცარიელი კარში მიმავალი ბურთი კარის ხაზზე მდგომ მასპინძელთა ფორვარდ პარკერს მოხვდა ქუსლში და უკან გამოვარდა.

დამხვდურთა ბრაზილიელმა მწვრთნელმა ჟოელ სანტანამ თქვა, რომ მისი გუნდი სჯობდა მეტოქეს, რომელიც დაცვაში გამოიკეტა და ფეხბურთის თამაში არ უცდია.

„მათ ფეხბურთის თამაშის სურვილი არ ჰქონდათ — გაბრაზდა ბრაზილიელი — ისინი ფეხბურთის მოკვლას ცდილობდნენ. ჩვენ 17-ჯერ დავარტყით კარისკენ, ერაყელებმა კი სამჯერ. ჩემი აზრით, კარგად ვითამაშეთ და სულ მცირე 2-3 გოლის გატანა გვამართებდა“.

ერაყელთა თავკაცი ბორა მილუტინოვიჩი კოლეგას შეეპასუხა: „ჩვენ მოგებას ვცდილობდით, თუმც ეს არ იყო იოლი. სამწუხაროა, თუ თქვენ ფიქრობთ, რომ ჩვენი ფეხბურთი მოსაწყენია“.

**ესპანეთი 5:0 ახალი ზელანდია**

**1:0, 2:0, 3:0 ტორესი (6, 14, 17), 4:0 ფაბრეგასი (24), 5:0 ვილია (48)**

# პრეზიდენტის რჩევა: ენას კბილი დააჭირეთ!



**„ნაპოლის“** პრეზიდენტ აურელიო დე ლაურენტისს ეზეკიელ ლავეცის საქციელი ნერვებს უშლის.

არგენტინელი ფორვარდი საჯაროდ გაჰკივის, რომ გუნდიდან წასვლა უნდა და ასევე საქვეყნოდ, კლუბის პატრონს სიძუნწეს აბრალებს.

„ლავეციმ და მისმა აგენტებმა ენას კბილი დააჭირონ — განრისხდა დე ლაურენტისი — მას აქვს კონტრაქტი, რომელიც ხელმოწერიდან შვიდ თვეში გავუუმჯობესეთ და ახლა რა პრეტენზიები აქვს? არსებობს ეთიკის ნორმები და თუ ლავეცი კიდევ ბევრს იყვირებს, მომდევნო ორ სეზონს სათადარიგოთა სკამზე დავაობებთ. ეს კი არა, შეიძლება სასამართლოშიც ვუჩივლოთ“.

პრეზიდენტმა ისიც თქვა, რომ ლავეცის თაობაზე არანაირი ოფიციალური ქაღალდი არ მიუღია არცერთი კლუბისგან.

მისით დაინტერესებულნი არიან „ლივერპული“ და „იუვენტუსი“. ამბობენ, რომ არგენტინელმა „იუვესთან“ პირად ჯამაგირზე შეთანხმებასაც მიაღწია და ტურინისკენ იწევსო.

# რიისეს ლიგა მოპარეს

**„რომას“** ნორვეგიელ მცველ იონ არნე რიისეს ოსლოში სახლი გაუძარცვეს.

ეს მაშინ მოხდა, როცა ფეხბურთელი ნაკრებში იყო გამოძახებული.

რიისეს ყველა ჯილდო ხელს გააყოლეს, მათ შორის ყველაზე ძვირფასიც — ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულის ოქროს მედალი.

„ძალიან დასანანია, რადგან ეს მედალი უძვირფასესი ჯილდო იყო ჩემს კარიერაში — დაღონდა ფეხბურთელი — მთელი ცხოვრება ამისთვის ვიბრძოდი და ეხლა აღარ მაქვს.

არა მგონია, რომ მედალი ადვილად გაასაღონ სადმე და ვიმედოვნებ, რომ უკან დამიბრუნებენ“.

„ლივერპულში“ თამაშისას რიისეს ერთხელ ავტომობილიც მოპარეს.




ავტოსპორტი


რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№ 1 საავტომობილო ზეთი





# ახალი სახეები დიდ ფორმულაში

**წინა** კვირაში „ფორმულა 1“-ს ბოსებმა „სამეფო რბოლებში“ საგაისო მონაწილეთა ნუსხა გამოაქვეყნა და ეს ამბავი დიდ მოვლენადაც იქცა. არადა, აქამდე სიის გამოცხადება ფორმალობა იყო-ხოლმე.

ეს სეზონი სკანდალით დაიწყო და სკანდალებითვე გრძელდება. ჯერ იყო და, FIA-ს ბოსებს მსოფლიოს ჩემპიონის გამოვლენის ახლებური სისტემის შემოღება სურდათ, რომლის თანახმადაც ჩემპიონად არა ყველაზე მეტი ქულის დამგროვებელი პილოტი, არამედ ყველაზე მეტი ეტაპის მომგები უნდა გამოცხადებულიყო. პროტესტი იმდენად დიდი იყო, რომ ბერნი ეკლსტოუნმა და კომპანიამ უკან დაიხიეს და გამოაცხადეს, რომ ახალი წესი 2010 წლიდან ამოქმედდებოდა. ამან საპროტესტო მუხტი მცირე ხნით დააცხრო. ამას მოჰყვა ლუის ჰემილტონის თაღლითობის და „ბრაუნის“ ორმაგი დიფუზორის საქმეები. თუკი ჰემილტონის საქმეზე ვერდიქტმა — მალაიზიის გრან პრის დროს იარო ტრულის წესების დარღვევა რომ აიძულა და სანამ ამხელდნენ, თავს იკატუნებდა — ყველა კმაყოფილი დატოვა, დიფუზორის შემთხვევაში კმაყოფილი მხოლოდ „ბრაუნი“ დარჩა და სხვა საჯინიბოები, „ფერარის“ მეთაურობით, კვლავაც თვლიან, რომ „ბრაუნს“ არამი უპირატესობა აქვს და ამის გამოისობით მოიგო ჩატარებული შვიდი ეტაპიდან ექვსი.

ბოლოს კი სკანდალი საბიუჯეტო ზღვარის დაწესების იდეამ გამოიწვია.

ყველაფერ ამაზე აქამდეც დაწვრილებით გვეწერა.

საქმე კი იქამდე მივიდა, რომ FOTA-მ, რაც გუნდების ასოციაციას, ერთგვარ პროფკავშირს წარმოადგენს, FIA-ს მუქარა შეუთვალა, მომდევნო სეზონს ბოიკოტს გამოვუცხადებთო.

და რით უპასუხა ეკლსტოუნმა მუქარას? მუქარითვე! სასამართლოებში სირბილით ქანცს გაგაცლით და ასობით მილიონით გაზარალებთო.



ბერნი ეკლსტოუნი

კონტრმუქარამ გაჭრა...

ახლა ასეა: გაისად რბოლებში 13 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. ისინი, წელსაც რომ დააქროლებენ ბოლიდებს და სამიც ახალი გუნდი.

ახლები არიან: US F1, „კამპოსი“ და „მანორი“.

US F1, სახელითაც მიხვდებით, ამერიკული საჯინიბოა და ამ გუნდის თაობაზე რამდენიმე თვის წინაც გვეწერა — სარეკლამო ტრიუკს უნდათ რომ მიმართონ და ბოლიდის საჭესთან პირველი ქალი პილოტი დასვან.

ამ გუნდის დამაარსებლები არიან ბრიტანელი ტელეჟურნალისტი პიტერ უინძორი, ვინაც თავის დროზე „უილიამსის“ მენეჯერი იყო და აწ გაუქმებული „ლიჟიეს“ ტექნიკური დირექტორი, ამერიკელი ინჟინერი კენ ანდერსონი.

„კამპოსი“ ესპანური გუნდია და მისი დამაარსებელია ყოფილი პილოტი ადრიან კამპოსი. აქამდე ეს გუნდი „ფორმულა 3“-ში გამოდიოდა.

„მანორს“ კი ხელმძღვანელობს „ბენეტონის“ ყოფილი მთავარი კონსტრუქტორი ნიკ უირტი. ეს გუნდიც „ფორმულა 3“-დან მოვიდა დიდ ფორმულაში.

**გიორგი დარჯანია**


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათობით

გამომცემელი: ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი: გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი: გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე: კახა შალამბერიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge


სარეკლამო სამსახური: 93 16 08, 899 945 975